მწიგნობარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№2 (245)
1-29 თებერვალი
2016
ფასი 1 ლარი

გამოდის
თვეში ორჯერ

ახალი.... ნამდვილი...

რევაზ მიშველაძე

ქართულ ლიტერატურაში ახალი, ნამდვილი მწერალი გამოჩნდა. იგი გორის მახლობლად „სასაზღვრო“ სოფელ დიცში მცხოვრები გიორგი სოსიაშვილი გახლავთ.

სამწუხარო რეალობის გამო იძულებული ვარ „სასაზღვრო“ ვუწოდო ამ ძველთაძველ ქართულ სოფელს, თორემ სინამდვილეში იგი შუაგულ ქართლში მდებარეობს.

„ახალი“ „ნამდვილი“ შემთხვევით არ წამომცდენია.

მწერალს რომ ახალი უწოდო, იგი სწორედ რომ ახალი, მანამდე მის კოლეგათაგან დაუხატავი, მისეული სამყაროთი უნდა მოვიდეს. ადამიანთა ურთიერთობაში ახალი ეპოქის ნიშნები უნდა აღმოაჩინოს და ყურადღება სწორედ იმ ტკივილებისთვის უნდა მიგვაქცევინოს, რაც აქამდე სხვას არ დაუნახავს და უგრძვნია.

რა კარგადაც უნდა შეძლო შემოდგომის აზნაურების ხატვა, რა ახალი სიუჟეტებიც უნდა აკიდო სოლომანის და ბეკინას ხასიათებს, იგი შენი მაინც ვერ გახდება; შენ მწერალი, ამ შემთხვევაში დავით კლდიაშვილის ლიტერატურული იმიტატორი იქნები და სხვა არაფერი.

გიორგი სოსიაშვილი, სწორედ რომ ახალია მწერლობაში ამ ტიტულის ყოველგვარი განზომილებით.

„ნამდვილიც“ შეიძლება ეხამუშოს გულუბრყვილო მკითხველს, თუ მწერალია ნამდვილი იქნებაო, გაიფიქრებს.

არ არის ასე, სამწუხაროდ.

ხომ თავი და თავია პროზისთვის სიუჟეტი, ამბავი. მწერალმა ათასი ცხოვრებისეული შემთხვევიდან ერთი, ყველაზე საინტერესო უნდა გამოარჩიოს და მკითხველს უამბოს.

მაგრამ თუნდაც უაღრესად საინტერესო ამბავიც არ არის საკმარისი, რომ ნამდვილ მწერლად იწოდებოდე.



ვერ დაწერა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის სიუჟეტი მისეული არ იყო, მის სულიერ ქურაში გამომწვარი და გამოტარებული.

არსებობენ თითო მოთხრობიანი მწერლებიც.

სადღაც მოჰკრა ყური ერთ „საყურადღებო“ ამბავს, აიღო და დაწერა, მართალია ვერ „ჩამოქნა“, მაგრამ იმდენად დიდი იყო სიუჟეტის ეფექტი, რომ შენ იგი შეაგულიანე, მწერლად მიიჩნიე.

გავიდა წლები და ამაოდ ელოდები მისგან ახალს.

სხვა ვერაფერი დაწერა.

ნამდვილ პროზაიკოსს სიტყვით ხატვა უნდა შეეძლოს, ანუ ბგერწერით ფერწერა.

შენი ფერები უნდა გქონდეს, კომპოზიციის შენეული უნარი. ოდენ კი არ ჰყვებოდე, ხატავდე ორიგინალურად. ამას სტილი ჰქვია.

შენეული პერსონაჟები ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდნენ.

წერის დროს გრძნობის ყველა ორგანო უნდა ჩართო – ხედვაც, ყნოსვაც, შეხებაც, სმენაც...

დამერწმუნეთ, ეს ურთულესი საქმეა.

ზოგი „მწერალი“ ათეული წლების განმავლობაში შრომობს, წვალობს. მის ნამოღვაწარში იშვიათად საინტერესო სიუჟეტიც გაკრთება, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება სულს ვერ აგიფორიაქებს, რადგანაც ყოველივე, რაც შეუქმნია, ჟურნალიზმია (ამ სიტყვის დამამცირებელი კი არა, სპეციფიური, ჟანრული გაგებით). იგი მხატვარი არ არის.

მეორენი დროულად მიხვდებიან, რომ მხატვრული პროზა მათი საქმე არ არის და მთელი ცხოვრების განმავლობაში წერენ სქელტანიან ესეებს. მათს შრომას ლიტერატურაში მე პირადად დიდად ვაფასებ. ეს თავისი თავის შემცნობელი ლიტერატორები კეთილშობილ პროფესიონალებად გამოიყურებიან.

ნამდვილ პროზაიკოსს ხატვის ნიჭი აქვს მომადლებული.

იგი სიტყვათა დიდზე დიდი მარაგის მოშველიებით ადამიანთა ცხოვრების ურთულეს ამბებს კი არ ჰყვება – ხატავს.

ამ თვალსაზრისით ვუწოდე გიორგი სოსიაშვილს ნამდვილი მწერალი.

იგი დიაღაც რომ მხატვარია.

არც სიტყვის მარაგის თუნდაც ზედმიწევნით ფლობაა საკმარისი ნამდვილი მწერლობისთვის.

არნოლდ ჩიქობავაზე და აკაკი შანიძეზე უკეთ ლექსიკა ვინ იცოდა, მაგრამ მწერლები ვერ გახდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ მხატვრის ნიჭი არ მოჰმადლა ბუნებამ.

მე და სოსო სიგუა ხანდახან თავს ვიმტვრევთ, რომ „მწერლის გაზეთისთვის“ სარედაქციო პორთფელიდან მოთხრობა შევარჩიოთ. მოაქვთ, როგორ არ მოაქვთ, პირთამდე სავსეა უჯრა „დასაბეჭდი“ მოთხრობებით, მაგრამ ამ მოთხრობათაგან ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი მოთხრობა არ არის – ჩანახატია, ანუ რომელიმე აწ დასაწერი მოთხრობის ფრაგმენტია. მოთხრობაში ამბავი უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს, ავტორი კი, რომელსაც როგორც ჩანს, ერთმა ცხოვრებისეულმა, სტატიკურმა სურათმა მოსჭრა თვალი, ხატავს ამ სურათს და სამწუხაროდ მოთხრობას, ან რაც კიდევ უფრო უცნაურია, ნოველას არქმევს.

ახლახანს მკითხველმა მიიღო გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების ახალი წიგნი „მავთულხლართი“. წიგნის რედაქტორი და მშვენიერი წინასიტყვის ავტორი როსტომ ჩხეიძე გახლავთ.

წინა წინადადებაში გიორგი სოსიაშვილის წიგნს ასე თამამად „მოთხრობები“ იმიტომ ვუწოდე, რომ კრებულში მოთავსებული ყველა ნაწარმოები მოთხრობაა და ფრიად გამახარა მწერლის დამოკიდებულებამ ამ ურთულესი ჟანრის მიმართ. გიორგი სოსიაშვილმა კარგად იცის, რომ მკითხველის ძვირფასი ყურადღება სწორედ რომ კონკრეტული სათქმელით და მწერლისეული სიახლით უნდა მიიპყროს.

მავთულხლართის ერთი მოთხრობა ლეკვზეა დაწერილი. ლეკვზე, რო-

▶ 2 ᲒᲒ.

▶ 1 ᲒᲒ.

მელსაც ლეკვობის ასაკი გაუვიდა და პატრონმა პირველად გაიყვანა სანადიროდ. ნაწვერალზე მწყრის ქვითქვითი ისმის, მაგრამ გამოუცდელი ლეკვი მწყერს ნაბულზე დასადგომად კი არ ეძებს, მინდორში მერცხლებს დასდევს და მავთულხლართებით დასერილ სოფელში მონადირეებს აღმა–დაღმა ამაოდ დაატარებს. პატრონს კი იმის იმედი აქვს, რომ თუნდაც ერთი შემთხვევით აფრენილი მწყერი თუ მოკლეს, ლეკვი მწყრის სუნზე გეშს აიღებს და ერთხელ და სამუდამოდ გამეძებრდება.

მოთხრობა ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

„რამ დამაწერინა ჩემს ონავარ მეძებარზე მოთხრობა? შენც მენანები დასავიწყებლად, დაიჯერებ? იმ საშინელი დავიწყების ღრუბლის ჩრდილი, წეღან რომ ვახსენე, შენც წამოგადგება, ვიცი და იქნებ რამდენიმე მკითხველის გულში მაინც გაგიხანგრძლივო არსებობა, სხვა რა შემიძლია“.

ასე გამოგლიჯა მწერალმა დავიწყების აჩრდილს ჯარისკაცი ბექაური, რომლის სამკერდე ნიშანიც ნადირობის დროს ბალახებში იპოვა. არასოდეს ტოვებს რუსეთთან ომის ჯერ კიდევ ავად მორიალე ღრუბელი საზღვრისპირა სოფლის მკვიდრს.

მეტი რა შემიძლიაო, შენიშნავს გიორგი სოსიაშვილი, მაგრამ მან მშვენივრად იცის, რომ ნამდვილ მწერალს ბევრი რამ შეუძლია.

გამოარიდა მწერალმა დავიწყების სამანებს ბებერი მეწისქვილე გოგია, რომელიც რუსების შიშით, მთელი სოფელი რომ გაიხვეტა, ჯიუტად დარჩა თავის წისქვილში.

გამოარიდა მწერალმა დავიწყების სამანებს პატარა ოსის გოგო, რომელსაც ქართველი ბიჭი შეუყვარდა, მავთულხლართებში გამოძვრა და თავის ნანდაურთან ჯვარი იფსკვნა.

გამოარიდა დავიწყების სამანებს მწერალმა ალალი გლეხი ნიკო, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების მერე საქართველოს მხარეს დარჩენილი მეგობრის, ოსი გაბოს ნაკვეთს თვალისჩინივით უვლიდა და წლის ბოლოს მოსავალს პირწმინდად აბარებდა ნამდვილ პატრონს, ხოლო როცა 2008 წლის ომის მერე თვით ნიკოს ბაღი დარჩა „ოსების მხარეს“, ახლა გაბო არ რჩება ვალში ნიკოს. საკუთარზე უკეთ უვლის ქართველის ბაღს, ასეთია ნამდვილი ძმობა–მეგობრობა, საუკუნეების მიღმა რომ ჩაკირულა.

დავიწყების სამანს გამოარიდა მწერალმა თებროს ქმარი, მეგარმონე გოგია, რომელმაც ერთადერთი შვილივით შეზრდილი გარმონი იმიტომ გაყიდა, რომ მართას შვილიშვილს მიართვას, რათა ამ უკანასკნელმა სასწავლებლის ფული გადაიხადოს.

დავიწყების მტვერი ააცილა მწერალმა სადალაქოს ლოთ დამლაგებელს ელდინოს, რომლის უკან იდუმალებით მოსილი დიდი ცხოვრების გზაა, სწორედ მისი სიკვდილის შემდეგ რომ ხდება საცნაური მკითხველისათვის.

გამოარიდა მწერალმა დავიწყების ბურუსს უცხოეთს შეხიზნული ქართველი ემიგრანტი, რომელსაც ყელში ამოუვიდა ფრანგთან „მუშაობა“ და მამამისს სწერს - იქნებ ფანცქალას ბიჭისგან ჩვენი ნაკვეთი უკან გამოისყიდო, მერე მალე ჩამოვალ, აქ გაძლება უკვე აღარ შემიძლიაო.

გამოარიდა მწერალმა დავიწყების სამანებს მკითხავი ბოშა ქალი, რომელმაც მოთხრობის გმირი ოცდაათი წლის წინათ ნამკითხავები ხელისგულით შორეულ სევილიაში იცნო.

გამოარიდა მწერალმა დავიწყების სამანებს ბებერი მგელი, რომელსაც თავისიანები შეჭმას უპირებენ და იქნებ როგორმე გადავრჩეო, ადამიანებისკენ გამორბის.

... და რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ამათ ყველას მწერალმა ლიტერატურული სიცოცხლე მიანიჭა და მგონი, ლიტერატურული სიცოცხლე რეალურ სიცოცხლეზე უფრო გამძლეა.

ახალ დროსა და ვითარებას ოსსა და ქართველს შორის ახლებურად გაუვლია. ახალ დროს მეზობლებს შორის ახალი ურთიერთობები დაუმყარებია, ეს ახალი, მესამე ძალის – რუსი დამპყრობლის სურვილის საწინააღმდეგოდ, საუკუნეებიდან იღებს სათავეს და სიძულვილს კი არა, სიკეთეს თესავს. ეს ყოველივე საყოველთაო შერიგებას და ნაგუბარში წყლის კვლავ ჩადგომას მოასწავებს. სწორედ ამ ახალი ურთიერთობების, ახალი ცხოვრების აღმომჩენია გიორგი სოსიაშვილი. მის მიერ დახატული ქართლი არც ერთი მწერლის მიერ სხვა დროს დახატულს არა ჰგავს. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიტან.

ქართველი და ოსი მეგობარი, რომელთა შორის არამკითხე რუსი ჩამდგარა, ერთმანეთს მობილური ტელეფონით, ასე ესაუბრებიან:

„ – ვილისი გყავს ისევა?

– მყავს, მაგრამა არი და არი. ე მთები აღარ გვაქ და „ვილისი“ რა ჩემ ფეხებათ მინდა. თუ გინდა გამოგიგზავნი. ჩემი მანქანით ადი ხოლმე.

– მე რათ მინდა, კაცო. ეე, რასაც შენ არ იტყვი. შეინახე, შეინახე გამოგადგება, სულ ესე ხომ არ იქნება. რა ხმაური ისმის მანდეთ?

– არაფერი, ბიჭები არიან, ყურძენი ჩამოწურეს, ილოცებიან.

– მომიკითხე ყველანი, – ნიკო სუფრაზე მიუბრუნდა ბიჭებს, – მოგიკითხათ.

– ჩვენგანაც მოკითხვა გადაეცი, – წამოიძახეს.

ამათაც მოგიკითხეს! – ჩასძახა ნიკომ, – ჭიქების ჭახუნი გაიგონე?

– გავიგონე, გავიგონე.

– შენს სადღეგრძელოსა ვსვამთ – მომენატრა. ერთი მანდეთ გამომიყვანა... შვიდი სანთელი ავანთე გერში. ხო შვიდი მითხარი?

– შვიდი გითხარი, შვიდი. ექვსს ოჯახის წევრებზე ვანთებდი ხოლმე. მამაჩემი აღარ არი, მაგრამ მაინც ვუნთებ, როგორც ცოცხალს. ერთს კიდე შენისთანა კაცების სახელზე ვანთებ ხოლმე, ვერან!

– ისევ ისეთი ხარ.

– მა, რა ჯანდაბა შემცვლიდა, – ჩაიხითხითა ნიკომ“ (გვ.82).

გიორგი სოსიაშვილის ამ საკმაოდ სქელტანიან წიგნში (270 გვ.) შესულ ყველა მოთხრობას თარიღად 2014 და 2015 წლები უზის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწერალი მუხლჩაუხრელად შრომობს თავისი ეპოქის მხატვრული მატიანის შესაქმნელად.

აქ ყველა, როგორც ზემოთ ვთქვი, ჟანრული კრიტერიუმებით თუ მივუდგებით, მოთხრობაა; თანაც ჭეშმარიტი მწერლის გრძნეული თვალით შემჩნეული და ოსტატის ხელით ჩამოძერწილი. კლასიკური მოთხრობების სიმაღლეზეა დაწერილი „მეთორმეტე გაზაფხული“, „რა ვუთხრა ადამიანებს“, „დამიანეს სტუმარი“, „მავთულხლართი“ და სხვა.

წიგნში გვხვდება ორიგინალური მხატვრულ–ფილოსოფიური სენტენციები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გიორგი სოსიაშვილი ღრმად მოაზროვნე მწერალია.

მაგალითად:

„ადამიანი ყველგან გადარჩენას ესწრაფვის – ცხადშიც, სიზმარშიც, ფიქრშიც, წარმოსახვაშიც. სწორედ ეს სწრაფვაა მისი მთავარი სისუსტე, მისი უბადრუკობის და უსუსურობის მამხილებელი. გადარჩენა როცა გინდა, ესე იგი გებრძვიან. სიკვდილს სიცოცხლე უნდა დაუპირისპირო. ერთი ეშმაკია, მეორე უფალი. ერთიც შენშია და მეორეც. გამოდის, რომ შენს საკუთარ თავთან გაქვს ბრძოლა. გადარჩენა გინდა, გადარჩენა საკუთარი თავისგან.

საკუთარ თავს გადამარჩინე, უფალო!“ (გვ. 217).

მეორე მაგალითი:

„... ღვინოს რო სწურამ, რისთვისა სწურამ. იმისთვის, რომ სტუმარი გყავდეს. სტუმარს აქედანვე ელოდები. ეს არი ჩვენი მოდგმის მთავარი სიმდიდრე“ (გვ. 190).

მესამე მაგალითი:

„მთებს წვდება მთავარისკენ დრუნჩაწეული მტაცებლის საშინელი ბგერები. ეს არის მრისხანებაც, ეს არის წუხილიც, ეს არის საკუთარი უბედურების ხმაც და ეს არის საყვედურიც ბუნების მიმართ. სად გინახავს, მზეს შეყმუოდეს მგელი. მზეს ვერც ენახვება. მზის დანახვაზე აკანკალებს. მზე სიკვდილის მტერია, მზე ხო სიცოცხლის სანთლად აანთო გამჩენმა. მგელი? მგელი უფრო სიკვდილთან არის ახლოს და ამიტომ შეყმუის მთვარეს. მთვარე თითქოს მკვდართა მნათობია. მგელს მთვარე უფრო უგებს“. (გვ. 206).

გიორგი სოსიაშვილის მიერ დახატული პასაჟი ფერწერული და ხორცსავსეა. მწერალი ზუსტ ფერებს პოულობს, სათქმელს სრულყოფილება, რომ მიანიჭოს. აი, ბებერი მგლის „პორტრეტი„:

„თანდათან დამეწია აპრილის დილა, ცოტა შევისვენე. წინა დღეს ეწვიმა. გუბეს ამოვკარი ენა, ყელი გავისვენე. დღის შუქზე მუშტარივით შევათვალიერე ჩემი, სიბერის ლუკმადქცეული სხეული; ძვლები მეთვლებოდა. ტანი გაქუცული მქონდა. უსახური ბეწვი მცვიოდა და ალაგ–ალაგ ფთილასავით მეკიდა“ (გვ. 209).

მწერალს მაღალი იუმორის გრძნობაც აქვს. გიორგი სოსიაშვილის იუმორი ჭეშმარიტად ქართლული, თბილი, სიყვარულიანი იუმორია. ასე განსაჯეთ:

ორ მეგობარს უცნობ სოფელში შემოაღამდა. მოშივდათ. იქნებ ვინმემ დაგვპატიჟოსო, ამაოდ იარეს ზევით-ქვევით. ბოლოს ერთ სახლს მიადგნენ. ჭიშკარს „იურა“ ეწერა. მასპინძელმა, რასაკვირველია შეიპატიჟა. სუფრა გაუშალა და ქეიფის დასასრულს სხვათა შორის ჰკითხა: ბოდიშს ვიხდი, ვერ გიცანითო. ჩვენაო, სტუმრებმა იურას ჯარის ძმაკაცები ვართო.

შედი, ქალო, ბავშვი გამოიყვანეო, - ოჯახის უფროსმა.

დიასახლისმა აკვნით გამოიყვანა იურა.

ადე, მამა გენაცვალოს, ჯარის ძმაკაცები მოგივიდნენო, ჩასძახა აკვანში მწოლს მასპინძელმა.

გიორგი სოსიაშვილის ქართული თვალადური, სიტყვაუხვი და ზუსტად მიგნებულლექსიკანი ქართულია, კომპოზიტებით, ეპითეტ-შედარებებით, იდიომებით სიტყვათქმნადობის ხერხებით გაჯერებული. მწერალს არაერთი ისეთი სიტყვა ამოაქვს ხალხური მეტყველების საუნჯიდან, ამ ბოლო დროს ლიტერატურულ წრებუნვაში რომ აღარ იხმარება. მაგ. ჩაიტვლიავა, რთვილდარტყმული, მოთავიანებული, გამიბალახდა, მუხლიჩოქა, შეფენცილი, დახაციცებულები, დაგოხილი, ავიჯონჯლეთ, კანთიელად, ოქრომნათობი, მოჯეჯილებული, მურმური, ამლაკუკები და ა. შ.

და ბოლოს გიორგი სოსიაშვილის ამ ახალ კრებულში შემხვდა ერთი ფრაზა, რომელიც უსათუოდ უნდა ამოვწერო, რადგან იგი მთელი წიგნის ლაიტმოტივად მესახება:

„ფეხის ბრუნება ამათთვის არ არი და არაფერი. სად უნდა იბრუნონ ფეხი. ორ ნაბიჯზეა ის დაწყევლილი მავთულხლართი. ხელის გაწვდენაზეა რუსების პოსტი. აქეთაც საქართველოა და იქეთაც“.

დიახ, აქეთაც საქართველოა და იქეთაც“ და რაც მალე მიხვდებიან ამას მავანნი, მით უკეთესი მათთვის.

მე კი, ჩემდათავად, „მავთულხლართის“ წაკითხვის შემდეგ მთელი პასუხისმგებლობით ვასკვნი, რომ გიორგი სოსიაშვილის სახით ქართულ მწერლობას უნიჭიერესი მწერალი შეემატა.

19.01.2016

კენკრა თოვლის საფარქვეშ

ხელთ მომცრო კრებული მიჭირავს, 2015 წელს მოსკოვში მწერალთა საერთაშორისო გაერთიანების მიერ გამოცემული - სერიით, ქართველი პოეტების ლექსთა თარგმანები. ავტორი მკაცრი, მაგრამ ლამაზი ლექსთა კრებულისა (ყდაზე საქართველოს პეიზაჟით) ქალბატონია, მეტად უცნაური კენკრის სახელით, მას მაყვალა ჰქვია.

მაგრამ უფრო გასაოცარი ჩემთვის ისაა, რომ მე ეს წიგნი არც მოსკოვში მისახსოვრეს, არც უკრაინაში და არც თვით საქართველოში, არამედ ესპანეთში, ქალაქ ესტეპონაში, ცნობილ მწერალთან, ალექსანდრე პოტიომკინთან სტუმრობისას. სწორედ იქ გადმომცა წიგნის ავტორმა - უმშვენიერესმა ქართველმა პოეტმა ქალმა მაყვალა გონაშვილმა ლექსთა კრებული „დაგვიანებული შეხვედრა“.

მაყვალა გონაშვილის ლექსებს პირველად მაშინ გავეცანი, როცა საქართველოს მწერალთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის კოორდინატორმა, ცნობილმა მთარგმნელმა და დამსახურებულმა ჟურნალისტმა ვლადიმერ სარიშვილმა საიტისთვის „მწერალი ინტერნეტ სივრცეში“ ქართველ პოეტთა თარგმანები გამომიგზავნა.

ცნობილი ფაქტია, რომ ხელმძღვანელის პოსტზე ხშირად კარგი ადმინისტრატორები და საშუალო პოეტები გვხვდებიან. მაყვალა გონაშვილი კი, უკვე წლებია მწერალთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, ამიტომაც თავდაპირველად ცოტა გუგრილად დავიწყე ლექსთა გადაფურცვლა.

რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა რუსულად თარგმნილ პირველსავე ლექსში მივხვდი: ჩემს წინაშე აღმოჩენაა - ჩვენს დროში მეტად იშვიათი. ლექსების წაკითხვისას ისეთი განცდა მქონდა, თითქოს უეცრად სპეტაკი თოვლის საფარველიდან წითელმა კენკრამ მომჭრა თვალი.

ვკითხულობდი და ვკითხულობდი და ენით უთქმელ სიხარულს განვიცდიდი. მე არაერთ ნიჭიერ ხელოვანს ვიცნობ, მაგრამ მაყვალა გონაშვილის ლექსების წაკითხვისას სულ სხვა განცდა გეუფლება, აქ სულ სხვა მადლი და სიმაღლეა.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ აზრს, რომ როგორც სხვა ყოველივე ჩვენს დროში, პოეტური სიდიადეც წარსულში დარჩა, წარსულს ჩაბარდა დიდი სახელებიც. აღარც პუშკინი, აღარც ლერმონტოვი, ვეღარ შეხვდები ჭეშმარიტ პოეზიას ჟურნალთა ფურცლებზე. მაყვალა გონაშვილი კი დიდ წინაპართა გზის გამგრძელებელია: მარინა ცვეტაევას, ანა ახმატოვას და ლესია უკრაინკას სადარი პოეტი. იმ გარდასულ დროთა წარმომადგენელი, როცა სამყარო არა კაცუნებით, არამედ დიადი პიროვნებებით იყო დასახლებული. რთულია მაყვალა გონაშვილის პოეტური სამყაროს თარგმანის ჩარჩოებში მოქცევა, იმ ვნებათა ღელვის, იმ აზრთა სიღრმის, იმ ფილოსოფიური განცდებისა. ქალურად ტკივილიანი და ტრაგიკული ლექსები მაყვალა გონაშვილისა თანამედროვე საქართველოს ნაცრისფერ ყოფაზე მიგვანიშნებენ, თითქოს პოეტ ქალს ქვეყნის ტრაგედიის ნათითურები სახეზე ამჩნევიაო, ესაა მკვეთრი გამოხატულება პირქუში მწუხარებისა, რომელსაც ფერადი საღებავებით ვერ გადაფარავ. და ჩვენთვის, უკრაინაში მცხოვრებთათვის ეს განცდა განსაკუთრებულად ახლობელია, რადგან ისეთივე ტრაგედიას ვეჯახებით, რაც უკვე გადაიტანა საქართველომ.

ვკითხულობ მაყვალა გონაშვილის ლექსს „ქვის ქალაქი“, მეტაფორებით მდიდარ და საინტერესო ლიტერატურული ხერხებით დატვირთულ ნაწარმოებს. ავტორი აღგვიწერს მოჯადოებულ ქალაქს გულგრილი ადამიანებით დასახლებულს. - ეს რა ქალაქია? - მოჯადოებული! აქ შესვლა საშიშია! -რატომ? -ყველა საქმიანობს, არავის სცალია, და მხოლოდ ძაღლი ცნობს პატრონს.

მახსენდება ჩემი ინტერვიუ ვლადიმერ სარიშვილთან: სწორედ მან მიამბო 2007 წელს ღამის 4 საათზე, როგორ განდევნეს ქართველი მწერლები საკუთარი ისტორიული შენობიდან ხელისუფლების ბრძანებით ნიღბიანმა პოლიციელებმა, როგორ ყრიდნენ შეიარაღებული ნიღბოსნები მწერალთა წიგნებსა და ისტორიულ ნივთებს ფანჯრებიდან, როგორ აბიჯებდნენ ჩექმებით გალაკტიონისა და ტიციან ტაბიძის სურათებს, როგორ გამოვიდა მთელი უბანი შუაღამისას მწერალთა კავშირის დასაცავად. ერთი მეზობელი, მუსიკოსი კაცი, როგორ უყვიროდა პოლიციელებს: - მანქურთებო, მანქურთებოო! და რა იცოდნენ „რკინის კაცებმა“, რომ მანქურთი ჩინგიზ აიტმატოვის რომანის ყველაზე შემზარავი გმირია, მონა, რომელმაც საკუთარი დედა

მოკლა.

ერთ-ერთმა პოლიციელმა ჰკითხა მაყვალა გონაშვილს, რას ნიშნავს მანქურთიო? და როცა პასუხი მოისმინა, ხელი შუბლზე იტაცა და ამოიოხრა. მაგრამ ვერავითარმა გამოცდამ ვერ გატეხა მაყვალა გონაშვილის მტკიცე სული და მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. ყოველ ლექსში ჩანს მისი ღირსება და სიმტკიცე. ახლა ამ სტრიქონებს მოვუსმინოთ მაყვალა გონაშვილის მცირე პოემიდან „გაზეთის გამყიდველი ბიჭის სიმღერა“ : რა არ წერია ამ გაზეთში, რას არ გაიგებ, რომ გაოცდება ყოვლისმცოდნე არსთაგამრიგე. რომ უკვე დროა, ვაშენებდეთ ქალაქში ბორდელს, რომ ღირსეულიც ზოგჯერ იღებს ღირსების ორდენს, ისევ ბერავენ პარლამენტში ზღაპრების გუდას, ისევ ესვრიან რჩეულ კაცებს ტალახის გუნდას და იყიდება ყოველივე - სულიც, სხეულიც, ჩემი სამშობლოც, უფლის კვართად გადაქცეული.

მაყვალა გონაშვილთან შეხვედრას სულმოუთქმელად ველოდი, საინტერესო იყო შეხვედრა პოეტთან, რომლის ლექსებიც ადამიანის სულის უნაზეს სიმებს ეხება.

და ის სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა : უშუალო, ბუნებრივი ქალი, კარგი მეუღლე, ორი მშვენიერი შვილის დედა. ძალიან ხშირად „დიდი“ პოეტები უცნაურად გამოიყურებიან, საუბრობენ წამღერებით, ლექსებს კითხულობენ განსხვავებული მანერით, იცმევენ უცნაურად, რითაც ხაზს უსვამენ საკუთარ განუმეორებელ პოეტურ ინდივიდუალობას. მადლობა ღმერთს, მაყვალა გონაშვილისთვის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია, ის მხიარულია, უშუალო და მეგობრული, მისთვის უცხოა განდიდების მანია, არ არის კომპლექსებით შეპყრობილი, ასეთიც უნდა იყოს ნამდვილი პოეტი, რომელიც სულის სიღრმეში მალავს ღვთაებრივ სხივს, ისე როგორც ანგელოზი ფრთებს, სხვათა თვალთაგან რომ მალავს სანამ არ დასჭირდება.

ერთ მშვენიერ ლექსში „ოჯახი“ მაყვალა გონაშვილი ასე ესაუბრება თავის მეუღლეს მერაბ კეზუას, ვაჟკაც და ნათელ პიროვნებას.

მხარს მხარზე გადებ და გვეზრდება მხრები ფრთებივით,

რომ დავიფაროთ ავთვალისგან ჩვენი კერია.

თვით უკვდავებაც მათ ღიმილთან, არაფერია!

და მაინც ყველა პოეტი მალავს გულის სიღრმეში წარსულის ცრემლებსა და სიმარტოვის ტკივილებს, რომელიც ფურცელზე ლექსად ჟონავს. ჰოი, რა ვნებები, რა ტკივილები, რა ღვთიური სიშორეა მაყვალა გონაშვილის სატრფიალო ლირიკაში: მოგდევს ქუჩები ვნებიან მზერით, შენი საყურეც მზესავით ელავს და იმის გარდა, ვინც შენ გიყვარდა, საოცარია, უყვარხარ ყველას. დარბაზი სავსე ტკვილით, თრთოლვით, შენი ლექსები იქცა თილისმად, და გულისყურით გისმენს სუყველა, ვისთვისაც წერდი, გარდა იმისა. როცა გაყვები გზებს უკვდავების, ჩამოეშვება მწუხარე ფარდა, სუყველა მოვა და დაგიტირებს, ვისთვისაც მოკვდი იმ ერთის გარდა.

თავად თბილისიც ზოგჯერ „წვიმისად“ იქცევა, როცა სიყვარული გტოვებს: თბილისი თითქოს იყო „წვიმისი“, ჩემსავით ვეღარ გამოიდარა, დახურულია ყველა სარკმელი, გადახსნილია ყველა იარა. უკვე გასრულდა ჩვენი ბრძოლებიც, უკვე გასრულდა და გაილია, ამეკვიატა ფიქრები მაინც, ის ქალი ნეტავ რანაირია. ახლა თაფლობის მზეს ლოკავთ, ალბათ, და ხარ სამოთხის ურცხვი სტუმარი, მე კი ასპიტი მიკოცნის კერტებს, მიდევს ნარ-ეკლის თავსასთუმალი.

და მაინც, მაყვალა გონაშვილის ლექსებში იმედის სხივი კიაფობს, რწმენას გმატებს, რადგან პოეტი წინასწარმეტყველია და ერისთვის ხვალინდელი დღის გამკვლევი. წიგნში „დაგვიანებული შეხვედრა“ მთარგმნელთა უმშვენიერესი კრებულია: ალესია ნიკალაევა, ვლადიმერ სარიშვილი, ნიკოლოზ პერეიასლოვი, ელენა ივანოვა-ვერხოვსკაია, ვლადიმერ ერიომენკო, გალინა პავლოვსკაია, ევგენი სლივკინი, სუსანა არმენიანი, ელენე იუდკოვსკაია, ტატიანა ფლოროვსკაია, ვლადიმერ არტიომოვი, დავით ჭყონია, ნათან ბააზოვი და ნატალია არიშინი - მთარგმნელები, რომელთაც ძალღონე არ დაიშურეს მაყვალა გონაშვილის ლექსების ორიგინალის დონეზე სათარგმნელად.

არის ასეთი აზრი, რომ მთარგმნელები ხშირად შეალამაზებენ ან პირიქით სიდიადეს უკარგავენ ლექსს. მადლობა ღმერთს, რომ მაყვალა გონაშვილის შემთხვევაში ასე არ მოხდა. წიგნში, სადაც ამდენი განსხვავებული შემოქმედებითი ძალის მთარგმნელია, განსხვავებული თავისი ხელწერითა და მანერით, კრებული ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მასში ერთი ავტორია - მაყვალა გონაშვილი, ერთი კალამი, ერთი გამოცდილი ხელი ოსტატისა, აი რაშია მთარგმნელთა დამსახურება.

მაყვალა გონაშვილის ლექსებში ნაციონალური კოლორიტი და წარსულის სხივი კიაფობს, ამავდროულად ის საოცრად თანამედროვეა XXI-ე საუკუნის ადამიანისთვის. მისი ლექსები, მისი მეტაფორული აზროვნება არ არის ფანტასტიკური კონსტრუქციებით გადატვირთული, რაც ხშირად გვხვდება მოდერნისტებში.

ყოველი ახალი ლექსი მოულოდნელია, როგორც აღმოჩენა, მრავალფეროვანი რითმებითა და ტექნიკური ხერხებით, ეს ყოველივე კი ინსტრუმენტია და არა თვითმიზანი. ამიტომაც, პირველი შეხვედრისას ამას ვერც გრძნობ. ეს უფლის მადლია და არა კარგი სკოლა. იქნებ ვცდები კიდეც, ვის ძალუძს იყოს პოეზიის მოსამართლე მაღალ ეშელონებში.

ვკითხულობ ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სტრიქონებს მაყვალა გონაშვილის შემოქმედებაზე, რომლებიც რუს მკითხველს პოეტი ქალბატონის პორტრეტს უხატავენ. აი, რას წერს ქართველი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი მაყვალა გონაშვილის ლექსებზე:

„მაყვალა გონაშვილი ერთი იმათგანია, რომელმაც კარგად იცის, ქვეყნის წინაშე რაოდენ დიდი ვალი აქვს, როგორც ქალსა და როგორც პოეტს. იცის, რომ „საქართველოში ათგზის ძნელია იყო პოეტი და იყო ქალი.„

ძნელად გასავლელ გზას შესჭიდებია პოეტი ქალბატონი და აფერუმ, ღირსეულადაც.

რა უნდა იყოს ლამაზი ქალის მშვენიერი ლექსების გამოსარჩლებაზე უფრო საამაყო, როცა იგი „სევდით სავსეა, როგორც ღრუბელი და თვით არ იცის, როდის იწვიმებს“... განა უკვე არ იწვიმა ლამაზმა პოეტესამ თუნდაც იმით, რომ სამშობლოს უთხრა:

„მაინც როგორ გიხდება ეს წყეული სიმღერა,
„მომავალი შენია„! შენია და ელოდე.
ასე როგორ მივიდეთ, ასე დაჩოქილები,
ასე ხელგაწვდილები ხვალის საქართველომდე?!„

უკვე ამით არ იპყრო მან ხელთ ქართული პოეზიის აწმყო?! თავისი წილი!

მკითხველმა ბრძანოს, მართალი ვარ, თუ - არა.„

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე მას პოეზიის ამორძალს უწოდებს და წერს:

„როცა შენზე ვფიქრობ, თვალწინ მიდგას ხოლმე ჭეშმარიტი პოეზიის ნათლით მოსილი, ყანაოთისფერი ქალი, ჯვარივით რომ უპყრია ზეშემართული, თავისი ერისადმი მიძღვნილი ძვირფასი საჩუქარი - საკუთარი სულის ლირიული ხატი - წიგნი და ფეხშიშველი მიუძღვის მკითხველს განწმენდის ცისფერ ბილიკებზე.„

ცნობილი ქართველი რეჟისორი რეზო ჩხეიძე ასე ახასიათებს მას:

„თქვენი პოეტური სტრიქონები ისე ელავს, როგორც ნიჭიერება და სიბრძნით ნარევი ამბავი.„

„მისი ღვთაებრივი საიდუმლო მისსავე პოეზიაშია და, რათქმაუნდა, რწმენით ვამბობ, რომ მისი პოეზია ნაწილია დიდი ქართული პოეზიის ჭეშმარიტებისა.“ - ბრძანებს პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი.

„მე თაყვანს ვცემ მაყვალა გონაშვილს არა როგორც მხოლოდ კარგ პოეტს, არამედ როგორც ბრწყინვალე პიროვნებას, როგორც მშობლიური მიწის რჩეულ ასულს, რომელიც შემკულია ყველა ღირსეული თვისებით.“ ეს სიტყვები კი ცნობილ ქართველ მხატვარს გივი თოიძეს ეკუთვნის.

ძნელია ყოველივე ზემოთქმულს რაიმე დაემატოს, მაყვალა გონაშვილმა საქართველოსთან ერთად გადაიტანა შიმშილი და სიცივე, ტკივილი და იმედგაცრუება, მაგრამ დარჩა ისეთივე ნათელი და მშვენიერი, როგორც წითელი კენკრა თოვლის საფარველიდან.

ნატალია ვარენიკი (ცნობილი უკრაინელი მწერალი, ოქროს კალმის მფლობელი, უკრაინული ლიტერატურული ინტერნეტ-ჟურნალის „მწერალი ინტერნეტ სივრცეში“ რედაქტორი.)

დათო ახლოური

მარტოდენ ქალი?

ქალზე უფრო
მეტი ხარ ჩემთვის,
გიჩემებს გული,
შენი სუნთქვა
ჩემს სუნთქვას
ერთვის...
ანგელოზი ხარ...
ცისიერი...
უფრო ღვთიური...
არის რაღაცა
შენში უცხო,
ფანტასტიური...
შენი თვალები
უფრო ღრმაა
უძირო ზღვაზე...
შენ ახლა
ჩემთვის
სიყვარულით
მეტი ხარ სხვაზე...

მე, შენ და გვირილები

- ვუყვარვარ?
- არა?
ეკითხები
ისევ გვირილებს,
ისევ ბავშვი ხარ,
სიყვარულო,
ბავშვივით ხარობ...
როცა ღიმილით
წამოგცდება:
,,შენი ჭირიმე,"
გვირილა
როგორ გაგიბედავს, -
,,არ უყვარხარო..."

- ვუყვარვარ?
- არა?
ყველაფერი
ღმერთის ნებაა,
ის რაც გულშია,
შენია და
გიჭირს გამხელა...
ჩემი ცხოვრება
დაკარგული
ნეკნის ძებნაა,
ნეკნის, რომელსაც
სიყვარული
ჰქვია სახელად...

* * *

წლები ყოფილაო საქანელა,
არც კი დაგაცდიან გაღიმებას...
თითქოს გუშინ იყო დაქალება,
თითქოს ახლა იწყებ დაღვინებას...

მაინც გეფიქრება, რომ ათასი
თვალი გზაზე აღარ მიგაცილებს...
უკვე დაწყებულა თოვა თმაში,
უკვე გენატრება სიყმაწვილე...

რა დრო გასულაო, დალოცვილი, -
იტყვი მოწყენით და დადინჯებით.
მაგრამ, სულაც არ ჩანს გამოცვლილი
იგი, ვინც გიყვარდა გაგიჟებით...

გულში ისევ სითბო იბევრებს და
რა დროს წლებიაო, - გაოცდები...
ჭირსაც წაუღია სიბერე და
თვალთან გაჩენილი ნაოჭები...

* * *

მოჰყვები ჩემს ქუჩას ლამაზად,
ქალური ხიბლით და ქერა თმით...
ფიქრების ტყვე ვხდები ანაზდად,
თვალს ვეღარ გაშორებ ვერაფრით...

გიმზერენ ველური იერით
და ქარიც მამრივით ავშარობს.
ვნება კი, ასეთი მშიერი,
ფეხდაფეხ მოგყვება ქალშავო...

არ ვიცი, ან ჩემგან რა გინდა,
ან სხვას რად
ულიმი ამ დილით...
ლამის და გაიქცეს კაბიდან
სხეული - თვალებით გახდილი...

უფალს ვთხოვ: ღვთის მადლო, ამ წა-
მებს
ნუ მოშლი, ნურც გამომილევო.
მერე რა - თუ ფიქრი მაწამებს,
თუ მზეზე მწველი ხარ, ლილეო...

ღმერთქალო, გიმზერდე, სულ მინდა,
ხან მზის და ხან მთვარის ჯინაზე.
ვერსაით წამივა გულიდან
ეგ შენი ველური სინაზე...

მოჰყვები ჩემს ქუჩას ლამაზად
და ქარიც მამრივით ავშარობს...
იღვიძებს ვნება და ანაზდად
მუხლებზე გასკდება, ქალშავო!

* * *

ის, ვინც ყველაზე ძალიან გიყვარს,
ის, ვინც ყველაზე ძალიან მოგწონს,
ვისაც მიუძღვნი შენს ყველა სიტყვას,
ვინც გულისგულში დაგინთებს კო-
ცონს,

ვინც გეფიქრება დღისით და ღამით,
ვინც შენთანაა ცხადში თუ სიზმრად,
ვინც არ გავიწყებს წუთით და წამით
სიცოცხლის ხიბლს და ცხოვრების
მიზანს...

ვისიც, როგორც კაცს, გექნება ვალი,
ვისზეც ყოველწამს გიჭირავს თვალი,
ვინც იმედი და რწმენაა ხვალის
იყო, არის და იქნება ქ ა ლ ი!

* * *

მამულო ჩემო,
ყველამ დაგთმო,
ყველამ გაგწირა,
ჩამოგაქციეს,
არ გაკმარეს
ასჯერ გაყოფა,
გაყიდულია
ქართლის მიწა
ნაწილ - ნაწილად,
ფეხზე ჰკიდიათ
შენი ყოფნა,
შენი არ ყოფნა...

მამულო ჩემო,
არ ეღირსა
ამოსვლა შენს მზეს,
ამ ყრუ სოფელში
აღარ ვიცი,
ვიღას მივმართო...
ხომ შესძელი და
წამოდექი
ათასჯერ ფეხზე,
უნდა შეძლო და
ერთხელ კიდევ
წამოიმართო!

წამომყევი კოლხიდას...

მიდის ჩვენი დღეები,
უბრალო და მარტივი,
ესეც ჩვენი ბრალია,
მოწყენილად თუ მიდის,
წამომყევი კოლხიდას,
ვინახულოთ მარტვილი,
მოვიაროთ აბაშა,
სენაკი და ზუგდიდი!

რა იცი და ლაზიკა
იქნებ ჩემი ბედია,
ისევ იქით მიმიწევს
სისხლი მხნე და ჯიქური,
ჩემი ნოქალაქევი
როგორ მომნატრებია,
როგორ შემყვარებია
სითბო წალენჯიხური...

განა მარტო პოეტი,
განა მარტო მწერალი,
მხედარი ვარ ფხოველი,
მაყოლებენ თვალს შურით,
უყვართ ოდიშელებსო
გაფრენილი მერანი,
რას მიქვიან ძარგვალი
ანდა, თუნდაც ლაფშური...

ცოტნეც ალბათ აქვეა
ცხენისწყალთან გართული,
ჯგალი ღმერთთან საუბრობს
მეოცნებე კაცივით,
ძმაო, ლხინი მომინდა,
სხვანაირად ქართული,
ოჯალეშით დათრობა,
ელარჯი და საცივი.

არც მარტოდენ ღვინო და
არც მარტოდენ პურობა,
ქართველობით ვყოფილვართ
ოდითგანვე საქები,
დედის ხატით იცნობა
ჯიმა, აქაურობა,
მლოცავს ჩემი ჩხორი და
გზას მინათებს ვლაქერნი.

მინდა ხელით შეხება
უფლის ყველა შედევრთა,
ძველი საგალობლები,
ლოცვა ტაძრის ჩეროში...
ტატოს ეკატერინე,
დედოფალი მენგრელთა
გვიმასპინძლებს გულუხვად,
თავის სამფლობელოში...

გველოდება ჯვარი და
ჯიხაშკარის ხარება,
ხატების წინ მუხლმოყრა
ეს ხომ სულის ჰობია,
გულის დასაამებლად,
ძმების გასახარებლად,
აქ ხომ ჩვენი ფოთი და
აქ ხომ ჩვენი ხობია...

ენა ქართულ - ლაზური,
უკვდავია მარადის,
დროსთან მედგარ ჭიდილში
საუკუნოდ გაძლებს და...
არ მთავრდება ყოველი
კრწანისით და მარაბდით,
სადიდგორედ იწვრთნება,
უფლისწული აღმზრდელთან....

დავივიწყოთ დღეები,
უბრალო და მარტივი,
მთვარის მოსატაცებლად
ვიდრე ბორგავს ენგური...
მოვიაროთ ჩხოროწყუ,
ზუგდიდი და მარტვილი,
მომენატრა სითბო და
სიყვარული მეგრული...

* * *

ნეტა როგორ არიან
ქსანზე ჩემი სწორები,
ჰოი, ჩემო მიწაო,
რა ახლოს და
რა შორს ხარ...
ალბათ თმაშევერცხლილი
აღარ მოვეწონები,
ქსნის ნაპირთან
დარჩენილ
ჩემს უდარდელ
ბავშვობას...

ჩვენი წუთისოფელი
გზა ყოფილა სევდისა,
ერისთავთა მამულში
ვერ ქართველობს
ქართველი...
არ იდარდო,
დედაო,
ეს სიმუხთლე ბედისა,
ისევ მოვალ ახალგორს
ანთებული სანთლებით...

ჰოი, ჩემო მიწაო,
რა ახლოს და
რა შორს ხარ...

* * *

მიდის ზამთარი,
ისევ ცივად,
ისევ უშენოდ,
გადარეული
ქარია და
თოვლია გარეთ.
მოდი ერთხელაც
ჩვენს სიყვარულს
რამე ვუშველოთ,
ვაითუ უკვე
გაცივდა და
ვერ მოვუარეთ...

ვაითუ მხოლოდ
წარსულია
რაც უკვე იყო,
იქნებ
ნოემბერს
შევატოვეთ
ღამე თავნება...
არ შემიძლია,
რომ დაგტოვო,
რომ დაგივიწყო,
ისე მიყვარხარ,
უშენობა
დამენანება...

თოვს და
საყვარლად
ეფინება
თოვლი სახურავს,
გაყინულ
ფიფქებს
ვეღარ ვტოვებ
ღამის იმედად...
ათას იანვარს
ეყოფოდა
ალბათ ზაფხულად
გული, რომელიც
უშენობით
გამიცივდება!

საპრემიო კაკაფონიის შესახებ

თამაზ გოშაძე

მწერლობა მარტოოდენ ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანის თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის ფორმა არ არის (როგორც ზოგიერთს ჰგონია). მას უფრო ფართო მასშტაბები აქვს. მწერლობა გახლავთ ერისა და მაშასადამე კაცობრიობის სამსახურის არენა, საყოველთაო პროგრესისა და ჰარმონიის დამკვიდრების ტრიბუნა, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ასპარეზი და სწორედ აქედან გამომდინარეობს ლიტერატურის დიდი ეროვნული და სოციალური ღირებულება.

რაკი მწერალს, როგორც ბუნების რჩეულს, ამხელა ტვირთი აქვს წამოკიდებული, ბუნებრივია იგი ვერ დარჩება ვიწრო კაბინეტში ეულად მიყუჩულ, ჩრდილში მიმჯდარ პიროვნებად. იგი თავისი ხალხის ტრიბუნია და დიაღაც აქვს პრეტენზია უსმენდნენ და, თუ მის აზრებს ბოლომდე არ გაიზიარებენ, ანგარიშს მაინც გაუწევდნენ ხოლმე.

აქედან გამომდინარეობს ხელოვანის სრულიად გასაგები ამბიციურობა (მხედველობაში გვაქვს თავის გამოჩენის ბუნებრივის ურვილი და არა ავადმყოფური განდიდების მანია). ისიც საგულისხმოა, რომ მუზების მსახურს სიამოვნებას ჰგვრიდეს ყოველგვარი წახალისება, მისი შემოქმედების დაფასება და თუნდაც დამსახურებული პრემია. თუმცა პრემიის მიღება თვითმიზნად არ უნდა იქცეს და საპრემიო კომიტეტს ყოველ წელიწადს ჯიუტად არ უნდა წარუდგენდე ხოლმე წინა წელს დაწუნებულ ნაწარმოებს.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დღეს საქართველოში, ისე როგორც ეს სხვაგან არცერთ ქვეყანაში არ გვხვდება, გაუგონრადაა ჩაწიხლული და იგნორირებული მწერლობა. ოფიციალური წრეები ზიზღით უცქერიან მწერალს, რადგანაც გრძნობენ, რომ სწორედ მან და მხოლოდ მან იცის პოლიტიკოსთა გონებრივი სიღატაკე და დაუოკებელი სწრაფვა ხელისუფლებისაკენ. ასე განსაჯეთ, გაუქმებულია ყველა სახელმწიფო გამომცემლობა და მთავრობამ მწერალს მოუსპო თავის ხალხთან ლიტერატურის ენაზე ურთიერთობის საშუალება, უფრო მეტიც, მთავრობამ სახელოვანი მწერლები გულქვა მილიონერ ბიზნესმენთა კარებთან რიგში ჩამდგარ, სპონსორის მაძიებელ „მათხოვრებად“ აქცია. სწორედ ამ დროს ლიტერატურული პრემია ლამის ერთადერთი გზაა, რომელსაც შეუძლია მწერლის სახელი გაახმაუროს და მკითხველ საზოგადოებას მისთვის ყურადღება მიაქცევინოს.

ახლა ვნახოთ, ვის ხელშია ე. წ. პრესტიჟული პრემიების მინიჭების ბედი და ხდება თუ არა კომპენტური ჟიურის მიერ ამ პრემიათა მინიჭება.

დავიწყოთ რუსთაველის პრემიით. არსებობდა რუსთაველის პრემიის კომიტეტი და ოთხ წელიწადში ერთხელ საპრემიო კომიტეტის გადაწყვეტილებით (ფარული კენჭისყრით) ეს პრემია მიენიჭებოდა განსაკუთრებით გამორჩეულ მხატვრულ ნაწარმოებს.

თვითნება სააკაშვილმა ეს კომიტეტი გააუქმა და კულტურის მინისტრის წარდგინებით (?) ყოველგვარი მსჯელობისა და ხმის მიცემის გარეშე, თვითონ ანიჭებდა რუსთაველის პრემიას მისთვის სასურველ, ნაცმოძრაობასთან დაახლოებულ პირებს. თქვენ წარმოიდგინეთ, კულტურის სამინისტროს მიერ წარდგენილი სიიდან სააკაშვილმა 2013 წელს 4 კანდიდატი (მათ შორის გივი ბერიკაშვილი) ამოიღო და თავის მხრივ 5 კანდიდატი დაამატა. დაამატა ისე, რომ პრეზიდენტის ფავორიტ იმ ხუთ პიროვნებას წარდგენილიც არ ჰქონდათ საბუთები საქართველისპრემიოდ.

ეს განუკითხაობა რუსთაველის პრემიასთან მიმართებაში დღესაც გრძელდება. არც „ქართულმა ოცნებამ“ აღადგინა რუსთაველის პრემიების კომიტეტი და კვლავ საეჭვო გზებით ხდება საქართველოს ამ უმაღლესი სახელოვნო პრემიის მინიჭება. მტკიცება არ ჭირდება იმ გარემოებას, რომ ყოველივე ამის გამო რუსთაველის პრემია დაკნინდა და გაუფასურდა.

კიდევ უფრო სავალალოა პრემია „საბას“ ბედი.

როცა ამ სამი წლის წინ ბიზნესმენა ხაზარაძემ პრემია „საბა“ დაარსა, საზოგადოებას გაუკვირდა. გაუკვირდა იმის გამო, რომ ჯერ ერთი საქართველოსთვის ახალი ხილი გახლდათ მილიონერის მიერ ლიტერატურული პრემიის დაწესება და მეორეც არსებობდა საშიშროება, რომ ფულიანი კაცი ამ პრემიით ენერგიულად ერეოდა ლიტერატურულ პროცესში და მისი გემოვნებიდან გამომდინარე მისთვის ბნელი გახდებოდა ამ პრემიის ობიექტურად განაწილება. თქვენ წარმოიდგინეთ, სხვა ბიზნესმენებიც რომ ჩვენთვის ძვირფას კლასიკოსთა სახელებს წაეპოტინონ და მათი სახელობის პრემიები დააწესონ, რა სურათს მივიღებთ, უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ხაზარაძეს და მისთა მსგავსთა ფული პირდაპირი წესით დაერიგებინათ გამოჩენილი მწერლებისათვის, ან დაეფინანსებინათ მათი ნაშრომების გამოცემა. მაგრამ ბავშვიც მიხვდება, რომ ამ ნაბიჯის მიღმა მილიონერის სახელის განთქმის სურვილიც იმალებოდა, ასე იყო თუ ისე, ჩვენ მაშინ გავუჩუმდით ხაზარაძის ამ ფრიად საეჭვო ნაბიჯს, მაგრამ გავიდა წლები და სწორედ ის მოხდა, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა. „საბა“ შინაურ წრეში ჩამოსარგებელ პრემიად იქცა. შთაბეჭდილება რჩება, რომ ფორმალურად არსებული ჟიური არა თუ საპრემიოდ წარდგენილ ნაწარმოებებს, ავტორთა სიასაც კი არ ეცნობა და ქართულ საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრის; წლის ბოლოს მოაწყობს „საბას“ პრემიის გადაცემის პომპეზურ სანახაობას, მაგრამ ვინ არიან გამარჯვებულნი, ანუ „საბას“ პრემიის ახალი ლაურეატები? ან წინაწლებში ორ–სამჯერ უკვე პრემია მიღებული „შემოქმედნი“ ხაზარაძესთან დაახლოებულ ადამიანთა წრიდან, ან ის „ახლები“, რომელთა „ნაწარმოებებიც“ საზოგადოებამ არ მიიღო, კრიტიკამ უკუღმართ, ავადმყოფურ ნაწარმოებებად მიიჩნია, მაგრამ „საბას“ პატრონებმა სწორედ, რომ საზოგადოების გასაღიზიანებლად, ჯანსაღი ლიტერატურული აზრის საპირისპიროდ სწორედ ისინი შეარჩია და პიტნასავით სჩრის ცხვირში მკითხველს.

„საბას“ შეფასებაში რომ მარტო არა ვარ ამის საილუსტრაციოდ ზურაბ ოდილავაძის წერილიდან ერთ ციტატას მოვიშველიებ:

„ჩვენი საზოგადოება კარგახანია თვალს ადევნებს, თუ როგორ გადააქციეს „სახაზინო“ მწერლებმა და მათმა მფარველებმა „მეცენატებმა“ და მხცოვანმა ინტელიგენციამ ლიტერატურული კონკურსი „საბა“ თვალთმაქცობისა და ნეპოტიზმის პროვინციულ საცირკო წარმოდგენად“ (ჟურნალი „ცისკარი“, №9, 2015 წ. გვ. 52).

ჭეშმარიტებაა, მაგრამ ერთ მოკრძალებულ შეკითხვას დავუსვამდი „ცისკარში“ გამოქვეყნებული ამ მართალი წერილის ავტორს: რომელ სახელოვან, მხცოვან მწერალს ხედავთ „საბას“ ჟიურში, ბატონო ზურაბ? ხაზარაძემ ჟიურის წევრებადაც თავის ახლობელთ აწრიდან ისეთივე საეჭვო ნიჭის მქონე წევრები აირჩია, როგორ საეჭვო კანდიდატებსაც ანიჭებენ ისინი „საბას“ პრემიას. „მსგავსი ყველასი მსგავსსა შობსო“, რუსთაველი ბრძანებს და მართლაც ასეა. უნიჭო ჟიურის წევრები უნიჭო ლაურეატებს ბადებენ.

სახელგატეხილი „საბას“ ბედს იზიარებენ და მის სამარცხვინო გზას მიუყვებიან ერთი პედაგოგიური უნივერსიტეტის მიერ დაარსებული უღიმღამო პრემიები: „გალა“, „წერო“ და „წლის საუკეთესო რომანი“. ჯერ ერთი რა ფამილარობაა პრემიისთვის „გალას“ დარქმევა და მეორეც ვინ ანიჭებს პრემია „გალას?“ რა პირმოთნეობაა. რა შეთამამებაა დიდი გალაკტიონის სახელთან. რომელი „კომპეტენტური“ ჟიური უთათუნებს მხარზე ხელს „ლურჯა ცხენების“ ავტორს მისი სახელობის პრემიის გაცემით? ან ვინ მუშაობს პედაგოგიურ უნივერსიტეტში პროზის ისეთი მაღალპროფესიული შემფასებელი, რომ „წლის საუკეთესო რომანის“ ბედი გადაწყვიტოს? რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რომ მთელს პედაგოგიურ უნივერსიტეტში ერთი ნორმალური კრიტიკოსიც არ მუშაობს და ნაციონალისტები ანიჭებენ „წეროს“ სწორედ იმათ, ვისი სახელიც ამ პრემიის მინიჭებასთან ერთად ქრება ლიტერატურის ჰორიზონტიდან.

აქ მივადექით ერთ ფრიად საჩოთირო საკითხს.

კარგად ვიცი, რომ განუკითხაობაა დღეს საქართველოში და ვისაც როგორ მოეხასიათება, ჭრის და კერავს, მაგრამ სადაც სინდის–ნამუსს გასავალი არა აქვს, რაღაცნაირმა სახელოვნებო კანონმდებლობამ ხომ უნდა მოაწესრიგოს ლიტერატურული პრემიის დაარსების საკითხი. სახელდობრ:

მადლობა ღმერთს, არსებობს საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც სათანადო მსჯელობა–განხილვის შემდეგ, საპრემიო წესდებათა გათვალისწინებით, მწერალთა კავშირთან არსებული პრემიების განმანაწილებელი კომისიის ეგიდით გასცემს გარდა რუსთაველის პერმიისა, ყველა კლასიკოსის სახელობის პრემიას. ეს ტრადიცია უკვე ლამის ერთ საუკუნეს ითვლის და მწერალთა კავშირის კომპეტენტურობაში აქამდე ეჭვი არავის შეუტანია, მაგრამ ამ ბოლო დროს ხდება აღმაშფოთებელი შემთხვევებიც. ზოგიერთი „გაერთიანება“ როცა მოეპრიანება მაშინ აარსებს მისთვის სასურველ პრემიას და მწერალთა კავშირის გვერდის ავლით ერთპიროვნულად ანიჭებს იმ პრემიას მავანს და მავანს.

ერთ მაგალითს დაგისახელებთ:

„ვაჟაობაზე“ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა მთავრობის თავმჯდომარეს მიმართეს თხოვნით ვაჟა–ფშაველას პრემიის ლაურეატებისთვისაც (ისე როგორც ეს ხდება რუსთაველის პრემიის შემთხვევაში) დაენიშნათ ყოველთვიური სტიპენდია, თუნდაც 300 ლარის რაოდენობით. პრემიერი დათანხმდა და კულტურის მინისტრს დაავალა ამ საქმის მოგვარება.

როცა საქმე საქმეზე მიდგა, სამარცხვინო ფაქტის წინაშე დავდექით. საქართველოში აღმოჩნდა ვაჟა–ფშაველას პრემიის 127 ლაურეატი. აქედან მწერალთა კავშირს ვაჟას პრემიის ლაურეატობა მინიჭებული აქვს მხოლოდ 14 მწერლისთვის, საიდან მოვიდა დანარჩენი 113? თურმე ნუ იტყვით, ვაჟას პრემიას წლების განმავლობაში არიგებდა თურმე „ბავშვთა ფონდი“, „ვაჟა ფშაველას საზოგადოება“, „მთიელთა ფოლკლორული საზოგადოება“ და ა. შ. ასე რომ ბოლოსდაბოლოს კულტურის სამინისტროს მოთმინების ფიალა აევსო და ნამდვილ ლაურეატებს გამოუცხადა: – ჯერ თქვენ თვითონ გაარკვიეთ, ვინ ხართ ნამდვილი და ვინ ფსევდო!...

ასე რომ, ყველამ თავის სინდისში ჩაიხედოს და თავი გაანებოს არამკითხე მამიდის პოზაში დგომას.

საქართველოში ერთადერთი მწერალთა კავშირია და მან უნდა გასცეს ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონის, გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლადო ასათიანის და სხვა პრემიები.

თუ პრემიების თვითნებურად დაარსების პრაქტიკა გაგრძელდება შეიძლება რომელიმე ფულიანმა საზოგადოებამ ერთ მშვენიერ დღეს რუსთაველის პრემიების კომიტეტის და პრეზიდენტის გვერდის ავლით რუსთაველის პრემიაც დააწესოს და მერე ნახეთ იმ „დაწესებულებასთან“ გამართული რუსთაველის პრემიის მაძიებელთა დოღი.

ათეული წლების განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი აკადემიკოსთა მორიგი არჩევნების დროს ერთ–ერთ გამოჩენილ მწერალს ღია კენჭისყრით ირჩევდა თავის რიგებში და ანიჭებდა „მწერალი – აკადემიკოსის“ ტიტულს. მწერალი აკადემიკოსი ითვლებოდა აკადემიის ნამდვილ წევრად და სარგებლობდა აკადემიკოსის ყველა სოციალური უფლებით. მწერალი–აკადემიკოსის საპატიო ტიტულს სხვადასხვა დროს ატარებდნენ გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე, გიორგი ციციშვილი და სხვები. უკანასკნელ წლებში მწერალ–აკადემიკოსად არჩეული იყო მუხრან მაჭავარიანი.

მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიამ მწერალთა კავშირთან შეთანხმების გარეშე სრულიად აუხსნელად და დაუსაბუთებლად მიიკეტა კარები და თანამედროვე მწერალთაგან აკადემიკოსობის ღირსად არავის სცნობს. რითი აიხსნება ეს სავალალო იგნორირება ქართველი მწერლებისა აკადემიის პრეზიდენტის და ვიცე–პრეზიდენტების მხრიდან?

კარგი ნაბიჯი გადადგა საქართველოს მწერალთა კავშირმა უკანასკნელ წლებში „საქართველოს სახალხო მწერლის“ ტიტულის აღდგენით. ამით არა მარტო ეროვნული მწერლის სახელი და დიდება ამაღლდა, არამედ მწერლისა და ერის ერთიანობასაც გაესვა ხაზი.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, „სახალხო მწერლის“ წოდება გამოჩენილ მწერალს მიენიჭება ხუთ წელიწადში ერთხელ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ტიტული ხუთ წელიწადში რომელიმე მწერალს აუცილებლად უნდა მიენიჭოს. ქართველი მწერლისთვის ამ უმაღლესი წოდების მინიჭებას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. გადაწყვეტილება ლამის ერთდროულად უნდა მიიღოს ერმა და ბერმა, მწერალთა კავშირმა და ხელისუფლებამ, საზოგადოების ფართო ფენებმა და პროფესიონალთა გაერთიანებამ. რომ იტყვიან, სახალხო მწერლის ტიტულის მისანიჭებლად საზოგადოებრივი აზრი უნდა მომწიფდეს. ამასთან ერთად აუცილებელია სახალხო მწერალი უპირველესად თავისი ხალხის ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდეს, თანმიმდევრულად უნდა იბრძოდეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იყოს საზოგადო მოღვაწე, არ გამოხატავდეს რომელიმე პარტიის ვიწრო ინტერესებს, იყოს ქველმოქმედი, მკითხველთა შორის უაღრესად პოპულარული, ყოველდღიურად თავისი წვლილი შეჰქონდეს მწერალთა კავშირის განმტკიცებაში, უნდა ზრუნავდეს ახალგაზრდა მწერალთა მხატვრული დაოსტატებისთვის, არ უნდა დაიზაროს კოლეგათა წიგნებისთვის წინასიტყვაობის დაწერა და მათთვის სათანადო რეკომენდაციის გაწევა მკითხველის წინაშე. მისი ნაწარმოებები თარგმნილი უნდა იყოს მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, დროულად უნდა ეხმაურებოდეს ყოველ ახალ მოვლენას მისი ხალხის ცხოვრებაში.

„სახალხოობა“ რიგითი ჯილდო არ გახლავთ და არც მისი მინიჭება უნდა იქცეს განცხადება–რეკომენდაციების ჩინოვნიკური განხილვის პროცესის შემადგენელ ნაწილად.

„რაღაც სხვა, უსახელო“

ანუ ტერენტობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

გური ოტობაია

11 ოქტომბერია. ტერენტობაზე მივიჩქარით სამნი, ჩემი უმცროსი მეგობრები: დავით შამუგია, ლაშა გვასალია და მონა-მორჩილი თქვენი. გრანელობა ახალფეხადგმული ზეიმობაა საბჭოური ინერციით, როცა წელიწადში ერთხელ ზიარებასავით გაგახსენდება ერისთვის ზეზეურად წამებული თვისტომი შენი.

მსოფლიო ბელეტრისტიკაში ვერ იპოვით ტერენტი გრანელის ანალოგს, რომელსაც სულთან კომპრომისი არ დასჭირვებოდეს ესოდენ შეჭირვებული საწუთროს მიუხედავად. პოეტი ამ ბაჯაღლო ნიშნით ფასდებოდა ყველგან და ყოველთვის; და ამ დროს, ამ მოქალაქეობრივი პოზიციის დადგენისას საორჭოფო დილემად შემოაგდებს ჩვენს ცნობიერებაში პოეტი მურმან ჯგუბურია თეზას: „და მაინც რა არის ლექსი?! რითი უნდა აირწყას მისი გასაგისი?! როგორ უნდა შეფასდეს მისი ანიაგანი – ავანჩავანიო“. ამისთანა დილემის შემთხვევაში, ესთეტიკური მეცნიერების მეტრი ვილჰელმ გეორგ ჰეგელი ეპოქისთვის დამახასიათებელ ატრიბუტებს გამოხშირავს მწერლის შემოქმედებითი პროდუქციიდან. იგი მშვენიერის, ამაღლებულის ორგანიზმიდან უკუაგდებს ცხოვრებისეული სატკივრებით დამძიმებულ თემებს და პასაჟებს.

გრანუმ გრანდიოზულიდან მოდისო, იტყვის სულ რაღაც ორიოდე საათში მუზეუმის მშვენიერი თანამშრომელი სალომე კვირკველია. იგი წარმომავლობით პოეტის გენეტიკურად მოხარშულის განსახიერებაა, რადგანაც დედით ლუკავაა, ტერენტის გამჩენლის მოგვარე. და აქამდე უმცირესის მნიშვნელობით რომ გვესმოდა მისი ფსევდონიმი ვერბა, მსწრაფლ დაიბრუნებს თავის ჭეშმარიტ აღნაგს, ზუსტად ისე, როგორც პოეტს ჰქონდა ნავარაუდევ-დასაზღვრული – გრანდიოზული, ყოვლის- მომცველი, ლამის ზენაარული – „გრანელი“. განა იგივეს არ ელტვის გალაკტიონ ტაბიძეც, განა იგივეს არ ამტკიცებს ორპირის ფშანიდან ამომზევებული გალა თავისი მქუხარე სტრიქონებით: „როგორც ერთია კავკასიონი, ისე ერთია გალაკტიონიო“. ან უფრო პოეტური ენერგიის ალეგორიულობისა: „მძიმე ქვების ქუსლებით დაეყრდნობი პოლიუსს, როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება“. მაგრამ ესეც არ არის შვება, ნამდვილ დედააზრთან მიახლოვება. მაინც რომელი, ოკეანეს გრანდიოზულება თუ ფოთლიდან დაცურებული წვეთის ციაგი?!

ლექსის იშვიათი მცოდნე და თავადაც ჩინებული პოეტი მურმან ჯგუბურია პოეზიის მთავარი ძარღვის გამოვლენისას, დიადი უბრალოებისკენ გადაიხრება, რაც ესოდენად დამახასიათებელია აღმოსავლური პოეზიისათვის, გაჯერებულისათვის ჭრიჭინობელების კრუალით, იდილიური ბინდისპირულებით, შინმიბრუნებულს როცა ორლობეში მოლაზღანდარე გოგო-ბიჭები ვერ გიცნობენ და თანაც გაქირდვით სადაურობასაც გკითხავენ, საით არის სამშობლო შენიო. შენ კი ამ კრუალების გაბმულ ორკესტრში სამართებელივით შემოგეჭრება სულში: „ო, ჭრიჭინების მდევნელო შვილიო, აწ რა უცნაურ ქვეყანაში შეგირბენია“, და მიდის საუბარი იქითკენ, რომ იმ ველობის ბოლოს ბროლის ღარნაკივით ჩამოინაკვთოს სულიდან ხორცად ამონატანი სტრიქონები:

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი,
სული ნაპირს გადაცილდა ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.
ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
დღეს სხვაგვარი სიხარული ვიგრძენ,
უცხო შუქით იმოსება არე,
მინია ცქერით დაიღალა მთვარე.
გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.„

ამ ლექსის წამკითხავს, ალბათ, ყოველთვის გაგვახსენდება კონგენიალური „მონანიება“ და მისი კამერტონი პერსონაჟი, რომელიც ფრთებდამსხვრეულია ბოროტებასთან ჭიდილში, და კევინ კიზის პერსონაჟივით ყვითელი სახლის კედლებში უნდა აღესრულოს დასახელებული ლექსის ფრაგმენტის სასინანულო დუდუნით: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...“ მეტის გაგრძელება ნამდვილად არ ღირს, ამ ბეწო ესკიზში, სამყაროა ჩატეული. აქაც თვალნათლივ ილანდება ტერენტის სიჯიუტე და შეუპოვრობა სანუთროს ალტერნატიულ გაგებასთან: სიცოცხლე და სიკვდილი, ბოროტება და სიკეთე, ცაბაოთი და ბელზებელი. მას ხელს არ აძლევს საადამიანოს ამნაირი დარაიონება. მისთვის გამაღიზიანებელია ჯოხის ორბოლოიანობა. ამიტომაც ამოხეთქავს ვულკანივით: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ – რაღაც სხვა“. ეს ფრაზა რამდენადმე გახსნილია გრანელის ერთ ლექსში, სადაც საუბარია სამშობლოს ყრუ ადგილებზე და უცებ: „ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო. რომ სიკვდილი მომელის ვიცი დანამდვილებით“.

კეთილი, ბატონო, გამოიკვეთა ორიენტირი, მაგრამ რა ვუყოთ ახლა ამ „არამედ – რაღაც სხვას“, რომელიც ორ განზომილებას შორის ვერაფრით თავსდება ოქროს შუალედად და ვეღაც რომელიმეს მიკერძოებულ სატელიტად; მათ მიღმა მოიაზრება, მათ მარგინალურ ლაფაროში. იგი სულაც არ არის მობი დიკი – თეთრი ვეშაპი, ან მანდელშტამის ლურჯი ფრინველი, ასე რომ აუჩემებია თავის პოეზიაში რაღაც ირეალური, რაღაც განუსაზღვრელის სიმბოლოდ. არ განგვიმარტავს გრანელი ამ „არამედ – რაღაც სხვას“. მისხალსაც არ გამოიმეტებს, თუნდაც მინიშნებით, ქარაგმულად, გნებავთ ეზოტერიკული ენით. მაშ, როგორ მოვიძიოთ გარეშემო ეს ტრანსცენდენტალური სიდიდე?! რომელი მიკროსკოპით მივუდგეთ, სანთლისა თუ ელექტრონულით?! რომელი ტელესკოპი დავუმიზნოთ მის უჩინარ აღნაგობას?! და ენა გვებმება პასუხის ძიებისას, ვლუღლუღებთ, კეფას ვიქექავთ პეროვის ბაქია-მონადირე პერსონაჟივით. „არამედ – რაღაც სხვა“ აი, დილემა, რომელიც უპასუხოდ დარჩა პოეტი მურმან ჯგუბურიასგანაც და დაუნჯებული ესთეტიკოსების კოჰორტისგან – აკაკი ბაქრაძისაგან, გურამ ასათიანისაგან, ზვიად გამსახურდიასგან, სოსო სიგუასგან თუ როსტომ ჩხეიძისაგან. არც გეორგ ჰეგელს მოეძებნება ამ ასპექტით რაიმე ხელჩასავლები ტრიადის გარდა: თეზა-ანტიტეზა-სინთეზი, მაგრამ აქ უარყოფის უარყოფის მეთოდი ტერენტი გრანელის „მესამის“ დასადგენად აღარ ვგამოგვადგება, რამეთუ იგი არ მოითხოვს სიკვდილ-ციცოცხლესთან რაიმე ნათესაური ძაფის გამოვლენას, კატეგორიულია, ამათგან გამორჩეულს, დიამეტრალურად განსხვავებულს ეპოტინება. არც საბჭოურ ესთეტიკას აღმოაჩნდება ანმ ასპექტით რაიმე პლატფორმა, რომელმაც ხელოვნება სპეკულატური ნიშნით აღბეჭდა და მასების მაორგანიზებელი ფუნქციით აღჭურვა. და მაინც რას ვარაუდობდა ამ „რაღაც სხვაში“ ტერენტი გრანელი, ბუდა შაკია მუნის ნირვანაში სუფევას?! თუ არქიტექტორ ბაჰაის ლოტოსის ყვავილებით აწვართული ტაძრის ნიაღში საკურთხეველთან განრთხამას უზენაესის მოხილვის სურვილით, მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობის სხვადასხვაობისა; თვით შუმერულმა თიხის ფირფიტებმაც კი ვერ დაიტყვევეს ცნობიერი გონებისათვის მიუდგომელი ნაპირი იგი. „რამექნას“ ციხესავით ჯავრშემოვლებული კარით, ნიადაგ რომ უტრიალეს გარშემო საიქიოდან მოსულმა მიღმეთელებმა, მერმე რომელიღაცამ მოსეს არგანის ხათქუნი მოიგუნება, ორგზის დაჰკრა მის ხორკლიან კედელს განსახვნელად, სულიერი წყაროს აღმოსაცენებლად, მაგრამ არღარა წამოჩქაფუნდა იქიდან და ხმა-ხენეში რომ გაიღო მისმა დაყურსულმა სტომაქმა, „თქვეს, ჟამი გავალის, კარ განიღების თავადაო“, ანუ ციხე შიგნიდან გატყდებაო; არა, თავად უკვდავებაც კი შეუთავსებადია ამ „არამედ – რაღაც სხვისათვის“, ასე გამწარებით რომ დაეძებს სიკვდილის შიშით თავგზააბნეული გილგამეში. ზეციური ხარების დამურვებელი, ხუმბაბსა და ლომების კატასავით მომხრჩობი დეევგმირი უსაშველო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა. მის მეგობარ ენქიდუს უშეღავათო ჰურუი – ღურუ დაუფლებია. გამოხრვია მატლისგან ცხვირის ნესტოები. შებოჭვია უჩინარი თასმებით მალემქრილი ფეხები. სადაც არის კავზე დაჰკიდებენ მის ცხედარს ყოველგვარ მიწიერ ვნებათაგან დასაწრეტად. არა, არ მიელტვის ამ მარადიულ უძრაობას ტერენტი გრანელის მხოლოდშობილი მე. ეს მისტიფიკაცია არ ჰგავს ებრაული საგალობლების საგოდისს არარაი წუთისოფლის გაუტანლობით. ის გამორჩეულია, მხოლოდშობილი. ამიტომაც თავაწეულია გალაკტიონთან დაპირისპირებისას, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მისი ინდივიდუუმი გაცილებით მეტი კუთრი წონის მასალას ახარატებს სამუდმისო საცხოვრისად. ის ერთდროულად „არას“ უცხადებს სიკვდილსაც და სიცოცხლესაც, თვინიერად განზე გასწევს მათ მიერ მორთმეულ ბადაგ-სამსალას, როგორც თანაბრად უსარგებლო სასმურს და სრულიად განსაკუთრებულს ეღირება, ქვიშისგან თოკებს გრეხს ამ უჩინარ ჰუნეთა მოსაქამანდებლად. არაფერში ეპიტნავება ტერენტი გრანელს ეს მეცეკუნტა, ციდამტკავლა ხაფხაფი თუ ზეციური მარადიული გარინდულება, ორივე მეწყერისთვის გადაულოცავს და „რაღაც სხვას“ აბღოტიალებია, პოეტ ვახტაგ ხარჩილავას „მესამე ნაპირად“ რომ მოუნათლავს სიჭაბუკის წლებში.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდული შემადგენლობისაა. მისი გამგებელი გოგა გულორდავა იმ ასაკშია, როცა პიროვნებას მშობლიური მზრუნველობის კალთები მხრებიდან ჩამოუბერტყავს და დამოუკიდებლად შეჭიდებია უღრანში გზის გაკვლევას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია გვარიანი ხანია გამოსულია მაჭრისდარი მოდუღილე მდგომარეობიდან და მიდის ახლა დაღვინების მარათონული პროცესი. მათ გაერანებულ-გაჩანაგებული სახალხო მეურნეობა ერგოთ სამეურვეოდ. მიუხედავად თავზესაყრელი პრობლემებისა, იმედისმომცემ საქმეებს აღძრავენ მთელს ლაკადაში. განადგურებული მეჩაიეობა ფეხს იდგამს. ენდემური ჯიშების განსაახლებლად გადადგმულია პირველი ნაბიჯები. მატულობს ზრუნვა ქართული ფუტკარის მოსაბევრებლად. ახლებური მიდგომებია, რომელიც ითვალისწინებს ტრადიციის გამოცდილების მეცნიერებასთან შეხამებას. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ფოლკლორული ხელოვნების გასაძღლიერებლად. შემოქმედებითი სულით ყოველთვის გამოირჩეოდა ლაკადელი კაცი – უკვდავი „ბორჯის“ ავტორი დანიელ ფიფია, ძუძუმტისათვის თავდადებული ჰაკი აძბას მომღერალი ლეო ქიაჩელი, კინემატოგრაფი ძმები შენგელაიები, ტერენტი გრანელი ხომ არის და იქნება ქართველის კაცის გაუწყვეტელი შუბლის ძარღვივით ამაღლებული და მარადმშვენიერი.

მიუხედავად მწირი შესაძლებლობისა, მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა დანიელ ფიფიას პირველი სრულფასოვანი კრებული „ბორჯი“ (რედაქტორი თამაზ ფიფია). ამ წიგნით თვალნათლად დაიხატა გასული საუკუნის დამდეგის აუტანელი პოლიტიკური წნეხები, რომელიც შემდგომ დაუნდობელ ანგარიშსწორებაზე გადაიზრდება მთლად და კოლხ ბაირონად მონათლულ მის ავტორსაც ბომონივით შეინირავს განუკითხავი რეპრესია. დანიელ ფიფია პირველია, ვინც მეგრულ ენაზე ლექსების შეთხზვას გაბედავს. მისი ესეისტური წერილები და პუბლიკაციები ნათელს ფენენ იმ პერიოდში სამეგრელოში კომუნისტების მიერ საგანგებოდ შემოგდებულ „მაფალუიზმის“ ბაცილას, „ჩხოუშიელების“ „ავტონომისტობას“, რომლის ვიბრაცია მთიან სამეგრელოსაც გადასდებია. თვინიერი მეგრულით, წინააღმდეგობრივი სულისკვეთებით იჭედება, ტერენტი გრანელის ცხოვრების მხარდამხარ მის ორლობეში, მის საფიცარ ლაკადაში თანატოლი კოლეგებისგან დაუმორჩილებლობის განცდა. მათ ამქარს ამშვენებს პავლე აკობია, რომელიც შინაური მეგრულით გაკენწლავს ბოლშევიკების ისტორიულ „დამსახურებას:“ „უჩა უღუ გერდგუდუნი, ჭითათ დოიღაფესია“, – შავი უღელი რომ გედგა, წითლად შეგიღებესო, – ჩასძახის ხალხს ბედისწერასთან უკომპრომისოდ დგომის საწინდრად; და ამ დროს, ამ ძალად აგორებულ „მეგრელიზმების“, „ავტონომისტების“, „მაფალუიზმების“ დომხალში სანთელივით ანკარა ქართულით დაიარება საფლავ და საფლავ ტერენტი გრანელის გახუნებულპლაშიანი მოლანდება. მისი თვითნაბადი მოძახილი თავისუფალია პარტიკულარული აზროვნებით შებოჭილობისაგან, რომელი კუთხურობის გამო თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს განურჩევლად ყველას ლექსი – კონსტანტინე გამსახურდიასი, ალექსანდრე აბაშელის, სიმონ ჩიქოვანის; ალექსანდრე საჯაია გაექცევა ვითომ პროვინციალიზმის ამ არტახებს, მის სახიფათო მაგნიტიზმს: „საღამოთი შველი გადამეღობა, შვიდ წელიწადს მაძებნინა კვალი, სალოცავად ქართველობა მეყოფა, საფიცავად შენი თაფლის თვალიო“, დაიფანდურებს და კიდევ ვახანგ ხარჩილავს გასაოცარი პოეტური ენერგია, რომლისთვის სიტყვა ქცეულა როგორც ბედისწერა (ს. სიგუა): „უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავიც, უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით, შუბზე ამაგეს და დროშასავით, ამაფრიალეს უცხო ლაშქარში. ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძაღლი, ნეტავ ვინ აღებს ბჭისკარს ჭრიალით, ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს, ვისი ურემი მიაჩხრიალებს?! ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი, დევის ტყავივით ტანს რომ მეხვია, მტრის გუთნისდედა, ალბათ, მარაბდას – ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა. სამარადისო სხვამ დაიტოვა, მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო, ცა – ნათხოვარი ლურჯი მინდორი – უფლიაგან ღამე სახეტიალოდ. ჩემი ფიალა აწ ვინ დასცალოს, ნორჩინ ვენახი ვინ გამიხოს, ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ, რით გავითენო, რით დავიღამო?! ვის ერდოზე ჰყეფს ერთგული ძაღლი, ან ვინ უნათებს ცოლი მზიანეთს?! ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს, ვისი ურემი მიაჭრუალებს?!“ ეს განცდა ხალხური „მუხრანულის“ და გოგლას „ყივჩაღის პაემანის“ სარკისებური წაკითხვაა აკუტაგავას ნოველას მხარდამხარ „უსიერ ტყეში“, მათი შორეული ალუზიებით ნაკვები და ატყორცნილი, მაგრამ თავად ტერენტი ამ ყველაფერზე სინათლის სხივით დაშორებული მსოფლშეგრძნებაა.

შეუდარებელია ობუჯი, რომელმაც რამდენიმე გენიოსი აჩუქა დედასამშობლოს, უწინარესად ტყიარპლიანი გვადის გამრანდავი ლეო ქიაჩელი, თავადის ქალი მაიას ბეჭდების ზღვათა ფენილებში მიმომფანტველი. მე ამ სოფლიდან იმერეთში განთესილ მეჯოგეს შემახვედრებს განგება – ვალიკო მესხიას თანამეცხედრე ნერგაძესთან ერთად. იმ რესპოდენტის გამხელილიდან ამოიზრდება ჩემს „მარტოსული ხეობის მახვშში“ ლაკადელი კომერსანტის ლევან მესხიას სახე, რომელიც ტარიელ გოლუას პროტაგონისტად გამოდგომია ლეო ქიაჩელს. ეს პიროვნება მარსელის კრამიტების გამოწრთობის დიდოსტატი ყოფილა თურმე და უეცრად ამისთანა კურიოზული სიტუაციაც შეკოწიწდება: ერთ მშვენიერ დღეს ბოლშევიკებისგან დევნილი მენშევიკი შემოეხიზნება ლევან მესხიას ქურახანას. სტუმარი ღვთისაა და მასპინძელიც ძველმანებში გამოაწყობს სირბილისაგან არაქათგამოცლილ დევნილს. მის ტანსაცმელს გადაინახავს, იარაღს გასჩაღებლად გამზადებულ ქურახანაში შეაწყობს. თავად ოტებულს საკრამიტე აყალო მიწის მოსაზელად ფეხებაკაეწახებულ ბიჭებში ჩააყენებს. ამასობაში ამოივაკებენ ბოლშევიკები. საგულდაგულოდ გადაჩხრეკენ იქაურობას, მაგრამ მენშევიკის გზაკვალს ვერსად ჰკიდებენ თვალს. ეს წუთია და ლევან მესხიას ქურახანას კაცის თავის გადამბალთველი აბრაგები შემოწყობიან. ახლა ბოლშევიკების განიარაღება გახდება საჭირო, მათი გარდერობის შეცვლა, მათი იარაღის ქურახანაში ჩატვირთვა. უკვე ბოლშევიკებიც ლევან მესხიას მოსამსახურე ბიჭებთან, მენშევიკთან ერთად ზილავენ ალიზს შიშველი ფეხებით. მოვლენ თავზე ხელაღებული აბრაგები, ჩაიჩხრიალებენ მასპინძლის უშურველად მირთმეულ ნიკოიას ოქროს მონეტებს, მენშევიკის ძაძამიძის ნაოსტატარ ქამარ-ხანჯალს, ბოლშევიკების მოჭრაჭუნე აზიურებს. იპურმარილებენ მათ თვალწინ გასკდომამდე და უტევენ სამეგრელოს უღრანებისკენ.

არ აინტერესებს ტერენტი გრანელის კალამს შიშველი ზურგებით ერთმანეთს მიგლესილი მენშევიკ-ბოლშევიკების ნადური. და მაინც, მისაგანვე საჯილდაო ქვად გადმოგდებული „რაღაც სხვა“, ჯერაც პასუხგაუცემელია.

გრანელის სახლ-მუზეუმი 1987 წელს გაიხსნა მშობლიურ წალენჯიხაში. მისი ხელმძღვანელია ტერენტის დედის მოგვარე – ქალბატონი ბროლისა ლუკავა, რომელსაც მეუღლე და თანამშრომელი ასული კვირკველია ჰყავს. ტერენტის ნამოსახლარზე იმ წლებში მოკოხტავდა მემორიალური ობელისკი (ავტორები: აბესალობ კვარაცხელია, ფრიდონ ფიფია, რომელზეც ლადო ასათიანის სიტყვებია ამოტვიფრული: „ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების, აქ უცხოურის ტერენტი გრანელს, იტყვის და მშვიდად ჩაივლის მგზავრი“. ცოტა მოგვიანებით კი მთელს ლაკადას ზეიმის წუთი დაუდგება: 2009 წელს ქალაქის ცენტრში აღიმართება შორეული ზეფირებისკენ მსწრაფველი გრანელის მონუმენტი, მიწიერი ცხოვრებით ნაწამები კაცის ანგელოზური ხატი მხრებზე მიწურული ფრთებით. ძეგლი ტორსის სტილშია გადაწყვეტილი, რადგანაც ულმობელმა საწუთრომ წააწყვიტა კიდურები მის ფავტონ შვილს, როგორც სრულიად უსარგებლო რეკვიზიტები შორეულ სივრცეში მსწრაფველობისას (ავტორია, მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილი).

კოპნია მუზეუმს ტერენტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ექსპონატი შემოუკრიბავს. საკუთრივ მისი გამოცემების მხარდამხარ, შეხვდებით ტერენტის დიდი მეოხის, მწერალ ლერი ალიმონაკის ბიოგრაფიულ რომანს „კვირის წირვები“, გივი ცქიტიშვილის მონოგრაფიას „ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების“. მუზეუმში ინახება გრანელის დის შვილიშვილის საინტერესო გამოცემა რუსულ-ქართულ ენებზე „ცისფერი სიშორე„; მუზეუმის მშვენებაა წალენჯიხელების ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი დოკუმენტური ფილმი ტერენტი გრანელზე (რეჟისორი – მურმან ასიტაშვილი). აი, ამწუთიერ, ათი ფერწერულ ტილოს შემოსწირავს ტერენტის სახლ-მუზეუმს პოეტის შემოქმედების დიდი ქომაგი, მხატვარი რეზო ადამია. აქვე გამომცემლობა „იევრონის“ დასტამბული წიგნის „უკვდავებაა სიკვდილში“ ეგზემპლარები მოურთმევია მუზეუმისათვის, ღონისძიებას წვეული სტუმრებისთვის საჩუქრად. აქ გააცხადებს ბატონი რეზო შეკრებილი საზოგადოების დამაინტრიგებელს, რომ ფსიქიატრული საავადმყოფოს კედლებში ფორიაქისას პოეტს ხელისგულისოდენა რეცეპტის ქაღალდებზე, ასანთის კოლოფებზე რვაასზე მეტი მინიატურული ნახატი შეუქმნია. და მათგან მინიმუმ ასი შედევრიაო. მერე უცებ, ლამის მუდარით, თითებით ყელს გამოუწვეს რაიონის ხელმძღვანელობას, ჩვეული გულისყური გამოჩინეთ მის გამოსაცემადო. მუნიციპალიტეტის გამგებელი გიგა გულორდავა და საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია აღთქმასავით დადებენ პატიოსან სიტყვას ღონისძიების მონაწილეთა წინაშე, რომ სათანადო პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში მათგან წინადადებას მხარდაჭერა არ მოაკლდება.

ტერენტი გრანელის ბედისწერა არასდროს ყოფილა ხალხმრავალი. მის პროცესიას ათიოდე გულშემატკივარი მიაციულებდა სამუდამო გზაზე. და ახლა, დიდუბის პანთეონის მკვიდრს დროგამოშვებით მოაკითხავენ თაიგულები, იის კონები, მინდვრის ველური ყვავილები. კუკიის მისეული საფლავი პირღიაა თურმე დღემდე, როგორც პოეტის ნეშტის ნასახლარის ცოცხალი ძაგლი.

– აი, ახლა, ამწუთას ტერენტის დროებით საფლავს დიდუბის პანთეონში, სანთელს უნთებენ მისი შემოქმედების ტრფიალი ახალგაზრდები, – ამბობს სახლ-მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი ბროლისა ლუკავა და მობილურით მადლობას უხდის ამ ამაღლებული აქციის ორგანიზატორებს.

ქალბატონი ბროლისას სიტყვას „დროებით“ ხელად აიტაცებს მწერალი ლაშა გვასალია და მთელი კატეგორიულობით განაცხადებს, რომ სახელმწიფომ იზრუნოს მთაწმინდის განსპეტაკებაზე – იმ ღვთაებრივი სომაღლიდან რამდენიმე პიროვნების ზირს მიწაზე ჩამოშვებისათვის და სანაცვლოდ იქ, ტერენტი გრანელის სამუდამო დამკვიდრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამეგრელო, ლაკადა ვალდებულია სათანადო ღონისძიებები გაატაროს გენიოსი პოეტის ოდაბადეში ჩამოსასვენებლად.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გელა მამფორია მოსხლეტილად მოხაზავს ტერენტი გრანელის ვერბალურ პორტრეტს და მადლობას სწირავს მისი შემოქმედების მოამაგეთ: განუმეორებელ ლერი ალიმონაკს, გივი ცქიტიშვილს, რეზო ადამიას, პოეტის სულში დანთქმული უჩინარი რიფების ყველასთვის საცნაურად აღმოცენების გამო. ჩემი მაჟორული ბუნება კი ნიადაგ ხელშესახებს, მიწყივ ხორკლიანს, გრანიტივით მოუხეშავს და ბრდღვიალას ეძებდა მის პოეზიაში. ესპანური ექვსსიმიანი გიტარით გატაცებული მელოდიებს ვთხზავდი ხოლმე ადრეულ წლებში მის იდუმალებით დაყურსული სტრიქონების ასაჰანგებლად და დღემდე მიჟრიალებს მათი ხმიანება: „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მიდის ჩუმი და ცისფერი ღამე, უნუგეშო გულის ძგერა მინელდა, შენ, წმინდაო, მაცხოვარო, ამინ!“ რაღაც-რაღაც და „რანაირი ნაწამები მივალ, მიმაქვს მჩემით დაკრეფილი ხელები!“ ან იქვე მეზობლობაში „წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!“ დაბოლოს, გაცილებით შემძრავი და დამანგრეველი: „ჩემი სისხლი და ხორცი ეს „მემენტო მორი-ა“.

მოგვიანებით ტერენტის თანამედროვეთა მოგონების ციკლს წარმოგვიდგენს ჰაეროვანი სალომე კვირკველია. იმ ვრცელი ტირადებიდან ჩემს მეხსიერებას განსაკუთრებით ესახდომება მივიწყებულ აკლდამაზე გართხმული ტერენტი გრანელი პოეზიაზე აგზნებული საუბრით. იგი ხომ გაუსაძლისი ხელმოკლეობის მიუხედავად მაღალესთეტიკური გემოვნებით გამორჩეულ გაზეთსაც გამოსცემდა – „კრონოსის სარკეს“. იქ მისი ბრილიანტი სულის უმთავრესი წახნაგები იყო გამოკვეთილი, რომ მთავარი კატეგორია ხელოვანისთვის დროა, წამი დატყვევნილი, გნებავთ ქანდაკებად ქცეული საუკუნე.

ტერენტის ჩაცმულობას უწუნებდნენ ხელისუფლებისგან ხელდასხმული კოლეგები და კიდეც იკენწლებოდნენ ისინი სხარტად მოქნეული შოლტივით სტრიქონებით: რომ უდიერად ჩაცმა პატარა ჯვარცმაა; რომ სადღაც ხარობენ, ალბათ, მისი პატარა მტრები; ჰყვებიან ასეთსაც; ფრანტ გრიგოლ რობაქიძეს ზურგზე შეახტება სიკვდილისფერი მაკენტოშიანი გრანელი. გვარიან ხანს არხეინობს ასე მოცქანფული ტერენტი. ახალგაზრდების ჯგუფის წინაშე მენტორული ტონით მოსაუბრე დენდი კვლავინდებურად აინუნშიაც არ აგდებს უსადგოსო ნაცარქექიას ყურყუტს. ბოლოს მობეზრდება გრანელს თვინიერ ზურგზე ნებივრობა, ჩამოცურდება იქიდან, ხოლო რობაქიძე თეთრი ხელთათმანებით გადაიფერთხავს მხრებს, მახლობლად დაყუნცულ სანაგვე ყუთში გადაუძახებს და გაუტევს რუსთაველის ტროტუარს ტაატით.

მრავალი ჩინებული კუთხე მეგულება საქართველოში, ტრადიციით და მომხიბვლელობით დაბროლილი, მაგრამ წალენჯიხა ერთადერთია, წალენჯიხა მიუწვდომელია. ეს ის განცდაა, როცა აივანზე გამოხვალ და ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა მოგონდება უნებურად; ეს ის განცდაა, როცა ცხენზე ამხედრებული მყისიერ ჩამოხტები, კიოფა შუბლზე ეამბორები ქურანას, პატიებას ითხოვ სულიერისგან უდიერი საქციელის გამო, რომ გაუთლელობით ამცრობდი, აჩანაგებდი მის მეობას ზეაბღოტებით; ეს ის განცდაა, როცა ვაზის ლერწს შემოიხვევ წელზე ქამრის სანაცვლოდ, და, ჰა, მზადა ვარ შენდა საზვარაკოდ, აღარ მენანება საულის დადება შენდა სადღეგრძელებლად, ერთჯერადად კი არა ბანარაღებით, ჩემო მემლექეთო, დობადონავ ჩემოო, – თრთი, ფრთონავ, რადგანაც დავიფლობი, დავსამარდები შენში და ხელადვე აღმოვცენდები ვენახად, აღმოვსკდები ეშმაკს და ცაბაოთს შორის გახირულ განზომილებად, რონინი რომ ჰქვია, მარადიული შემოქმედებითი წვა, მარადიული მსწრაფველობა ხარისხდაუდგენელი წკვარამეთიდან, როცა ძლივს ღამემდე მოღწეულხარ და ეს უკუნეთი უკვე მზიანად ცნობიერდება კაცობრიობისათვის. აბა, რა უმართ-სამართს დატოლებია იგი, ნატვრის ხეს, ვერვისგან თვალნასწრებ განზომილებას?! ხალხური ლექსის მზეგანი ხომ არა, რომელიც „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარ იყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო“, გებაბანება. მთლად ამისთანა გრანდიოზულ-პაწაწკინტელა ხომ არა, თავიდან ეს გრანელი, ეს გრანუმი უმცირესი რომ გვეგონა ყველას, ლიტოტესი მისი თამამედროვეების კომენტარებით, და უცებ გრანდიოზულზე უშველებლად მოგვევლინება სალომე კვირკველის სიტყვებით – უკიდეგანო, აურწყავი. იქნებ მთლად ეს არის „რაღაც სხვა, უსახელო“, კვირკველია, კვირიკეს უფალი, ტერენტი გრანელი.

ნაილი ხეთერელი

ფრესკად გაეკარ

ყველაზე დიდი სასაფლაოა გული...
პოეტი **ბეჭან ხარაიშვილი**

დარდის გორგალს ძარღვებს აწყვეტს შენი
ლექსები,
ბურჟუასავით ხელთ მიპყრია ძველი ლორენტი,
სულში ცეკვავენ მარგალიტები ქართული სიტყვის,
სიწმინდეებად, სიამაყედ თავად პოეტის.

მამული იყო შენი ფუნჯი, გული, – პალიტრა,
ჩაფიქრებული, მიყრდნობილი იყავი მთებზე,
არსებით გრძნობდი შავი ღრუბლის მოახლოებას,
დაჭრილ ხარივით რომ გმინავდი სამშობლოს
ბედზე.

შენ ხომ მესაზღვრემ ფეხი დაგადგა დაჭიმულ
ნერვზე
რაინდულ ღიმით მიაგებე: „არ გეკადრება!„
შენს მერე ქვეყნის ის სამანი სამჯერ დალეწეს,
არ ესმის ეშმას ანგელოზის ლოცვა–ვედრება.

და შენი გულით, – სასაფლაოდ გადაქცეულით,
ფრესკად აეკარ პოეზიას მოსვლისთანავე,
ძლიერი ფრთები, შენს სულს ზეცად ეზიდებიან,
ვინ თქვა ლექსების,
ან პოეტის სიპატარავე.

დღის დაბერება

მოეძალებათ კაეშანი ნაქარგ ბილიკებს,
და ჭორიკინა ექოები მთებს მოედება,
საღამოს ქარი ააჟღერებს ფერთა რექვიემს,
ანთებულ ლამპარს რომ ემსგავსოს დღის
დაბერება.

მხატვარს!

იდუმალების ზმანებებში ჩაიძირები,
მოლბერტზე შეკრებ მისტიური ფერების გამას,
მუზის გენიის საჭრეთელით სულს აჩუქურთმებ,
ამაღლებული იწყებ გრძნობის ხილულად ხატვას.

ყალამით ირჩევ აღმატებულ მანერას ხატვის,
მშვიდ ანგელოზებს მოუვლინებ შეშლილ სამყაროს,
ექსტაზში როკავს ტრფიალება ღვთაებრივ ქალის...
ეგ შედევრები ცის მნათობსაც კდემით განაწყობს.

ანა კარენინა

Лев Толстой

Анна Каренина

გონის წამლეკავი ტრფობის ანარეკლი...
ბაქანს გაშოლტილი დემონის ნადავლის, –
ანას საწუთროსთან გამომშვიდობება,
ბინდის მოქანავე ფერებში გადადის...

დგას მემანქანე უფსკურლთან გარინდული,
ცხოვრების ეგოისტურ განაჩენს გოდებს,
ზეცის ათინათი, რელსზე დაფრქვეული,
მუდმივ პატიმარს დროის, შეუნდობს ცოდვებს.

წყარო

მიწის გულიდან მოხეთქილი უმანკოება,
სიკამკამეში აირეკლავს ზეცის სიწმინდეს,
დააცხრობს გულში მიმოფანტულ უჩინარ ალებს,
ფსკერზე დალექილ, დაბანგულ ტრფობას
ააგიზგიზებს.

დაგვიბრუნეთ!

რუსუდან ჯინჯიხაძე

დიდი ქართველი კლასიკოსი, იშვიათი და თავისებური ლირიკულ-ემოციური პროზაული ვერლიბრის (თითქმის ჯერ მსგავსი არშობილ-გაგონილის) ავტორი გრიგოლ რობაქიძე „შეწირულთა ენაზე“, უფრო სწორად, ბიბლიურ ენასა და ერთდროულად მომავლის ადამიანთა ენაზე ამეტყველებული, თხემით ტერფამდე ქართველი შემოქმედია. მისი შემოქმედების ფესვები მშობლიურ მიწასა, ქართულ ტოტემსა და მითოსშია ჩაფლულ-ჩაძირული. მწერლის გული აქ, ამ მიწაზე სცემდა მაშინაც, როცა საქართველოში ცხოვრობდა და მაშინაც, როცა განერიდა სამშობლოსა და მის ეშმაკისეულ სივრცეში შობილ, მიწაზე ყოველთა წარმხოცველ, სულთა წარმწყმენდელ ქარიშხალს. გრიგოლ რობაქიძეს სამშობლოდან გაჰყვა მაღალი უმშვენიერესი მორალური და ინტელექტუალურ-ზნეობრივი ძალა, რომელიც მუდამ, შინ თუ გარეთ, ჭირშიც თუ ლხინშიც ჩვენს გენშია ღრმად ჩაწნული. „მცველნი გრაალისა“ – ე. ი. საქართველოს გულისა და მზის მცველნის ავტორი, მაღალი სულიერების, ღრმად განსწავლული ესეისტი მწერალი იყო, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე „თავისი თვითობა სამშობლოს მიუძღვნა“.

... დასანანია, რომ ინტელიგენტი მწერალი იძულებული გახადეს გასცლოდა არა სამშობლოს, არამედ იმ შემაძრწუნებელ-სულისშემძვრელ რეჟიმს, რომელმაც მოხუცი მგოსანი და ერის მოძღვარი, საქართველოს უგვირგვინო მეფე – ილია ჭავჭავაძე, ბერდენკის ტყვიით განგმირა. რას უზამდნენ იმ ავადსახსენებელ დროს გრიგოლ რობაქიძეს, როცა იგი გარდაქმნის პერიოდშიც კი (1984 წელი) ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის მერვე ტომში რამდენიმე წინადადებითაც კი, არ არის შეყვანილი. მას ხომ გული სამშობლოში დარჩა. სწორედ ამის მანიშნებელია მისი უკანასკნელი ანდერძი-თხოვნა: „როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწია სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს“- ო. მწერალი ერთის მხრივ გაეცალა რა ადამიანთა საპყრობილედ წოდებულ კომუნისტურ რეჟიმს, მეორეს მხრივ, ფაშისტურ გარემოცვაში აღმოჩნდა. ვაის გაეყარა და უის შეეყარა. განა მსგავსი პარადოქსები არ იცის ლიტერატურული ცხოვრების ისტორიამ? ფაშიზმს გაექცა ბევრი ცნობილი მწერალი (ჰაინრიხ ჰაინე, ალექსანდრე მორუა, თომას მანი და სხვები). გრიგოლ რობაქიძე კი, პირიქით ფაშისტურ გერმანიაში აღმოჩნდა. პარადოქსია ისიც, რომ ემიგრანტი მწერალი ალექსანდრე კუპრინი იმ ავადსახსენებელი რეპრესიების მძვინვარების (1937 წელი) დროს სამშობლოში დაბრუნდა.

სამშობლო და ადამიანის ბედნიერება ხომ ერთმანეთის სარჩულ-სანთელ-საკმეველია. სამშობლოდან მოკვეთილ ტანჯულ მწერალზე ამბობენ: ბუდემოშლილ ქართველს ნოსტალგია ნაცისტების კრახის შემდეგ მოეძალაო. მხოლოდ ღმერთმა თუ იცის, ამ ნეტარხსენებული ქართველის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა და შორიდან მისი განსჯა და განქიქება მკრეხელობაა და მეტი არაფერი. „მისი შეფასება უნდა ხდებოდეს მაღალი სულიერებიდან გამომდინარე, რამეთუ მას ქართველთათვის სახინჯო და საჭოჭმანო არაფერი შეუქმნია და უპირველესად, გამორჩეული ადამიანების მსოფლხატი იზიდავდა“ (ი. არველაძე). დრო და გარემო, ცხოვრებისეული გარემოებანი და სულიერი წყობის თავისებურებანი გვეხმარება მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გარკვეულ მხარეთა ახსნაში. „მადამ ბოვარი – მე თვითონ ვარ“ – წერდა ფლობერი და ვფიქრობ, ფლობერის ეს განთქმული ფორმულა უნივერსალურია. გრიგოლ რობაქიძის უკვდავი გმირების: არჩიბალდ მეკეშის, თამაზ ენგურისა და ლევლან ორბელის სახეებში თავად მწერალია გამოხატული, რომელთა ყოველი სიტყვა, მომარჯვებული წინადადება, სამშობლოს ბედიღბლით არის გაჯერებული.

გენიალური მწერლის რომანების სტილისტური ხელწერა ლაკონური და მკაცრია. თავისებურია მისი ენის სარკოფაგში გატარებულ სიტყვათა თავისთავადობა, სიახლე, სივრცე და შეუდარებლობა, რაც კიდევ უფრო სრულად წარმოაჩენს უძველესი ქართული ენის სრულქმნას და მრავლისმეტყველებას. მისი შემოქმედების ძირითად ნაწილში ლირიკული პროზა და პოეტური ვერლიბრი ენაცვლება ცოცხალ დიალოგებს, მოსწრებულ აფორიზმებს და მეტაფორებს. ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ფსიქოლოგიური ანალიზი და ფილოსოფიური მსჯელობა ადამიანის დანიშნულებაზე. ...ფილოსოფიური და ესთეტიკური პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული სახეთა მთელ სისტემასთან. მისივე ავ-კარგითა და ყოფითი ჩვევებით მიუკერძოებლად გამოკვეთილია ქართველი კაცის სახე. აქედან გამომდინარე მისი სულის მარადისობაც. ...და ეს უიშვიათესი მწერლისეული დახასიათება გამოდგებოდა ქართველთა ბუნების, ქართველოლოგიის, კაცთმცოდნეობისა და ქართველთმცოდნეობის მნიშვნელოვან წყაროდ.

გრიგოლ რობაქიძე მომავლის სამშობლოსა და მომავლის ადამიანებისთვის წერდა და რა დასანანია, რომ 2015 წლამდე საქართველოში ამ გენიალური მწერლის საზოგადოებაც კი, არ იყო შექმნილი. ღვთის საიდუმლობაა ისიც, რომ მწერლებთან, ბუნებას უყვარს პარადოქსები: თუ სამყაროს პირველი პოეტი ქალი – აქადის მეფის ასული პრინცესა ანაა, დედამიწაზე უჩინმაჩინის ქუდით, ხანგრძლივად შერისხული და გაუჩინარებული, ხოლო, ამჟამად საქართველოში განუმეორებელი პირველი კლასიკოსი პოეტესა ქალბატონი – ანა კალანდაძეა, წმიდა ნინო ქართველთა წმინდა სალოცავია, ხოლო ქრისტიანული პოეზიის მესამე ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარის“ პრიზის მედალიონის მლფობელი, სხვებს შორის პოეტი ქალბატონი – იამზე არველაძე-ხეცურიანიცაა. უფლის ნებაა ალბათ, ისიც, რომ ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება ქართველ მწერალთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ არასამწარმეო იურიდიული პირის – გრიგოლ რობაქიძის საზოგადოების შექმნა, რაც 2015 წელს რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა პრესაში. ამ ქალბატონის მოღვაწეობა განსაკუთრებით აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი, ის ქართველი ქალბატონია, ის ქართველი დედაა, რომელიც ყოველ წელს, მცხეთას, მწიფობის, გრიგოლ რობაქიძის დაბადების თვეში და აგრეთვე გარდაცვალების დღეს (1962 წლის 19 ნოემბერი), სანთელს ანთებს პაწია სალოცავის წინ და ლოცვით იხსენიებს გენიალური მწერლის სახელს, ისე, როგორც თავად მწერალმა დაიბარა.

იამზე არველაძე-ხეცურიანი საირმის მთებში დაბადებული და, საბედნიეროდ, ამ ბუმბერაზი მთებიდან მოვლენილი პოეტი ქალბატონია, რომელიც სულიერი ენერგიით, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი სახსარ-საბადებელის გარეშე, შრომობს თავისი დაწყებული საქმის სრულქმნისათვის. მაშინ როცა ქართველი კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების თითქმის ნახევარიც კი, არ არის შესწავლილი, მან ქართულ ინტელექტუალურ საზოგადოებას აჩუქა რობაქიძის ოთხი ძირითადი რომანის მისეული განხილვის 160 გვერდიანი წიგნი: „გრიგოლ რობაქიძე შეწირულთა გასაგებ ენაზე ამეტყველებული შემოქმედი“, სადაც არა მარტო, ღრმად ჩაიხედა ამ ეპოქალური მწერლის სულში, მითოსსა თუ მწერლურ ენაში, არამედ ნახულ-განცდილის ეზოთერულ საიდუმლოებასაც გვაზიარა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა გავითავისოთ მის მიერ ჩვენდაბეედად და ჩვენდაიმედად წამოწყებული ეს უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი საქმე და რითაც კი შეგვიძლია გვერდში დაუდგეთ მას. თუ სხვის მიწაზე გაუჩინარებული – სამშობლოს უერთგულესი შვილის მემკვიდრეობის სრული დაცვითა და გამოჩინებით დაინტერესდებიან მეცენატები – ეს ხომ საშვილიშვილო საქმე იქნება, რამეთუ მწერლის მემკვიდრეობა 36 000 ერთეულს შეადგენს და არ არის თარგმნილ-შესწავლილი, ეს განძი საქართველოს შესახებ – სამშობლოსა და მწერლის უიღბლობის გამო გერმანულ ენაზე შობილი, ციურიხის გენეტიკურ-ფილოსოფიურ არხივში შენახული ამჟამად მოსაძებნ-საპატრონოა...

ძვირფასო თანამემამულენო, მართალია, ამ გაჭირვების ჟამს, როდესაც ჯერ კიდევ ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრი გვჭირდება, მაგრამ კარებზე გვიკაკუნებს ევროპიდან, გენიალური მწერლის დარჩენილი მემკვიდრეობა, გვეძახის ქართული მწერლობის გადასარჩენად დარბეული მწერალთა სასახლის შენობა, რომელიც ქართული მწერლობის გადასარჩენად დარბეული მწერალთა სასახლის შენობა, რომელიც ქართველ მწერლებს ცნობილმა მეცენატებმა 1920-იან წლებში აჩუქეს და (რომელ შენობაშიც 1921 წ. 30-იან წლებში სწორედ, გრიგოლ რობაქიძე იყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ინიციატორი) სხვაგვარად არ ეგების, უნდა ვიღვაწოთ ქართული კულტურულ-სულიერი მემკვიდრეობის თავისი ადგილის მისაჩენად. ამასვე ითხოვდა, ჯერ კიდევ 2008 წელს, „ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობის კოორდინატორი, პოეტი ესეისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურეატი – ბატონი შოთა ზოიძე, როდესაც საქართველოს გაზეთებსა და შემდგომ ჩვენდა სამარცხვინოდ, რუსულ Общеписательская „Л. Г.„–ში. „ესქილეს დროიდან კაცობრიობას არ ახსოვს მსგავსი უმსგავსოება, რომელიმე ქვეყანაში დაეპატიმრებინოთ საკუთარი ქვეყნის მწერალთა სასახლე“...

ადამიანს მამაზეციერი აჩენს. ეს არაჩვეულებრივი უნარი დედამიწაზე ქალს დაენათლა, ალბათ, ამიტომ არსებობს ქალში განსაკუთრებული ზნეობრივი მე, რომელიც მძიმე ყოფითი ჭაპანის ზიდვაში ეხმარება მას. იამზე არველაძე-ხეცურიანი, როგორც გრიგოლ რობაქიძის საზოგადოების თავმჯდომარე, (კიდევ ვიმეორებ) არის სწორედ ის ქალბატონი, რომელიც თავისი ენერგიით უშურველ-უანგაროდ ემსახურება წამოწყებულ საქმეს... იმ სასიკეთო საქმეს, რაც დღემდე ქვეყნის ცნობილ მამაკაცებსაც ვერ სრულუქმნიათ. ჩვენ, საქართველოს ქალბატონი მწერლები, საქართველოს დედები გთხოვთ: სრულიად საქართველოს უწმინდესობას, კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, მის უმაღლესობას: ქართველ ხალხს, ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, ახლად დანიშნულ მთავრობას, ბოლო მოუღონ ამ საუკუნის დასაწყისში არსებულ ვანდალიზმს და ანომალიას. დაგვიბრუნეთ საქართველოს მწერლებს მწერალთა სასახლე. ამით ხომ მწვანე შუქი აენთება ყოველგვარ ლიტერატურულ საქმიანობას, მათ შორის გრიგოლ რობაქიძის საზოგადოების საქმიანობასაც.

ფრანგული შანსონი ქართულად

საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა პოეტმა **ბაჩანა ჩაბრაძემ** თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა გასული საუკუნის ფრანგი პოეტ–მომღერლების – ჟორჟ ბრასენსის, ლეო ფერეს, ჟაკ ბრელის, სერუ გენსბურის და ბორის ვიანის ლექსები სახელწოდებით „ფრანგული შანსონი“. შანსონი ქართულად სიმღერას ნიშნავს და აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებულმა ხუთეულმა სამოციანი წლების საფრანგეთის ლიტერატურასა და მუსიკაში მთელი ეპოქა შექმნა. მათს კვალზე შანსონეთა მთელი თაობები აღიზარდა. შანსონეთა უშუალო მემკვიდრენი იყვნენ რუსეთში და საქართველოში ოთარ რამიშვილი. ხაზგასასმელია, რომ ბაჩანა ჩაბრაძის თარგმანი შესრულებულია ჭეშმარიტად პროფესიონალურ დონეზე, დედნის მეტრულ–რიტმული სტრუქტურის დაცვით.

ფრანზუაზ კანეტი, გამომცემლობა „ჟაკ კანეტის“ ხელმძღვანელი:

„ძალიან დავინტერესდი თქვენი პროექტით „ფრანგული შანსონი“! ყველა ეს ხელოვანი, რომლებიც თქვენ თარგმნეთ, მამაჩემმა, ჟაკ კანეტიმ „გამოზარდა“, სცენაზე აიყვანა და ჩაწერა. მივესალმები ამ შესანიშნავი სიმღერების ქართულად თარგმნას! ფრანგ ბრელი, ჟაკ ბრელის შვილი და „გამომცემლობა ჟაკ ბრელის“ ხელმძღვანელი: – ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბრელის ქართულად თარგმნის წამოწყება! დიდი სიამოვნებით გადმოგცემთ უფლებებს ამ თარგმანებზე. ჩვენ ისინი გშანსაკუთრებით კომპეტენტურ პიროვნებას შევამოწმებინეთ, რომელმაც მათთვის ქება არ დაიშურა! სერჟ კაზანი, ჟორჟ ბრასენსის დისშვილი და მემკვიდრე: – ძალიან მახარებს თქვენი პროექტი, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრებს ძია ჟორჟის მემკვიდრეობას! ნიკოლ ბერტო, „მემკვიდრეობა ბორის ვიანის“ ხელმძღვანელი: – აღფრთოვანებული ვართ ბორის ვიანის სიმღერების ქართული თარგმანების ხილვით და დიდი ენთუზიაზმით გაძლევთ მათზე უფლებებს. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ფაქტი, რომ ვიანის სიმღერები დღესაც, 2015–ში, გზა სიკვლევენ მთელს მსოფლიოში!

პოეტი შოთა იათაშვილი:

„ფრანგულის ინჩიბინჩი არ ვიცი, მაგრამ ფრანგი მომღერლები ყოველთვის მნუსხავდნენ და ყოველთვის მიჩნდებოდა ნაკლულობის განცდა, რადგან ისინი სულმუდამ აშკარად რაღაც მნიშვნელოვანზე, არსებითზე მელაპარაკებოდნენ, მე კი აბსოლუტურად ვერ ვხვდებოდი - რაზე. ვერ ვხვდებოდი, რატომ სდიოდა, მაგალითად, ჟაკ ბრელს ცრემლები რაღაც სიმღერების შესრულებისას, რას ამბობდა ასეთს, და ვეძებდი და ხანდახან ვპოულობდი ჩანაწერებს ინგლისური სუბტიტრებით და ასე ვუსმენდი... ბევრი ასეთი წვალების შემდეგ, სულ ცოტა ხნის წინ, ხელში ჩამივარდა ფრანგული ინსტიტუტის ხელშეწყობით „ინტელექტის“ მიერ გამოცემული კრებული „ფრანგული შანსონი“, სადაც ბაჩანა ჩაბრაძის მიერ გადმოქართულებულია ხუთი საკულტო ფიგურის: ჟორჟ ბრასენსის, ლეო ფერეს, ჟაკ ბრელის, სერჟ გენსბურის და ბორის ვიანის სასიმღერო ტექსტები. და ეს კრებული ჩემთვის ამ არტისტების შეცნობის საშუალება გახდა: მე დავინახე, თუ რა აწუხებდათ მათ, რის გამო ებზარებოდათ ხმა, რატომ იღიმებოდნენ ირონიულად, რატომ ტიროდნენ ხანდახან სცენაზე მდგომნი. გამოჩნდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ მათი ვნებების მორევი, ეს მათი ბრძოლა იყო, პოზიციის პრინციპული გამოხატვა, გარღვევები ცნობიერებაში... კრებული არაა დიდი. თითოეული ავტორის მხოლოდ შვიდ-შვიდი ლექსია აქ წარმოდგენილი, მაგრამ ეს შვიდ-შვიდი ლექსი სრულიად საკმარისია ყოველივე ამის საგრძნობად. ამ ლექსებში ეპოქის სული ტრიალებს,



50-60-იანი წლების მეამბოხეობა, რომელიც, ამავე დროს, თავის ლირიზმსაც არ კარგავს და, ამავე დროს, ესაა ჭეშმარიტი პოეზია, ყველაზე მკაცრი კრიტერიუმებითაც კი. ბაჩანა ჩაბრაძემ ყოველივე ამის გადმოტანა ბრწყინვალედ შეძლო.

კრიტიკოსი ლელა კოდალაშვილი:

„პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, ეს ყველაფერი ცალკე პოეზიად იქცა მას მერე, რაც ფრანგული შანსონი გადასხვაფერდა და რაღაც მოდიფიკაცია განიცადა. და ეს არის დაახლოებით 40-იანი წლების, ანუ მეორე მსოფლიო ომის, მერე. პიაფი და შარლ ტრენე რომ იყვნენ, მათ შემდგომ თაობად შეიძლება ჩაითვალონ ისინი, ვინც ამ წიგნშია წარმოდგენილი. მათ ფონზე ხდება ასეთი შეცვლა: წინ გამოდის ტექსტი, პრიორიტეტული ხდება ტექსტური მასალა და მუსიკალური ნაწილი, ანუ მელოდია, იწევს უკანა პლანზე, რაც მანამდე კაბარეს ტიპის დაწესებულებებში შესრულებულ ნაწარმოებებში არ შეინიშნებოდა. იქ ძირითადად მელოდია იყო წამყვანი. და ამ შემთხვევაში ეს უკვე ნახევარფაბრიკატად აღარ აღიქმება. ახლა, როცა ეს გვაქვს წიგნის ფორმატში წარმოდგენილი, ეს არის ცალკე პოეზია, დამოუკიდებელი, და მკითხველს შეუძლია უკვე ცალკე, თავისუფლად შეაფასოს როგორც ლექსი, იმიტომ რომ, როცა უსმენ სიმღერას, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ძალიან ხაზგასმით არის წინ წამოწეული შემსრულებლების მიერ, მაინც ისე ხდება ხოლმე, რომ ტექსტი უკან იწევს და არ არის ისეთი აღქმადი. აი, ასე, ცალკე ფორმატში კი, მკითხველი სხვანაირად აღიქვამს ამ ყველაფერს.

ბაჩანა ჩაბრაძე:

„ბრელის შემოქმედებაზე მუშაობისას, საფრანგეთის „ნაციონალური აუდიოვიზუალური ინსტიტუტის“ (INA) საცავში გადავაწყდი სატელევიზიო გადაცემა Discprama–ს 1966 წლის ვიდეოჩანაწერს, რომელშიც მომღერალი იხსენებს თავის ტურნეს სსრკ–ში. ინტერვიუში იგი განსაკუთრებული გატაცებით ლაპარაკობს საქართველოზე. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან (თარგმანში სტილი დაცულია):

„ტურნეს დროს უამრავ ხალხს შევხვდი... აღტაცებული ვარ სიკეთით და თავაზიანობით, რაც იქ ვიხილე და რაც ასე იშვიათია ჩვენს დროში... ქართველები არაჩვეულებრივი ხალხია! საქართველოში, თითოეულ სუფრას ჰყავს... დამავიწყდა... ჰო – „ტამადა“, და ეს კაცი სიტყვით გამოდის ყოველ ათ წუთში. ფეხზე დგება... მხოლოდ მასთან ერთად სვამენ. ცალკე დალევა არ შეიძლება... და იწყებს სიტყვის თქმას. ჰყვება, თუ რა კავშირია ქალის სხეულსა და მთის ფერს შორის მზის ჩასვლისას... და ამას ჰყვება, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებრად, მაგრამ შემდეგ აცნობიერებ, რომ ეს კაცი იმპროვიზაციას ახდენს, ქმნის ერთგვარ პოეზიას დღის, სიტუაციის, თანამესუფრეების განწყობის და საუბრების მიხედვით... და ეს სავსებით ფანტასტიკურია! ქეიფობ და თან ერთგვარ პოეტურ რომანს ესწრები, რომელიც ამ ქეიფისას ვითარდება ქართული ღვინის, ხილის და უამრავი კერძის თანხლებით... და ეს კაცი ისევ დგება და ისევ ყველა უსმენს... მშვენიერია, მშვენიერი! რაღაც, პოეზიით თერაპიის მსგავსია. არაჩვეულებრივ შედარებებს აკეთებენ. ხშირი თემაა „ქალი“. ქალს უკავშირებენ უამრავ რამეს... ადიდებულ მდინარეს, რომელიც ჰგავდა ქალს, რომელსაც დაშორდნენ... და ეს არ არის მითი. ცოტათი მართლაც ასე ცხოვრობენ, ახერხებენ წონასწორობის შენარჩუნებას პოეზიასა და იმ რეალობას შორის, რომელიც იქ არის საბჭოთა სისტემის სახით. ბევრს არ მუშაობენ – გაცილებით ნაკლებს, ვიდრე აქ. გაცილებით მეტი დრო აქვთ. ცხოვრება თვალსა და ხელს შუა არ ეცვლებათ... ძალიან მოვიხიბლე. დამატყვევეს“.

სასიამოვნო შეგრძნება მომიტანა ამ ინტერვიუს მოსმენამ. გამიხარდა ბრელის მიერ ჩვენი სინამდვილის ესოდენ გულითადად აღქმა. მესიამოვნა, რომ უცხოელს, რომლის შემოქმედებაზეც ვმუშაობ, ქართული სინამდვილე უნახავს, გაუაზრებია და გაუზიარებია. მნიშვნელობა არ ააქვს, დღეს როგორ არის შეფასებული ბრელის მიერ აღწერილი სურათი.

ჟაკ ბრელის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა სადღეისოდ განსაკუთრებით აქტუალურია. კომპლექსური, ენიგმატური და, რაც მთავარია, უბრალო ბრელი გახლდათ ყველაზე ანტივარსკვლავი ვარსკვლავთა შორის.

ჟაკ ბრელი დაკრძალულია მარკიზის კუნძულებზე, პოლ გოგენის საფლავის მახლობლად.

„ანდა ყვავილი, რამე, საჩინო“...

მურმან ჯგუბურია

მზია ჩხეტიანის კრებული („ჟუტუნიე ხე„), ავტორისეული შესანიშნავი წინათქმა რომ ახლავს, პავლე მოციქულის შეგონებით არის გამშვენებული.

„თუ ფესვი წმიდაა, მაშ – რტოც! ხოლო თუ რომელიმე რტო გადატყდა, დაამყენ მის ადგილას და ნუ იამპარტავნებ! იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, არამედ ფესვს უკავიხარ შენ...„

მთელი წიგნი ამ შეგონების ნათესავია და ერთგული. ამ წიგნის ავტორმა იცის, საიდან მოდის, სად არის და საით უნდა წავიდეს. გურამიშვილი გაგონდება. მისი „დავითიანი“, მისი ქრისტიანული პოეზია.

„რომ სული ჩემი, ვით ლალ–ბადახში,
ანდა ყვავილი, რამე, საჩინო,
შთამომავალმა წიგნს რომ გადაშლის,
სტრიქონთა შორის აღმოაჩინოს...„

ეს გამონათქვამი მეც მეხება, ძვირფასო მკითხველო, და შენც, და კიდევ, ჩვენს მომავალ თაობებსაც, რაზედაც, ავტორთან ერთად მიგვანიშნებს ამ წიგნის რედაქტორი, ქალბატონი მარიამ წიკლაური:

„მზია ჩხეტიანის შემოქმედებას კარგად იცნობს ყველა თაობის ქართველი მკითხველი... იგი წერს ლირიკას, წერს მოთხრობებს, წერს ბავშვებისთვის, აქვეყნებს წერილებს... დედაშვილობის მადლითაა სავსე ეს წიგნი. ბავშვობის მადლით, სიყვარულის მადლით, წინაპრისადმი მოწიწების მადლით, ღვთის მადლით...„

ასე მრავალფეროვანია ეს წიგნი, მე რომ ახლა ვკითხულობ და თქვენც წაიკითხავთ, ან უკვე წაიკითხეთ. ახლა, დღეს საქართველოში მკითხველი იშვიათია, როგორც არაერთხელ აღმინიშნავს. იმიტომ, რომ სული დაჯაბნა თვალმა. შინამო–ფასადმა, ანუ, ახლა წიგნს კი არ კითხულობენ, არამედ ნახულობენ. „შენი ლექსი ვნახე“ – მოარული გამონათქვამია, და არა „შენი ლექსი წავიკითხე“.

ახლა ვნახოთ, როგორი მკითხველია თავად ამ წიგნის ავტორი. აი, რაზე გაამახვილა მან ჩვენი ყურადღება, საქვეყნოდ ცნობილი აკუტაგავას გამონათქვამი, რომ წაუმძღვარა ერთ–ერთ თავის ნახელავს:

„ალბათ, არაერთხელ შეგინიშნავთ, რომ ჩვენს ირგვლივ ღამეული ყვავილებივით ბუდობენ ზებუნებრივი ძალები“.

იაპონელი მწერლის ამ საკვირველი გამონათქვამის მსგავსი და ნათესავია. ჩვენს მიერ ამ ესეის სათაურად გამოტანილი სტრიქონი: „ანდა ყვავილი, რამე, საჩინო“. რაც, იქნება „სტრიქონთა შორის აღმოაჩინოთო“, რომ გვითხრა ავტორმა, რაც, ეხამება „ალბათ, არაერთხელ შეგინიშნავთ“. თანაც ეს „შეგინიშნავთ“. „აღმოაჩინოთ“ და „საჩინოც“ ხომ ერთმანეთის ალი–კვალია. არაფერი რომ არა ვთქვათ აკუტაგავას „ღამეულ ყვავილზე“ და „ანდა ყვავილზე“.

მაგრამ მივყვეთ წიგნს.

ამ წიგნის ნახევარი პოეზიას უჭირავს.

მეორე ნახევარი – პროზას.

მე ამ ესეიში მხოლოდ ცალკეულ სტრიქონებზე (სტროფებზე) ვამახვილებ ყურადღებას, ანუ, იმაზე, რაც ჩამრჩა ამ წიგნის კითხვისას მეხსიერებაში და რაც ჩემი გაგებით, ნამდვილი პოეზიის ნიმუშია.

„რა უნდა მითხრას ოღრო–ჩოღრო ვიწრო ბილიკმა, ღელის გასწვრივ რომ
შუქ–ჩრდილებში მიიპარება?!„

ეს „ვიწრო ბილიკი“ პოეტის ნაცნობი ბილიკია, ადრე რომ სხვანაირი იყო, და სხვა გახდა. დავიწროვდა, ანუ ნაკლებად სტუმრობენ. მის ნაპირებს ბალახი ეძალება, შუქ–ჩრდილებში მიიპარება ანუ ამ ერთი ეპითეტით „ვიწრო“ ცოტა ითქვა. და ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. უთქმელმა დაჯაბნა ნათქვამი. გენიალური „დაო–დე ძინი“ გვეუბნება: „ვინც ლაპარაკობს, არ იცის. ვინც იცის, არ ლაპარაკობს“. თუმცა, პირადოქსიც აქვეა: არ ილაპარაკოთო და თვითონ გველაპარაკება. რა პარადოქსაც იმეორებს, ტანის ეპოქელი პოეტი (იან ძუნი): „ასეთ ჭირის დღეს ლექსების ჩხრეკას, სჯობს მამულის ბჭე დავიცვათ მკერდით“. ლექსებს შევეშვათო. ლექსად გვეუბნება. მაგრამ რაღაც თუ არ ითქვა, როგორ გინდა რაღაცაზე მივანიშნოთ. ავიღოთ, სამაგალითოდ, მზია ჩხეტიანის ასეთი გამონათქვამი:

„დაჩოქილნი? –
მხოლოდ ხატთან!
სხვაგან არსად, დაჩოქილნი!„

აქ, მართლა უნდა გავჩერდეთ, და ცხონებული ხუტა ბერულავის ერთი გამონათქვამი, რომ მოვიშველიოთ, მართლაც რომ „ხმა აღარ ამოგვეღება“. მე ასე მგონია და შენ შენი იცი, ძვირფასო მკითხველო.

მსგავსი გუნება–განწყობისა აგრეთვე შემდეგი გამონათქვამი:

„ნეტავ, რა აქვს განზრახული,
რად შეყოვნდა გაზაფხული?...„

ცხადია, აქ მხოლოდ წელიწადის დროებაზე არაა საუბარი. ეს სტრიქონები კი, ახლა რომ უნდა ამოვიწერო, კონკრეტულ პიროვნებას ეძღვნება:

„შენ აღარა ხარ, მე მარტო დავრჩი,
სცვივათ ჩვენს ვაშლებს ფოთოლი, ხმელი.
მადლი ღმერთს, სიზმრად მაინც გიხილე!...
გამორბის შენი იორღა ცხენი
და ჩვენს ჭიშკართან დაიჭიხვინებს...„

ლექსის ამ მონაკვეთს მკითხველი ალბათ უფრო პროზას მიაწერდა, ვიდრე პოეზიას, რომ არა:

„სცვივათ ჩვენს ვაშლებს ფოთოლი, ხმელი...„

ასეთი მშობლიურია და საყვარელი ეს „ჩვენი ვაშლები“, მაგრამ მომდევნო სტრიქონი ამ ლექსის ნამდვილი გვირგვინია:

„ქუდს გადაიწევ მათრახის ტარით...„

ოთხად–ოთხი სიტყვით იხატება კაცი, მხედარი, მისი ჩვევა–წესი, შემოხედვა, და აგრეთვე ისიც, რომ ის არის ამ „ჩვენი ვაშლებისა“ და „ჩვენი ჭიშკრის“ ბატონ–პატრონი.

არაორდინალური გამონათქვამებითაა სავსე, ეს წიგნი:

„ნინა, შენ ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე! – გაიცინა ჯუბიამ, – ეს ბაღანა, რომ გაიზრდება, ბევრჯერ გაგვხვევს ხათაბალაში!...„

იკითხება კაცი. პირდაპირი, პირში მთქმელი, სხვა, ვიდრე ყველა, თანაც იუმორის გრძნობით დაჯილდოებული.

ეს ბოლო ამონაწერი წიგნის მეორე ნაწილიდანაა, ანუ, იმ მოთხრობიდან „ჟუტუნიე ხე“ რომ ეწოდება. სიტყვამ მოიტანა, პოეტი ერთგან წერს, ნეტა ხედ გავჩენილიყავით („შენ მოგეყრდნობი, ძვირფასო ხეო“, ტერენტი გრანელი). ქალბატონ მარიამ წიკლაურის გამონათქვამისა არ იყოს, სავსეა წიგნის ეს მონაკვეთი ჩვენებური (ლეჩხუმური) ადათ–წესებით, ადამიანებითა და ბუნებით, ალქაჯებითა და გოგო–ბიჭებით, ბებიებითა და ბაბუებით, ბიძებითა და მამიდებით, და–ძმებით, კერიითა და თონით, ავდრითა და დარით, მზითა და მთვარით, ზღაპრებითა და ლეგენდებით. ესაა ახალი, ჩემთვის, არა მარტო ჩემთვის, ცხადია, უცნობი ლეჩხუმი, მისი ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა, ზეპირსიტყვიერება, რაც ასევე გამოადგება ამ პროფესიის მიმდევართ, როგორც მხატვრული პროზის მოყვარულ მკითხველებს.

„მეთოვლიები“ საქმეს მორჩნენ, მაგრამ სახლის ირგვლივ იმოდენა თოვლის ზვინები დადგა, სულ დააბნელა იქაურობა“.

ამ სტრიქონების ავტორმა ა–ნიდან ჰ–მდე იცის სოფელი და სოფლის გარემო. სოფლის ბუნება, მისი ზამთარ–ზაფხული, მისი „მეთოვლიები“.

ამჯერად კი, მინდა სხვა სათქმელზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება. ამასწინათ, მზია ჩხეტიანმა.

ამ მოთხრობაში, შვიდ ათეულ წელიწადს მიტანებული ქალბატონი (პოეტი) ტელევიზიაში, ერთ–ერთ შოუში, რომ მიიღო მონაწილეობა, შინ ბრუნდება.

შინ არავინ არაა. მარტოა. უცებ ოთახში შემოიჭრება ღამით მავალი, ყაჩაღი. კი არ შემოიპარება, არამედ შემოიჭრება... „კანონიერი ქურდი“ შემოიპარებოდა.

ერთი მეგრული ლექსი ამბობს:

„ვო, რირუა, რირუა,
მოჯგირირე ხირუა,
სერით გილულ, სერით მუფშე,
დღაშით დიფხურხინუა“.

ამ ლექსის გამომთქმელი გვეუნება ქურდობაზე კარგი არაფერიაო, ღამე დავდივარო, ღამე ვშრომობო, დღისით კი გემრიელად მძინავსო. „დიფხურხინუა“ – არ ითარგმნება.

და აი, ყაჩაღი დაადგება თავზე მარტოხელა ქალბატონს და მოსთხოვს გამოაჩინოს ფული და ოქროულობა. არადა, შავი დღე დაადგება. იმუქრება. ეს იყო და, კარებზე გაისმება მხიარული ნაბიჯების ხმა. შინაურები ბრუნდებიან. ქურდი, როგორც წესი, თუ კი წაასწრეს, გარბის, იმალება, იპარება, მოპარვა და გაპარვაც ხომ ერთმანეთს ჰგავს და ენათესავება. ყაჩაღს გაქცევა არ სჩვევია, მაგრამ ნაბიჯების სიმრავლემ შეაშფოთა, თანაც ვინ იცის, ვინები ამოდიან, ოჯახის წევრები თუ პოლიციის თანაშმრომლები, და არ იცის, რა იღონოს, თავი როგორ დაიძვრინოს. გამოსავალი არა ჩანს. მაგრამ ოჯახის დიასახლისმა – ქალბატონმა მოიფიქრა და ყაჩაღი ფანჯრიდან გააპარა:

„აგერ, იმ ოთახში შედი, იქიდან მარჯვენა კარით აივანზე გახვალ და აივნიდან კი რამდენიმე წამში ქუჩაში აღმოჩნდები“.

აივნიდან ქუჩაში გადახტომა სახიფათოა, მაგრამ დანაშაულში წარსწრებას (ჩავარდნას) სჯობია.

ამასობაში შინაურებიც მოვლენ. „ნეტა იმ ყაჩაღმა სამშვიდობოს თუ გააღწია. რკინაბეტონს ხომ არ წამოედო და ფეხი ხომ არ მოიტეხა?„

ამ ფიქრებში რომ არის, ავტორს აგონდება იოანე ოქროპირის ერთ–ერთი შეგონებათაგანი: „უბედურება იმაში კი არ არის, რომ შენ დაეცი, არამედ, იმაშია, რომ შენ დაცემის შემდეგ არ დგები. ანუ, იმაში კი არ არის, რომ შესცოდე, არამედ იმაში, რომ ცოდვას არ განეშორები“.

ერთი ფრიად საგულისხმო სიტუაცია გამომრჩა. ოჯახის დიასახლისი უცებ კი არ მივარდა კარს, რათა შინაურები შემოეშვა, არამედ დაახანა, რათა ყაჩაღი სამშვიდობოზე გასულიყო.

„თავისუფლებას ჩალის ფასი აქვს. თუკი ის არ შეიცავს შეცდომის თავისუფლებას“.

ასე მთავრდება ეს მოთხრობა, რასაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ არა მისი დასასრული, არამედ – დასაწყისი.

P.S. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ გერმანელ მწერალს (ა. დიობლინს) მთელი რომანი აქვს მიძღვნილი პატიებისადმი.

რომანის მთავარი გმირი წლების განმავლობაში დასდევს თავის მომტერეს, რათა სამაგიერო გადაუხადოს. მაგრამ, ბოლო–ბოლო, იგი გადაწყვეტს, რომ შური არ იძიოს, აპატიოს მტერს დანაშაული.

სხვათაშორის, დიობლინის რომანმა („ბერლინი, ალექსანდრეს მოედანი„) სხვა გენიალურ რომანებთან შეჯიბრებაში მეორე საპატიო ადგილი დაიკავა. ქალბატონმა მზია ჩხეტიანმა (მოთხრობის ავტორმა) რამდენიმე წუთში გადაწყვიტა, რომ ყაჩაღი საკუთარი ბინიდან გაეპარებინა.

რომელი საუკუნიდან ვართ ქართველები ქრისტიანები?IV საუკუნიდან? I საუკუნიდან? თუ.... როგორც ამბობდა მემედ–ბეგ აბაშიძე: „ქრისტეშობამდე არსებობდნენ ქრისტიანები“....

შოუში მონაწილე ქალბატონმა (ავტორმა) რომ საკუთარი ლექსი ჩაამთავრა. ჟიურის ერთ–ერთმა წევრმა იკითხა: „კვრინჩხა რა არის?“ რაზედაც პოეტს გაეღიმა, მაგრამ პასუხი არ გაუცია.

ამ სამი ათეული წლის წინათ მუხრან მაჭავარიანმა მთელი წიგნი მიუძღვნა ერთ–ერთი ფრინველის სახელწოდებას. წიგნი რომ წავიკითხე, მუხრანს ვუთხარი, ამ ერთი ფრინველის სახელწოდებას ისე იძიებ, ალბათ, ძალზე დარწმუნებული ხარ, რომ საქართველო მარადიულად იარსებებს–მეთქი. გაიღიმა თავისებურად და მითხრა, შენი გამონათქვამი ჩემი წიგნის ამომწურავი რეცენზია არისო.

ქალბატონო მზია, ჟიურის წევრებისთვის, მუხრანის კვალობაზე, „კვრინჩხას“ განსამარტივად ხომ არ გიფიქრიათ?

დიმიტრი ლობჯანიძე – 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი დიმიტრი მალაქიას ძე ლობჯანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო დიმიტრი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მხცოვან შემოქმედს, ვაჟკაცობითა და ქედუხრელობით გამორჩეულ კოლეგას და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წლისთავს.

ქართულ მწერლობაში 1962 წელს შეამოაბიჯეთ, როდესაც ჟურნალმა „ცისკარმა“ გამოაქვეყნა თქვენი პირველი მოთხრობა „მერცხალა“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტური წერილები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

თქვენი პროზაული კრებულები „მერცხალა“, „გასროლა ნაკრძალში“, თამარ მეფის საფლავის საიდუმლო“, „ღამე გარეჯის უდაბნოში“ ქართველი მკითხველის მოწონებით სარგებლობს, რადგანაც თქვენი თითოეული მოთხრობა სამშობლო ქვეყნის უებრო სიყვარულითაა გამთბარი, მათი ავტორი ხომ ივერთა მიწის ჭეშმარიტი მოზარე და ჭირისუფალია, ძრწოლით რომ დააბიჯებს მისთვის აგრერიგად სანუკვარ ხეხუვებში და გრძნობს, როგორ შემოხვევია ეშმა ქართველთა საუფლოს და როგორ ცდილობს მათი გონებიდან, მათი მახსოვრობიდან ისეთი წმიდათაწმიდა ცნებების აღმოფხვრას, როგორიცაა ზნეობა, ვაჟკაცობა, ქედუხრელობა, ერთგულება, წინაპართა საფლავების მოვლის ნიჭი. ამავე დროს, მორალის, შინაგანი პატიოსნებისა და სიწმინდის, კეთილშობილების დასამახსოვრებელ მაგალითებსაც გვიხატავთ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი კრებული „ქართველები ქლუხორში“, რომელშიც ქართველთა გადასახლებას აღწერთ 1944-1954 წლებში. ეს კრებული თითქმის ერთადერთი მასალაა დაინტერესებული მკითხველისთვის, რომელშიც დოკუმენტური სიზუსტითაა ასახული იმ უმძიმეს წლებშიც კი თუ როგორ შეინარჩუნეს სამშობლოდან აყრილმა ქართველებმა სულიერი მხნეობა და შემართება.

თქვენი პიესები „ზვიადა“, „თქმულება ივანე ქვაციხისელზე“, „მახარა და ავზამთარა“ წარმატებით დაიდგა ქართულ თეატრებში. წლების განმავლობაში მუშაობდით თსუ გამომცემლობის რედაქტორად, გაზეთ „ავტოტრანსპორტელის რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურის განყოფილების რედაქტორად და ყველგან ქართული საქმის კეთებით გამოირჩეოდით.

თქვენი ნაწარმოებები არაერთხელ აღინიშნა პრემიებით რესპუბლიკურ ლიტერატურულ კონკურსებზე.

ბატონო დიმიტრი!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს შემოქმედსა და მამულიშვილს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სულიერ მხნეობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჯუბა ჯანდიერი – 80



80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი შემოქმედი ჯუბა ილიას ძე ჯანდიერი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ჯუბა!

ჩვენო ძვირფასო და უღალატო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1971 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „გვირილები“. მას შემდეგ თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები პერიოდულად იბეჭდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ დიდად ნიჭიერი შემოქმედი ბრძანდებით, ფართოა და მრავალწახნაგოვანი თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო და მაინც, ჩვენთვის, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლებისათვის, უპირველესად, პოეტი ბრძანდებით, შესანიშნავი ლირიკოსი, რომლის პოეტური კრებულები „ლირიკა“, „ბედი – ავბედი ხელოვანისა“, „ცხოვრება გრძელდება, მაესტრო“ სალიტერატურო კრიტიკისა და მკითხველის დამსახურებული აღიარებითა და მოწონებით სარგებლობს. ეს კი იმის მიზეზია, რომ თქვენი საოცრად მუსიკალური ჟღერადობის ლექსები ქართული სულიერებითაა დამუხტული, რაც განუმეორებლობას სძენს თქვენს პოეზიას, თქვენს ლექსს. ბევრი მათგანი ითარგმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ლექსების მუსიკალურობა, მელოდიურობა ვახსენეთ, რაც სულაც არ არის შემთხვევითი. თქვენ ხომ სანაქებო კომპოზიტორი ბრძანდებით, რომლის გარეშეც უკვე წარმოუდგენელია ქართული მუსიკალური სამყარო. თქვენს უმშვენიერეს, შედევრებად ქცეულ სიმღერებს („მზეო-მარიამ“, „თეთრი რაში“, „არაფერი მთავრდება და არაფერი ქრება“, „ხოხობს სძინავს თბილისში“, „მზეო თიბათვისა“, „მსახიობის ბედი“...) ისეთი სახელმოხვეჭილი მომღერლები ასრულებდნენ და ასრულებენ, როგორნიც არიან ლილი გეგელია, ნანი ბრეგვაძე, მირეი მატიე, ევა ჰილაროვა, ევა პისარეკი, მანანა მენაბდე, თეიმურაზ წიკლაური, ალეკო ხომერიკი, თამარ გვერდწითელი, ნუკრი კაპანაძე, მუსლიმ მაგომაევი, ლევ ლეშჩენკო, მანანა თოდაძე... გამოცემული გაქვთ საავტორო ფირფიტები, კომპაქტდისკები, აუდიო კასეტების ათი ალბომი, რამდენიმე გრან-პრის მფლობელი ბრძანდებით. როგორ არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ქართველ კომპოზიტორთა შორის პირველი იყავით, ვინც დიდი გალაკტიონის ლექსები მუსიკად აქცია.

თქვენი მრავალმხრივი ტალანტის ერთ-ერთ უმშვენიერეს გამოვლენად მიგვაჩნია თქვენი სასცენო მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, აგრეთვე მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი როლი შეჰქმენით.

გვახარებს ისიც, რომ თქვენი ნიჭიერება მხატვრობაშიც გამჟღავნდა. სწორედ ამის გამო დაიკავეთ საკუთარი ნიშა საოცრად მდიდარ ქართულ მხატვრობაში. თქვენი ტილოები მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებშია დაცული.

წლების განმავლობაში მუშაობდით ფირმა „მელოდიის“ მთავარ მუსიკალურ რედაქტორად. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, თეატრის მოღვაწეთა კავშირების, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის აკადემია „ფაზისის“, ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოების, თავადაზნაურთა საზოგადოების წევრად. მონიჭებული გაქვთ გალაკტიონ ტაბიძისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიები, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ქართული კულტურის რაინდის, ღვაწლმოსილის, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენითა და ქართული კულტურის ამაგდარის მედლით.

ბატონო ჯუბა!

თქვენი შემოქმედება იმ მწიფე მტევანს გვაგონებს, ქართული მზისა და მიწის მადლით გასხივოსნებულს, აკანკალებული ხელებით რომ მიგაქვთ მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მთვარისა ჭყოიძე – 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი მთვარისა ალექსანდრეს ასული ჭყოიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო მთვარისა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ საბავშვო მწერალს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ლიტერატურულ ასპარეზზე 1966 წელს გამოჩნდით, როდესაც ჟურნალ „დილაში“ გამოაქვეყნეთ პირველი საყმაწვილო ლექსები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი საბავშვო ლექსებისა და პოემების, ზღაპრებისა და მოთხრობების კრებულები, ისეთები, როგორიცაა „მეც ჯარისკაცი გავხდები“, „დელფინა“, „ღმერთი ძალას მომცემს“, „ზეიმი ზოოპარკში“, „იღბლიანი ბილეთი“ და სხვები შეიყვარეს პატარებმა, რადგანაც ისინი ამ წიგნებიდანაც სწავლობენ სამშობლოს ერთგულებას, სიკეთის, პატიოსნების, სათნოების ფასს...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ლირიკული ლექსების კრებულები „ყვავილების დედოფალი“ და „ნატვრისთვალი“, რომლებშიც კიდევ ერთხელ დადასტურდა თქვენი პატრიოტული მოქალაქეობრივი პოზიცია. გვახარებს, რომ თქვენს საუკეთესო ლექსებზე ქართველმა კომპოზიტორებმა (ვაჟა აზარაშვილი, მერაბ ფარცხალაძე, ჯემალ სეფიაშვილი) მშვენიერი სიმღერები შეჰქმნეს.

საყურადღებოა თქვენი პროზაული კრებულები „შეხვედრა სიყვარულთან“ და „დადგება დრო სიკეთისა“, რომლებშიც ჩვენი ყოფის არაერთი მნიშვნელოვანი, პრობლემური საკითხია წამოწეული.

ჩვენო მთვარისა!

მთელი ცხოვრება ქართული სიტყვის, ქართული მწერლობის ერთგული მსახური იყავით და ხართ. სხვადასხვა დროს მუშაობდით კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში ლიტერატურული წრის ხელმძღვანელად და თანამოძმეთ ქართული სიტყვის მადლსა და მირონს აზიარებდით, თქვენი ინიციატივით არაერთი ლიტერატურული საღამო გამართულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში...

მონიჭებული გაქვთ მარიკა ბარათაშვილის პრემია.

კარგად ვიცით, თუ რა თავმდაბალი და სათნო ქალბატონი ბრძანდებით.

კიდევ ერთხელ გულთბილად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, სიყვარულითა და სიკეთით გასხივოსნებულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ურყევ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ცირა ნუცუბიძე

ერთგულება

ნაწრთობ–ნადუღაბებია
სიყვარულში ერთგულება,
უწმინდესი, უნაზესი გრძნობა
– ერთგულება,
ბავშვობის და სიჭაბუკის
სიყვარული – ვნება,
მას არ ჰქვია ერთგულება,
მხოლოდ – მოგონება.

ერთგულება დრო და ჟამის,
განცდის ნაბადია,
ერთგულების დიდი გრძნობა,
რჩეულთ აბადია,
ერთგულება – სიდიადე,
გონის ნაყოფია,
ერთგულება – სილაღე და
სულის მნათობია.

ერთგულება სამყაროა
უანგარო ტრფობის,
ერთგულება – სამოსია
უპირობო ნდობის,
ერთგულება – თმენის,
რიდის, განცდის ნაჩარხია,
ერთგულება – დიდ ნაცადი,
სულის ლამპარია.

ბათუმს

ღვთიურო ბათუმო,
ცაში აზიდულო,
ხალხო ენატკბილო,
მოყვასო და
ჩვენო სამკაულო,
მძივებად ასხმულო,
ზურმუხტში ჩასმულო
ზღვის პირას გაშლილო.
ოცნების ქალაქო,
მხნეობის ალაგო,
მუზების მომგვრელო,
ერთგულო და ლაღო.
მზიურო ბათუმო,
ვარსკვლავთ შესადარო,
ხმატკბილ შემოქმედთა
კერავ–საბუდარო.

კვალდაკვალ...



ნოდარ შანიძე

ფიქრი კაცს თავისით მოეძალება ხოლმე. ეს ფიქრებიც თვითონ მოჯარდა, როდესაც ქართულ ანბანს მივუახლოვდი. რაღაც იდუმალი ბედით შეკრული ადამიანის ცხოვრების გზასაც მივადექ, ალბათ ერთ - ერთი ყველაზე ბუნდოვანი პიროვნებისა. ჩემდა უნებურად გონებაში საოცარი სურათი გაცოცხლდა.

განდეგილის შესახებ გადმოცემებში როგორც ვხედავთ ყველაფერი არაა დაცული და ჩვენ დროებამდე სამწუხაროდ ფრაგმენტებია მოღწეული, თქმულების არქაულ საზოგადოებაში შემონახული არქეტიპული ვერსიები როგორც ჩანს კიდევ სხვა იყო.

მითოლოგიური გადმოცემები უმთავრესად ფანტასტიკურია და ჩვენი ვალია გამოგონილში სინამდვილე ვეძიოთ. რეალურის არარეალურისაგან გარჩევა გვევალება. რადგანაც მითოსი უდამწერლობო მეხსიერებაა, ადამიანის არც თუ ხანგრძლივი მახსოვრობაა. ალბათ ბევრ რამეს უმატებდნენ, ავრცობდნენ, ახალ ეპიზოდებს თხზავდნენ, ზღაპრულ სამოსელში ხვევდნენ.

ეს ანდრეზი გამოკვეთილად ქრისტიანული ტენდენციისაა. მასში მოთხრობილ ამბავს მოგონილად თუ მივიჩნევთ, ამით კიდევ უფრო გაესმება ხაზი თუ რა გააფთრებულ პროპაგანდას მიმართავდა ქრისტიანული ეკლესია ძველი იდეოლოგიის სახელის გასატეხად.

ხევში არსებული ლეგენდები კი ბოლომდე არ ხსნიან ბეთლემის საიდუმლოს. რაღაცას უთქმელად ინახავენ. მხატვრულ მეტაფორაში გადააქვთ.

იქნებ უფრო გაბედულად მივენდოთ ჩვენივე ვარაუდებს. აკი დღემდე მოღწეულმა ძუნწმა ცნობებმა საშუალება მომცა გამომეკვეთა არა მონაზონ ბერის, არამედ ასტრონომი ქალის პორტრეტი, მისი ცხოვრების გზისათვის თვალი გამედევნებინა.

მრგვლოვანმა თითქოს მისი სახელიც მიკარნახა, ანბანი გველაპარაკება.

დროის მიხედვით არცთუ პატარა მონაკვეთია, რახან ანბანი იმასაც გვეუბნება თუ რამდენ ხანს იქმნებოდა იგი.

მართალია, ისტორიულ წყაროებში დუმილია ან ბუნდოვანებაა და უსათუოდ გაშიფვრას მოითხოვს.

სავარაუდებელი კია, რომ ნაწარმოები აუცილებლად იარსებებდა. თხზულება, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. ალბათ იყო ასეთი წერილი და სხვა მრავალთან ერთად დაიღუპა.

ილიამ განდეგილი 1883 წელს დაწერა. იგი მან თავის მეუღლეს ოლღა გურამიშვილს უძღვნა. მოქმედ პირებად წმინდა მამა და მეცხვარე ქალია გამოყვანილი.

მწერალი ილია ხონელი ჯერ კიდევ ილიას სიოცხლეშივე 1896 წელს აქვეყნებს ლეგენდას განდეგილზე. გვეუბნება, რომ ჭავჭავაძის პოემა მთლიანად არ ემთხვევა ლეგენდასო.

პავლე ინგოროყვას ცნობით ხევში ჩაწერილი რამდენიმე თქმულება მხოლოდ უახლოვდებიან ილიას განდეგილის თემას.

გერგეტის სანახებთან დაკავშირებულ საკრალურ თქმულებათაგან ერთ - ერთი გვამცნობს, რომ ხევსურმა გახუა მეგრელაურმა გუდანის ხატის მკადრემ გერგეთის ბეთლემის სახლში იხილა ოქროს აკვანი ყრმითურთ. „ერთ ოქროს აკვან იდგოდ, შიგან ყმაწვილ იწვავ“.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით მეფე ერეკლეს დროს მღვიმეში მყინვარსა მთასა შინა კაცთაგან მიუვალსა აღვიდა მღვდელი იოსებ მოხევე, რომელსაც იქ უხილავს კარავი და აკვანი აბრაამ მამამთავრისა და მეფე ერეკლესთვის კარვის ნაჭერი მიურთმევია. ხევში გავრცელებული გადმოცემის თანახმად იოსებ მოხევეს ჰყოლია შვილი, სახელად მარკოზ, ბეთლემში ის ადიოდა და მას მრავალი ოქროული ჩამოუზიდავს და გადაუმალავს. გადმოცემაში მოხსენებული ოქროს აკვანი სწორედ მას ჩამოუტანია.

ბეთლემის საგანძურზე ერთი მოხევური თქმულებაც მოგვითხრობს. გერგეტის უდაბნოში უმოღვაწია წმინდა ბერს მამა მამუკას. მისი გადმოცემით: მთას ძირიდან წვერამდე ყინულში გამოკვეთილი კიბე მიუყვებოდა. კიბეს შესდგომია, რომ აეთავებინა, საოცარი სანახაობა, შუა იატაკზე თვლებით მოჭედილი ოქროს აკვანი უხილავს.

ბეთლემში განდგომილი ბერები მე 19 საუკუნის ბოლომდე ცხოვრობდნენ.

1824 წელს გარდაცვლილა მღვდელმონაზონი ბესარიონი – მყინვარის უკანასკნელი მკვიდრი.

მოგზაურ ფრიდრიხ პარიტის 1900 იან წლებში ოთხჯერ უცდია იქ ასვლა. ბოლოს მაინც ასულა და თითქოს განძიც უპოვნია. თუმცა ეს საგანძური დაკარგულა.

წმინდა სავანე რუსეთის სამთო საზოგადოების ექსპედიციას 1913 წელს დაუპყრია.

1947 წლის დეკემბრის მიწურულს თბილისის ალპურ კლუბიდან ალექსანდრა ჯაფარიძის მეთაურობით მთასვლელები ყაზბეგისკენ გაემგზავრნენ. როდესაც მღვიმეს მიუახლოვდნენ, მოგზაურები განცვიფრდნენ – ჯაჭვს, რომელიც ვინ იცის რამდენი საუკუნისა იყო, ჟანგი არც კი მოჰკიდებოდა. იმასაც გვეუბნებიან უკუთხო ჭერი ქვაბულისა გუმბათს მოჰგავდაო. მოხევური თქმულების მიხედვით აკი ვკითხულობთ გადაკვრას და ჩვენ მეტისმეტი სიფრთხილით ვვარაუდობთ, ქვაბულს მთის ძირიდან წვერამდე ყინულში გამოკვეთილი კიბე მიუყვებოდა. ეხში თურმე სწორედ ამ კიბით ავიდა მამუკა. სამწუხაროა კიბის კვალი დღეს არ ჩანს. ამის დადგენა ალბათ ვეღარასოდეს ვეღარ მოხერხდება, დღეს ჩვენ ტრადიციულ საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს ვუჯერებთ, რომლის მიხედვითაც ადამიანთა შესასვლელად ზედ რკინის ჯაჭვი ეკიდა. მოხევეების გადმოცემით სამების მონასტრის რკინით მოჭედილ კარზე უამრავი რგოლი ყოფილა ჩამოკიდებული, რომელთაგან დღეს ძალიან ცოტაა დარჩენილი. მოხევეები მათ საყარაულო რგოლებს უწოდებენ. ჯაჭვი ეხლაც არის. ის 5,5 მეტრი სიგრძისაა და შვეულ მონაკვეთზე იყო დაკიდებული. იქ ოდესღაც კიბის არსებობის ვარაუდი მართლაც არსებობს და ახლა ისღა დაგვრჩენია ჯაჭვს მიუჩინოთ თავისი პირვანდელი ადგილი და დანიშნულება.

მაგრამ, მოდით ჯერ იმ მცხეთელი მოგვების მოძრაობის ისარს გავადევნოთ თვალი, ძღვენი რომ მიართვეს ბეთლემში შობილ ყმა იესოს. აკი, მოხევეებს დიმიტრი ბაქრაძისათვის ესეც უთქვამთ, ბეთლემის მღვიმეში მოსეს კარავი და ის ძღვენია, მოგვებმა რომ მიუბოძეს ყრმა იესოსო. „განდეგილის“ პორტრეტსაც შტრიხი შეემატება. შემორჩენილი კანტიკუნტი ცნობების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ეს ამბავი გავაცოცხლოთ.

როცა ანბანთმცოდნეები დასაბამზე გველაპარაკებიან, ასე ამბობენ: დასაბამი, 5604 წელი – იშვა ქრისტე. დასაბამი 540 წელი – იშვა ქრისტე. ისინი იმასაც ვარაუდობენ, რომ ქართული ანბანი თითქოს მცხეთელმა მოგვებმა (ებრეელებმა) შეჰქმნეს. ანდრეზის დანაშრევიდან კი ვიგებთ, ქართული ანბანი ამ ქვაბულში დაბანაკებული ქართველი ქალწულის მიერ კოსმოსიდანაა გადმოწერილი. ისტორიული მნიშვნელობით მეტად საგულისხმოა, მცხეთელმა მოგვებმა განძი მას სწორედ მრგვლოვანის საზღაურად მიართვეს.

მოხევეები დღესაც ამგვარად ხსნიან: ბეთლემის მონასტერში მთელი საქართველოს განძი იყოო. მაშ რა უნდა ყოფილიყო მთელი საქართველოს განძი? აკვანი რაღაცის გასაგნებაა. მაგრამ ეს ჩვენთვის ახლა საინტერესო არ არის. ჩვენში ინტერესის აღმძვრელი სხვა რამაა. როგორი იქნებოდა ნამდვილი ვითარება.

ახალ აღთქმაში ვკითხულობთ, რომ მშობიარე მარიამი ქვაბულში დაბანაკდა. ამ ქვაბულად ჩვენ შეგვიძლია „გერგეთის ბეთლემი“ მოვნიშნოთ. მოდით სახარებისეული თქმულებიდან რაიმე უცვლელი დავტოვოთ, შეუცვლელი დავტოვოთ ბეთლემი, დავტოვოთ უცვალებელი ქალწული და რაღა თქმა უნდა – იესოც. რა უფლება გვაქვს არ დავიჯეროთ?!

ერთი პარადიგმა. ცოტა შორს გავიხედოთ. თემურ ლენგის უსაყვარლესმა შვილიშვილმა, ულუგ ბეკმა ხკვ საუკუნეში აღმოსავლეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ობსერვატორია ააგო, დაახლოებით თანამედროვე ათსართულიანი სახლის სიმაღლისა, რომლის საფუძველშიც ვეება რკინის რკალი ჩააყოლა. იმ ასტრონომიული ინსტრუმენტის მეშვეობით მან ათასზე მეტი ვარსკვლავის კორდინატი გათვალა. ამ მხრივ ყურადღებას ჩვენში ნეკრესის აღმოჩენა იქცევს.

2004 წელს საქართველოში მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი ბრიტანელი პროფესორი კლაივ რაგლესი ჩამოვიდა. ნეკრესის ველი აზომა. შემდეგ სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით პირველი საუკუნეების საქართველოს ცის მოდელი შეჰქმნა. ექსპერიმენტმა არქეოასტრონავტების ეჭვი დაადასტურა. ნეკრესი ციურ სხეულებზე დაკვირვებისათვის აგებული ტაძარი აღმოჩნდა. შენობა ლანდშაფტში ისეა ჩასმული და აგებული, რომ 22 დეკემბერს როდესაც დღე წლის განმავლობაში ყველაზე პატარაა, ამომავალი მზის სხივი სამხრეთ აღმოსავლეთის აფსიდას ანათებდაო. დროის მარკერი იყო, დროის ფიქსატორიო. ნეკრესი 4 საუკუნეში ქრისტიანებმა გაანადგურეს

რელიგიური ომი რომელიც საქართველოში გაიმართა ნეკრესში კარგად ჩანს – ბეთლემშიც? იქნებ ლომისაზეც?! ხომ არ არის ბეთლემის ქვაბული უუძველესი ობსერვატორია, ხოლო ჯაჭვი ასტონომიუული ხელსაწყო – სექსტანტი? ჯაჭვი ლომისის ჯაჭვსაც ეკონტაქტება და იქნებ ლომის ალევის მთაზე მდგარი სალოცავიც უუძველესი ობსერვატორიაა?!

საქმე ისაა, ნეკრესის ტაძარს კარი სამხრეთ აღმოსავლეთითა აქვს შებმული, ბეთლემის ქვაბულსაც, ლომისასაც. ხოლო, რა დანიშნულება ჰქონდათ ნეკრესში აღმოჩენილი ბრინჯაოს წკეპლებს ვერ გაარკვიეს და გვეუბნებიან, მით რომელიღაც რელიგიური რიტუალი სრულდებოდაო.

ფაქტია, ბეთლემის კარი მსხვილთავიანი რკინის ლურსმნებითა და რკინისავე დაგრეხილი რგოლებითაა მოჭედილი და ლომისის ტაძრის კარებს მოგვაგონებს.

დაბოლოს, ბელეტრისტის გაბედულმა თვალმა ყოველი შეიძლება პირუკუ შეატრიალოს. ბეთლემში ბერი კი არა, ქალი ცხოვრობდა ამ მყინვარწვერთან მდუმარებდნენ მისი თვალები, ვინაც ცის აგებულება იცოდა და ანბანი შეგვიქმნა. რაც შეეხება ქალწულობას, დედათწესის გაუქმება ანუ „ნაწმინდურობა“ უნდა გამოვრიცხოთ. ქალწული იყო და მორჩა. ხოლო, რადგან იქ არ არის ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მთებით შემორტყმულ ბეთლემის ველიდან ალბათ ვინმე მწყემს მამაკაცს ქალ ასტრონომისათვის ქვაბულში ქადახმიადი აჰქონდა.

მჯერავს, ქართულ მიწაში გაიხრწნა ქალწული, რომელმაც მრგვლოვანი შექჰმნა, რაც არა მარტო ანბანი – უზუსტესი კალენდარიცაა, რომლის სადარი არა აქვს მსოფლიოს. ჩვენ შეგვიძლია მუხლი მოვიდრიკოთ შესანიშნავი ქართველი ქალწულის წინაშე, ვინაც გვიშვა იესო!

ზღაპარი

გიული მურადაშვილი

ყინავს, დაძრულ თოვლში ხავსი მოჩანს აქა–იქ, შეფარვით; ცეცხლის ალივით გამჭვირვალე ღრუბლებიდან დაშვებულმა მზის სხივმა – თითქოს ოქროს ბადეს ჩააწნა ტრიალ ველზე ეული ტირიფი,

რომელიღაც ფრინველი ფრთას შლის მზის სხივთა წნულში –

მასთან ერთად უჩინარდება...

იცრიცება ფერები ბინდში. თოვს...

სტუმრობს მეზღაპრე:

–დედამიწიდან შორს, რომელიღაც უცხო მხარეში ბავშვებს უყვარდათ თამაში; მაგრამ ისინი, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, – ნავარდობდნენ, ბუქნავდნენ, ყირამალა გადადიოდნენ ღრუბლებში; ერთ დღეს შორს გაიჭრნენ – ცნობისმოყვარე, ანცმა, სიფრიფანა ბავშვებმა – მთებივით აწვერილი ნისლი, ზღვასავით მოლივლივე სივრცე გაიარეს, გაცისკროვნებულ გზას აღმა–დაღმა აუყვ–ჩაუყვნენ, იარეს ცისქვეშეთში, კარგა ხნის მერე მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ.

გახარებული დედა ნიავ–ქარივით ევლებოდა შვილებს.

დიდედა კვირისთავს შეელია – სად იტანტალეთ, ან რა ნახეთ – ჰკითხა:

პატარა მოგზაურებმა ერთმანეთს ანიშნეს:

–„არა, შენ თქვი, არა - შენო!„;

ამასობაში ყველას დაასწრო ნაბოლარამ; მაგრამ მის ტიტინს ვინ გაიგებდა.

–რა თქვა და რა არა?! თავისიანები მიუხვდნენ;

–აქედან არც ისე შორს, დაბურულ, უღრან ღრუბლებში იბორიალებდაო; უსმენდა, დიდედა თან კვირისთავს ატრიალებდა, დროდადრო თვლემას მიეცემოდა, ძაფის გორგალი ხელიდან ეშვებოდა... უნდა გენახათ, ბავშვები რომ დაედევნებოდნენ...

ქარბორბალა თოვლს ნამქერს უმატებს,

მიდამოს ბურავს და აჩენს:

მეზღაპრე სარკმელს შორდება, ამბავს განაგრძობს;

–იმ მხარეშიც იცოდნენ გათვლა: „ახლა შენი ჯერია„; ბავშვებმა გაითვალეს და შუათანამ თქვა შორეული ქვეყნის ამბავი:

–ბაღი კლდე-ღრეს ეხმიანებოდა,

ვარდი ყვავილნარს ეჯიბრებოდა;

ბავშვები შრომობდნენ,

მოივლიდნენო კლდე–ღრესაც;

უსმენდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, – რა ერქვა ამ ქვეყანას; სახელი „დედამიწა“ იცოდა მრავალისმომსწრე დიდედამ; ცოტა ხნის მერე მან „მზეჭაბუკის“ ზღაპარიც გაიხსენა:

–მოღერებულმა შუბებმა ვერ გაჭრა, მზეჭაბუკმა მხარი–ფარით, თავი სიმღერით გაიმხნევა:

„სიმამაცისა გიპყრია კვერთხი,

ცეცხლოვანი რაშნი მიგაქროლებენ

მესამე ცის კამარაზე“.

(ჰომეროსის ჰიმნებზე).

დავით იაკობიძე

ველოდები ზღვების ღელვას

მზის სხივებით გაბადრული,
მთვარე თავზე დამქათქათებს,
სძინავთ საღათაის ძილით,
კავკასიის გოლიათებს.
მტერს შეშურდა ელვარება,
ჩვენი მზის და ჩვენი მთვარის,
კვლავ არ ცხრება მღელვარება, –
მუხა როა ფეხზე მდგარი.
გააფთრებულ ვეშაპებთან,
სიფრთხილე და გონი გვმართებს...
ძალა არ მაქვს, ბოღმა მაღრჩობს,
რომ ვუყურებ მავთულხლართებს.
ჩრდილოეთის მეზობელი,
მაფხიზლებს, თან მაშანტაჟებს,
მამა–პაპის საფლავს მიყოფს,
მოთმინება გამაკაჟებს.
ჩვენს მიწაზე სარეველას,
არასოდეს უხარია,
მას გრიგალი გადათელავს,
გრიგალი ხომ მქუხარეა.
ველოდები ზღვების ღელვას,
ველოდები შტორმულ ქარებს,
გემს უნიჭო კაპიტანი,
უფსკრულისკენ მიაქანებს.

სიტყვა

სიტყვას წარმოთქმულს ვერ დაიბრუნებ, –
ტყვია ასხლეტით ბრუნდება უკან,
„ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“,
ეს წინაპართა ბრძენკაცებს უთქვამთ.
ვიცი რომ ენას არააქვს ძვალი...
ენა მსმენია: ჩიტის, ბულბულის,
მათი გალობით დავდივარ მთვრალი,
მათზე გიჟივით შეყვარებული.
ტკბილ ენას ხვრელით გამოჰყავს გველი,
დაუნდობელი, და შიშის მგვრელი...
როს კაცის ენა წარმოთქვამს სიტყვას, –
უნდა ყოველთვის სიმართლე ითქვას.
კლდე უნდა იყოს სიმართლის მთქმელი,
კლდე, პიტალო კლდე და ღვთისნიერი.
არ უნდა შეჯდეს შეკაზმულ ცხენზე,
ქრისტე ღმერთივით ზრუნავდეს სხვებზე.

***

წუხელ სიზმარში გნახე,
თეთრი ვარდებით ხელში,
მთვარეს გიგავდა სახე,
მზე გიბრწყინავდა თმებში.
როგორც ყოველთვის კარგო,
ქვა გული გიდევს მკერდში,
შენმა უგულო მზერამ,
დამტოვა სიბნელეში.

სიზმრად ვნახე

სიზმრად ვნახე კაცის კვლა და
შემეკუმშა მყისვე გული,
„არა კაც ჰკლა! არა კაც ჰკლა!“,
ჩამძახოდა ქრისტეს რჯული.
დავცურავდი ცოდვის კუპრში,
ტანს ალმური მედებოდა,
ჯოჯოხეთის ცეცხლი მწვავდა,
ჩემთვის აღარ თენდებოდა.

რა აძინებთ, რა აძინებთ!
ვამპირებს და სისხლის მსმელებს,
მიცვალებულთ აჩრდილები,
საფლავშიც არ მოასვენებთ!

წყალი და მდინარე

მურმან ვახანია

სიყრმესა და სიჭაბუკეში მჩვეოდა მთებში ხეტიალი. უთვალავჯერ მომივლია ოჩხომურის, ხობისწყლის, ტეხურის ზღაპრულად თვალწარმტაცი ხეობები. ჩამოვჯდებოდი ლოდზე მდინარის სათავესთან და საათობით ვტკბებოდი მდინარის დაბადების ცქერით.

სად არ მატარა ბედმა და რა არ მანახა! გამაოცა ვოლგა დქნის არხმა დონის კალაჩის მიდამოებში თავისი გრანდიოზულობით. ეს ის არხია, რომლის გაყვანა სტალინს მიეწერება და „მცირედ ეჩვენებოდა შეყრა ვოლგასთან წყნარი დონისა. „ჩაგანშიც მიბანავია და ურალშიაც. რამდენჯერმე გადავცურე ირტიში ომსკთან. „არ გირჩევო, სამხრეთელო. – მითხრა ერთმა მოხუცმა, – ვერაგია ირტიში. აქ ხშირია მორევი. ჩქარა ჩაგითრევს, ამოგდებაზეაზოზინა, ამაოდ გაირჯებაო შენზე სასწრაფო. „მაინც არ ვერიდებოდი ჯიუტად. „არ დაგჯაბნონო დიდიმდინარეების სანაპიროთა შვილობილებმა ოჩხომურის, ტეხურისა და ხობისწყლის გამოწრთობილი ღვიძლი შვილი!“ – მაფრთხილებდა „კოლხური კოშკიდან“ დიდი კონსტანტინე.

იმ წელს ვორკუტიდან სალეხარდში გადავბარგდი. ობის ნახვა მომინდა შესართავთან .რის ვაი-ვაგლახით ჩავაღწიე სალეხარდის ხე-ტყის გადასატვირთ ბაზამდე. ასაფრენად გამზადებული ვერტმფრენი აზანზარებდა ჭაობზე დაგებულ ფიცარნაგს. მუშების ჯგუფთან, რომლებიცშესართავთან სულ ახლოს იყვნენ დაბანაკებულნი, კავშირს ვერ ამყარებდნენ. „მეც გამოგყვებით-მეთქი“ – ძლივს გავაგონე ჯგუფის უსროსს. თავი დამიქნია თუ გააქნიაკარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ მე თავის დაქნევა მაწყობდა და ვერტმრენს მივაშურე ბილეთიანი მგზავრივით. ჯაყჯაყით დავეშვით. შევედით მორებისგან შეკრულ კარავში. ვინ გავიდოდაკავშირზე – არყისგან გალეშილი თორმეტი კაცი ეწყო ერთმანეთზე მორივით. მეორედილას ძლივს გაახილეს თვალი დალევის ხათრით. დიდხანს ვიბორიალე ობის ჭაობიან სანაპიროზე დაგებულ ხის ტრაპზე ბუნდოვნად მოჩანდა მეორე ნაპირი. ტბას უფრო ჰგავდა. ვერც შეატყობდი, საით მიედინებოდა, ტივს თუ არ გაა ყოლებდი თვალს. უკაცრიელია და მდიდარია ციმბირი, უკაცრიელია და იმიტომ, თორემ გაზულუქებულ ევროპასავით რომ იყოს მჭიდროდდა სახლებული, გამოხრავდნენ უკვე ნაქები ევროპული ტექნოლოგიებით. უზომოდ დიდიადა წარმოუნდგენლად წყალუხვი ციმბირის მდინაარეები, მაგრამ არც ერთი ვერ შეედრებაჩემიმამულის მდინარეებს ვერცა სიწმინდით, ვერცა სრბოლით, ვერცა სეუპოვრობით, ვერცასანა პიროს მიმზიდველობითა და ფერება-მოსიყვარულებით. სულ სხვაა ჩემი ოჩხომური, ნაჩხურა, ტეხური, ხობისწყალი. ახლა რიონი? მტკვარი? ალაზანი? იორი? არაგვი და არაგვები? ცხენისწყალი? ეჰგური? კოდორი? – ხომ არ ჩამოვთვალო 26 ათასამდე-დიდი და პატარა მდინარე – ჩემიმამულის არტერიები, სისხლძარღვები და კაპილარები?! მერე ჩემი ტბები და წყალსატევები?შეედრება მათიმათი „სტეპნოე ოზეროები“ ორი მოღუნული არყის ხით ნაპირზე „ბერიოზად“ რომ უხმობენ. რამდენჯერ დავუკბენივარ იმ არყის ხის ძირას უსინდისო კოღოებს! სიდ ედრის ენას ჩაგრავენ ის კოღოები ხორთუმის სიგრძით; სქელკანიანი ადამიანის ტყავზეა გათვლილი... ვაი, მას, ვისაც უცხო წყალი გადასხმია და გაუმშობლიურებია!

ჰგავს ადამიანის ცხოვრება მდინარეს და არცა ჰგავს. სათავე – დაბადება, შესართავი – გარდაცვალება. მაგრამ მდინარე სათავეში იწყებოდა და იწყება დღესაც, ერთვოდა და ერთვის დღე საც. ასე იყო მითაჟამიდან და იქნება მითაჟამამდე, ვიდრე ქვეყნიერება იარსებებს. ადამიანი კი იბადება და არავინ იცის სად იქნება მისი შესართავი – გარდაცვალება; არცთვითონ. მოუსვენა რია მდინარე, ბობოქრობს, შფოთავს, კალაპოტში ვერ ეტევა წვიმებისგან გადარეული, ან თოვლის დნობისგან გაგიჟებულ-გაუჟმურებული. მოსვენებაც ჩვევია ხოლმე გზადაგზა შერჩეულ ადგილებში სამომავლო ფიქრებში ჩაძირულს. მხოლოდ შესართავთან მშვიდდებათავისი ნამოქმედარის შესაჯამებლად. ადამიანიც ფუსფუსებს, მოუსვენრობს, ბობოქრობს და ზვაობს მთელი ცხოვრება. მდინარეს მოაქვს და მოაქვს თავისი კუთვნილ, ქვა, ღორღი, კენჭი, ქვიშა, მორი, ფიჩხი, სასხვისოდ, არაფერი სათავისოდ. ადამინს მიაქვს და მიაქვს ყველაფერი სათავისოდ. არავის დაუთმობს თავის ნაშოვარს, ნაძარცვს, ნაყჩაღარს, წანართმევს, მოპარულს, ვიდრე საბოლოოდ არ მიიღებს იმას, რასაც თავის ცხოვრებაში ცოცხალი თავით არ დასჯერდებოდა–შვიდიოდე ღერ სამ ადლიან ფიცარს და იმ ფიცრებისგან გაკეთებული სასახლის ზომის მიწას!

მდინარეს აქვს თავისი დინების კალაპოტი, ადამიანას – ცხოვრებისა. მდინარე არ იცვლის თავისი დინების კალაპოტს, უხსოვარი დროიდან აქვს მონიშნული სათავე. ადამიანი კი თავისი ცხოვრების კალაპოტის მიმართულებას ყოველდღე იცვლის, ბლანდავს და ხლართავს ობობას ქსელივით ღაბირინთებს. არავინ იცის საით წავა ადამიანი ხვალ, არც თვითონ. ზოგჯერ იმდენად შორდება სათავე-ოდებადეს, რომ მისი შესართავიდან – გარდაცვალებიდან არ ჩანს მისი ნაკალაპოტარი, რომელიც სათავიდან მოდიოდა ოდესღაც. მხოლოდ მწარე სინანული რჩება გულში საიმქვეყნო.

არა, მდინარე სხვაა!

წყარო, ნაკადული, ღელე გაბნეული ვერცხლის მძივებივით ცვივა და ცვივა კლდოვანი ნაპრალებიდან წვეთ-წვეთად, მარცვალ-მარცვალ, შხეფებად, ჭავლებად. ჩუხჩუხით, რაკრაკით, წანწკარით, პუტუნით, ტიტინით, ღუღუნით მიიჩქარიან, მიილტვიან ერთმანეთთან ჩასაკონებლად, ასაკინძად, მერე მოიყრიან თავს ქვისგან უხსოვარ დროში გამოთლილ ღარში მომძლავრებულიგათამამებულნი და შობენ მდინარის სათავეს. ახალშობილი მიედინება თავქვე თავდავიწყებით შხუილით, ჩქრიალით, დგრიალით, დგაფუნით, ღრიალით, ღმუილით, ბუხუნით, ჭორომებისა და ჩანჩქერების გამაყრუებელი ზათქით. გზადაგზა შენაკადებით დაძლიერებული და უკვე შობილი წყალმრავალი, აქაფებული და დუჟმორეული მდინარე მიიჩქარის დასაფონებლად, გასავაკებლად, დასატბორებლად თავისი შესართავისკენ სადაც ელოდებიან ვინ იცის საიდან გადმოხვეწილი თანამოძმეები ტბებად, ზღვებად და ოკეანეებად ქცეულნი. ერთიანდება სათავიდან ჩამოზვავებული ძალა ტალღებად, ზვირთებად და ცუნამებად ქცეული. დაჯირითობს თვალუწვდენელ სივრცეში და წალეკვით ემუქრება ნაპირებს, სათავისკენ დაბრუნების ჟინით, გაგულისებული და გაცოფებული. შეუბრალებელ ჭიდილში იღვრება ოფლად, ნისლად, ღრუბლად მიიწევს ცისკენ და მიიკვლევს გზას თვალუწვდენელი ცის კაბადონზე უკვე თავისი დინების საწინააღმდეგოდ მცურავი სათავისკენ. იქ მთებსა და ტაფობებზე დაასკდება მიწას ვაკეში, დაბლობებზე, მაღლობებზე, ბორცვებზე, კორდებზე, გორაკებზე, მთებსა და ქედებზე თქეშად, თქორად, ჟინჟლად, შხაპუნით, მერეხით, კოკისპირულით, თავსხმად, ჟუჟუნად, დელგმად, რასაც ქართულზე გაღარიბებულნი წვიმას ეძახიან. ხანდახან ადამიანთა ცოდვების წილხვედრ სეტყვას დაუშენს ნალოლიავებ ყანებს, ბაღებსა და ზვრებს. ზამთარში თოვლის ფაფუკ საბანს გადააფარებს არემარეს, აჯერებს მიწას, აწოვებს ძუძუს წყაროს, ნაკადულსა და ღელეს, რათა არ დაშრეს სათავე მდინარისა, ურომლისოდაც სიცოცხლე გაქრებოდა დედამიწაზე, წყალსა და ხმელეთზე. წყლის ყოველი სულდგმული ცურვით მიიწევს მაღლა თუ ცოცხალია რამე თუ სიცოცხლე დინების საწინააღმდეგოს ცურვაშია მხოლოდ. სათავესთან იწყება სიცოცხლე!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ალი ისაევ-ავარსკი

ალი ისაევ-ავარსკის სახელი კარგა ხანია ლეგენდად იქცა. ჩვენი თანამედროვეობის არაქართველთათვის საქართველოს ეროვნული გმირის სახელის მინიჭება რომ შეიძლებოდეს, პირველ რიგში ალი ავარსკის მივანიჭებდი. ამ სამოცი წლის წინათ, ბედისა თუ უბედობის გამო, თბილისში ჩამოსული დაღესტნელი ბიჭი - თითქმის მიუსაფარი და უპოვარი ქართული საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრებას ეცნობა და ერთხელ და სამუდამოდ რწმუნდება ჩვენი ერის უსაზღვრო ტოლერანტობაში და მის სხვა რაინდულ თვისებებში. გადის დრო და ალი ავარსკი ქართული მხატვრული ინტელიგენციის ცენტრში აღმოჩნდება. მისი მსახიობური და ლიტერატურული მონაცემები დროულად შენიშნეს ირაკლი აბაშიძემ და რეზო ჩხეიძემ. ალი ავარსკის მწვანე შუქი აუნთეს ქართული ხელოვნების ასპარეზზე და დაღესტნელმა ჭაბუკმაც ივარგა, ჯერ ქართველი თავადის ქალი, უნიჭიერესი მარინე იაშვილი შეირთო და სანაქებო ქართულ-ლეკური ოჯახი შექმნა. მერე ერთიმეორის მიყოლებით შეასრულა რამდენიმე თვალსაჩინო როლი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და სახელოვანი მიღწევებით მხრებდამშვენებულს დიდი ისტორიული კატაკლიზმებით სავსე 90-იანი წლებიც წამოეწია. დაინგრა საბჭოთა კავშირი და თავისუფლების მოყვარე კავკასიელი ერები მძიმე გამოცდის წინაშე დადგნენ. კავკასიური ოჯახის ერთიანობის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. უფრო მეტიც, რუსების მიერ ინსპირირებულმა ძმათა ომმა საქართველოს სტუმარი ერები - აფხაზები და ოსები თავიანთი გულუხვი მასპინძლის, დედა საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი ჩრდილოკავკასიელი ტომიც ახალფეხადგმული, დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა. ისტორიის წინაშე საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. საქართველო რუსის ზურგით და იარაღით გამაგრებულ შინაურ ძმებს ძლივს უმკლავდებოდა და ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისის დასაპყრობად მოცოცავდნენ რუსის ოპიუმით გაბრუებული, ირაკლი აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გააფთრებული ყვითელი გველები“. ამ დროს ალი ავარსკიმ რკინის ქალამნები ჩაიცვა და თავის სამშობლო დაღესტანს მიაშურა. გამოდიოდა იგი დაღესტანში ყოველ მიტინგზე და თანამემამულეებს მოუწოდებდა, ხელი არ აღემართათ მტერთაგან შევიწროვებულ ქართველ ძმებზე და ალი ავარსკის რუდუნებამ სასურველი შედეგი გამოიღო - ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოსკენ დაძრულ ჩეჩნურ, ინგუშურ, ჩერქეზულ, ადიღეურ დაქირავებულთა ლაშქარში ლეკები არ მონაწილეობდნენ. დაღესტნელი ძმების კეთილმანებამ და ალი ავარსკის ავტორიტეტმა იმდენად იმუშავა, რომ რასულ გამზატოვის სამშობლომ საქართველოს წინააღმდეგ გამართულ რუსულ-კავკასიურ ომში ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა.

დაღესტნელი ხელოვანის, ალი ავარსკის ეს საქციელი ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს ქართველი და დაღესტნელი ერების ისტორიაში.

გადაიარა ომის გრიგალმა. მართალია, საქართველოს თავზე ყოველთვის დამოკლეს მახვილივით ჰკიდია განადგურების საფრთხე, მაგრამ ამ დროებითი საომარი შესვენების ეპოქაში ალი ავარსკიმ ახალი საქმე წამოიწყო - იგი იღებს ოთხსერიიან დოკუმენტურ ფილმს ქართულ-დაღესტნურ ურთიერთობაზე. იღებს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი დაფინანსების გარეშე თავისი უნიჭიერესი რეჟისორ-ოპერატორი შვილის, ბექა ავარსკის თანადგომით. უკვე გადაიღო სამი სერია და მეოთხე სერიას ამთავრებს. უნდა გავამხილო, რომ ორი ერის ამ უანგარო პატრიოტს თავისი საკუთარი ბინა აქვს ბანკში ჩადებული და ქართულ-დაღესტნური ფილმის ვალში, შეიძლება ბანკმა, ხვალ ან ზეგ, ეს ბინა ჩამოართვას და სახელოვანი კაცი, ქართველების უერთგულესი ძმა, შეიძლება, ქუჩაში დარჩეს. მე ვიცი, ჩვენს გულქვა მილიონერებს არც ეს წერილი აუჩუყებს გულს. ჩვენთან ხომ ქველმოქმედნი დავით სარაჯიშვილის და ზუბალაშვილების მერე არ არსებობენ. და მაინც, თუნდაც კაპიკი არ გაიღონ ფულიანმა კაცებმა, რომლებიც ალი ავარსკის ფილმის მეოთხე სერიის დაფინანსებისთვის სამყოფ ფულს ერთ საღამოს აგებენ კაზინოში და მერე საქართველოსთვის თავდადებული ადამიანების სადღეგრძელოს გულზე ხელის ბრაგუნით სვამენ, ალი ავარსკი თავის ფილმს მაინც დაამთავრებს და ქართულ-დაღესტნურ მეგობრობას უკვდავ ძეგლს დაუდგამს.

დგას ჩვენს წინაშე 80 წლის კინომსახიობი, მწერალი და რეჟისორი ალი ავარსკი და თავისი ჭკვიანი, მადლიერებით სავსე, ერთგული თვალებით შემოგვყურებს.

რევაზ მიშველაძე



ვასილ გვეტაძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მხცოვანი და ღვაწლმოსილი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ნოეს ძე გვეტაძე.

არსთაგამრიგემ წელთა სიმრავლე უბოძა ამ სანთელივით სუფთა და პატიოსან პოეტს და მანაც თავისი სიცოცხლე, თავისი საინტერესო შემოქმედება მთლიანად მის სათაყვანებელ სამშობლოს უძღვნა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მრავალი წლის განმავლობაში ვასილ გვეტაძე მუდამ მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან იდგა და მაცხოვარს მამულის გადარჩენას შესთხოვდა...

ვასილ გვეტაძე დაიბადა 1920 წლის 6 აპრილს ქალაქ ქუთაისში, ქუთაისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი იარაღით ხელში ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს და მკერდით იცავდა სამშობლოს. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ვასილ გვეტაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულში“, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში („საქართველოს ბუნება“, „დროშა“, „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, „მუმლი მუხასა“, „ვეტერანი“...) და ყველგან თავისი სისპეტაკით და სიყვარულის ნიჭით გამოირჩეოდა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის 80 წელი გრძელდებოდა ვასილ გვეტაძის ლიტერატურული ცხოვრება. იგი იმ მწერალთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა სულიერი ფორმირება, მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომის მრისხანე და სისხლიანმა წლებმა განაპირობა. სად არ იბრძოლა, უკრაინასა თუ ბელორუსიაში, ლიტვასა თუ აღმოსავლეთ პრუსიაში, მოსკოვის მისადგომებთან. სადაც არ უნდა ებრძოლა, იგი ყველგან საქართველოს, მშობელ მიწას იცავდა, მისი მეციხოვნე იყო, მისი სისხლი და ხორცი.

ვასილ გვეტაძის პირველი ლექსი „შენი გენია გამარჯვებული“, დიდ ილია მართალს რომ ეძღვნებოდა, ქუთაისის საქალაქო გაზეთში გამოქვეყნდა. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები _ ლექსები, ბალადები, მოთხრობები, ესსეები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. იგი ორმოცდაათამდე პოეტური კრებულის ავტორი იყო.

ვასილ გვეტაძის პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „პირველი სიმღერა“, „განთიადის შემდეგ“, „სახლი ჩემი“, „გადარჩენა“, „ნარის ციხის ბალადა“, „ლირიკული მონოლოგები“, „ლექსები და ბალადები“, „ლირიკა“, „ისევ ახალი“, „ერთტომეული“, „ბოლო ესკადრონი“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა დიდი ადამიანური სიმართლისა და გულწრფელობისთვის. ამ კრებულების ლირიკული გმირი, რომელსაც ჟამთა სიავე სულშიაც კი სითეთრეს ურევს, დაჭრილი ლომივით დადის საქართველოში და სამშობლოს ეძებს, ოდესღაც ძლიერ და ძლევამოსილ სამშობლოს. გულგასენილს გრიგოლ ორბელიანის ოხვრა ახსენდება: „საფლავს ჩავდივარ სიმწარით“...

ვასილ გვეტაძის პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ლიტვურ, სომხურ, რუსულ ენებზე. თავადაც ჩინებულად თარგმნა ჩინელი, აფხაზი, ოსი, რუსი პოეტების ლექსები.

ოთხი მშვენიერი საბავშვო კრებულით გაახარა პატარები. საინტერესოა მისი ესეები ტიციან ტაბიძეზე, შალვა კარმელზე, სევერიან ისიანზე, გიორგი ნაფეტვარიძეზე, დია ჩიანელზე, ლადო ასათიანზე...

ბოლო წლებში ცალკე წიგნად გამოიცა პოემა „სიმღერა ოფიცერ ჯანდრი უბირიაზე“, რომელიც ვასილ გვეტაძემ აფხაზეთის ომში მებრძოლ იმ ქართველ ვაჟკაცს მიუძღვნა, რომელმაც ორი ფეხი დაკარგა, მაგრამ სულიერი მხნეობა, ვაჟკაცობა შეინარჩუნა და დღესაც სამშობლოს ემსახურება...

ვასილ გვეტაძის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა აკაკი წერეთლის პრემია, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (2), „ქართული კულტურის ამაგდარის“ მედლით...

ვასილ გვეტაძე ბოლო მოჰიკანი იყო იმ ქართველი მწერლებისა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ვასილ გვეტაძე, პოეტი, სამშობლოს მეციხოვნე და მამულიშვილი.

საქართველოს მწერალთა
კავშირი

ჩემო ვასო, შენ, სახელოვან პოეტს, დიდ მამულიშვილს, მამულის ჭირისუფალს მთელი საქართველო დაგტირის. გონიერმა საქართველომ კარგად იცის, რომ შენი სამუდამო გასასვენებელი უნდა ყოფილიყო დიდუბის პანთეონში, მაგრამ უგუნურმა ხელისუფლებამ, მისმა ზოგიერთმა არამკითხე წარმომადგენელმა, მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს და დიდუბის პანთეონი დაკეტეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი გაფართოება სრულიად უმტკივნეულოდ დღესაც შეიძლება. ამით ხელისუფლებამ სრულიად გაუმართლებლად ზიზღი გამოუცხადა ყველა გამოჩენილ მწერალს და ხელოვანს საქართველოში.

ამ სიტყვებს შენს კუბოსთან ვამბობ. მშვიდად იძინე, სანთელ–საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

შენი **რევაზ მიშველაძე**

ქართველოლოგიური ცენტრი

აკაკი ბრეგაძე

1910 წელს იტალიაში, რომში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა უცხოეთში მოღვაწე დიდი მამულიშვილის მიხეილ თამარაშვილის (1858–1911) წიგნი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. ეს გახლდათ ფუნდამენტური ნაშრომი, დაწერილი ფრანგულ ენაზე. წიგნს თან ახლდა ორი რუკა საქართველოსი – ძველი და თანამედროვე, აგრეთვე ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები და ქართულ ისტორიულ ძეგლთა რეპროდუქციები. წიგნის დაბეჭვდამდე ძალიან ადრე, 1907 წელს მიხეილ თამარაშვილი თავისი ნაშრომის თაობაზე წერდა:

„ევროპაში ხშირად შევნიშნე, რომ საქართველოს და მის ეკლესიის შესახებ საზოგადოდ არაფერი ცნობა აქვთ და თუ იციან რამე, ისიც სულ შეცდომით და მრუდედ, თუ სომხების და თუ რუსების ჭეშმარიტებას მოკლებული წერილების გამო. ამნაირ მოვლენამ მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება იქონია ჩემზე, რადგან ევროპა დღეს თვით უკანასკნელ და მეტად დაშორებულ ტომებსაც საკმაოდ იცნობს, ხოლო საქართველო თავისი წარსულით კი დღევანდლამდე შავ წყვდიადში მოსილა მისთვის, რადგან ვერც ერთმა ქართველმა განიზრახა ევროპისათვის წარედგინა ნამდვილი საბუთებით შედგენილი ისტორია, რათა ზედმიწევნით გაეცნობიერებინა მისთვის საქართველოს დიდებული წარსული. ამისთვის ასეთი უმძიმესი ტვირთი მარტოდმარტო მე ავიღე ჩემ თავზე და შემდგომ დიდი განწირული შრომისა და ხარჯისა დავამთავრე ფრანგულად საქართველოს ეკლესიის ისტორია“.

საოცარი აღსარებაა.

მიხეილ თამარაშვილის წიგნი მაშინ რომ ქართულად გამოქვეყნებულიყო და არა ფრანგულ ენაზე, ჩვენს შესახებ ბევრს ვერაფერს შეიტობდა წიგნიერი ევროპა. სხვათა შორის ქართველი მკითხველის ფართო წრისათვის ნაშრომი ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 1995 წელს, როცა მისი თარგმანი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ზაზა ალექსიძისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ჯუმბერ ოდიშელის რედაქციით დაბეჭდა გამომცემლობა „კანდელმა“ (გამომცემლობის დამაარსებელნი და ხელმძღვანელები, ასევე თხზულების გამოცემის ინიციატორები: ირინე აბულაძე, ზვიად ბოკუჩავა, თემურ ჩხაიძე, გამომცემლობის მთავარი რედაქტორი აკაკი ბრეგაძე, მთარგმნელები: ნელი კაციტაძე, გურანდა დათაშვილი, სოფიო ბენდიაშვილი, სალომე გაბუნია, ნინო ხმალაძე, სიბილა გელაძე, მანანა ბანძელაძე, ნესტან ჩხიკვაძე).

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში გასული საუკუნის 70–იან წლებში დაარსდა დაწესებულება, რომელსაც ერქვა „საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მთავარი სარედაქციო კოლეგია“, შინაურულად კოლეგიას ეძახდნენ. მისი დანიშნულება იყო ქართველი მწერლების–კლასიკოსებისა და თანამედროვე გამორჩეული ავტორების ნაწარმოებთა, ასევე სამეცნიერო ასპარეზზე (იგულისხმება ჰუმანიტარული მეცნიერებანი) ცნობილი სწავლულების ნაშრომთა თარგმნა უცხო ენებზე, აგრეთვე უცხოელი მწერლების ნაწარმოებთა და მეცნიერების გამოკვლევათა ქართველი მკითხველისთვის გაცნობა. დაწესებულებას აფინანსებდა სახელმწიფო. კოლეგია თავის მოვალეობას ასე თუ ისე, ახორციელებდა, მაგრამ ბოლოს მისი მუშაობა ჩაკვდა.

დღეს საჭიროა და აუცილებელი დაარსდეს ამ კოლეგიის მაგვარი დაწესებულება, შესაძლებელია, კვლავ საქართველოს მწერალთა კავშირთან და სახელმწიფომ დააფინანსოს. თუ თავად არ გავაცანით თავი მსოფლიოს, ჩვენზე არავინ იზრუნებს. ზოგი ქვეყანა იუნესკოს, თუ სხვა ორგანიზაციათა მეშვეობით ცდილობს, თავიანთ ისტორიას საერთაშორისო ასპარეზზე რაღაც შემატოს. ჩვენც ნუ ვიქნებით გულხელდაკრეფილნი, რადგან ბევრი ისეთი რამ გვაქვს, რითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა. მარტო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რად ღირს! მართალია, იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი, მაგრამ საჭიროა, მოვიძიოთ ახალი მთარგმნელები. უნდა ითარგმნოს, მაგალითად, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ამ წიგნს მიხეილ თამარაშვილის წიგნთან ერთად დიდი რეზონანსი ექნება), აგრეთვე სხვა მეცნიერთა ნაშრომები ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის წარმოსაჩენად სხვადასხვა ენაზე (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ესპანურ და სხვა ენებზე), ლიტერატურული ნაწარმოებები დავახატვინოთ, დავასურათებინოთ, გავაფორმებინოთ ქართველ დიდოსტატ მხატვრებს, ჩვენვე გამოვცეთ უცხო ენებზე და დავუგზავნოთ მსოფლიოში ცნობილ ბიბლიოთეკებს, ხელი შევუწყოთ უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებს.

სამწუხაროდ უცხოეთში ქართველოლოგთა რიცხვმა იკლო, ამიტომაცაა საჭირო დაარსდეს მთარგმნელობითი ცენტრი, რომელსაც უხელმძღვანელებს ობიექტურ მწერალთაგან და მეცნიერთაგან, საზოგადო მოღვაწეთაგან შედგენილი საბჭო, ცენტრი, რომელსაც ექნება თავისი გამომცემლობა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტამბა, იზრუნებს უცხოეთში ქართველოლოგთა მომრავლებაზე, წახალისებაზე, ლიტერატურასა და სამეცნიერო მოღვაწეობაში მათ ჩაბმაზე, ქართულიდან უცხო ენებზე და უცხო ენებიდან ქართულ ენაზე ლიტერატურულ და სამეცნიერო თხზულებათა თარგმნაზე, დაბეჭდვასა და გავრცელებაზე.

რა ენა წახდეს!

ხელთა მაქვს საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, ცნობილი პუბლიცისტის, მრავალი საქვეყნო მნიშვნელობის იდეის ავტორის, საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ „მართალი სიტყვის რაინდად“ აღიარებული, ბატონ ანზორ ბაბუხადიას ახალი წიგნი „გინდ დაიჯერეთ გინდ არა!“.

ქვეყნის სატკივართაგან მას მრავალი ადრეც გაუხმიანებია, მაგრამ იმათ არ იღეს ყურად, ვისი ჯერ არს. არადა უთუოდ საშური საქმე კია.

წიგნში შეტანილი პუბლიცისტური და ოფიციალური წერილები დაჯგუფებულია ოთხ თემატურ ნაწილად.

პირველი გახლავთ ყბადაღებული არჩევნების თემა, რომელშიც ხელისუფლების მისამართით გამოთქმული ძალზე სერიოზული ბრალდებების ფონზე, მოცემულია საგულისხმო, რადიკალური წინადადებები, რომლებიც ჩვენი აზრით, აქამდეც უნდა გამხდარიყო დაინტერესებული მხარის, ანუ ხელისუფლებისა და ვითომ პოლიტიკოსების საგანგებო მსჯელობის საგანი. ძვირფასო ხელისუფლებავ! ქვეყნისთვის და არა საკუთარი თავისთვის სიკეთე თუ გნებავთ, განიხილეთ ეს წინადადებები და მიიღეთ ადეკვატური გადაწყვეტილება.

მეორე თავი ეძღვნება ქართული ენის გადარჩენის აქტუალურ პრობლემებს, რომელთა წარმოქმნაც განაპირობა ქვეყნის შესაბამისი სტურქტურების არაადეკვატურმა, უფრო ზუსტად კი დანაშაულებრივმა დამოკიდებულებამ ამ უმნიშვნელოვანესი, ერის სასიცოცხლო პრობლემისადმი.

წიგნის მესამე თავის სათაურია „დიახ, საქართველო არის ესე!“, რომელშიც ავტორი ასაბუთებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე უნდა ერქვას მისი კონსტიტუციით დადგენილი კანონიერი სახელწოდება „საქართველო“. სამწუხაროდ, აქამდე ეს პრობლემა ასეთი სიმწვავით და მასშტაბით ჯერ-ჯერობით არავის არ დაუყენებია.

მეოთხე თავი „შენ გიმღერი, ჩემო თბილის ქალაქო“, ეძღვნება ჩვენი დედაქალაქის წინაშე არსებული პრობლემების განხილვას და მისი გადაჭრის კონკრეტულ გზებსა და წინადადებებს, სადაც ნათლად ჩანს წიგნის ავტორის კომპეტენტურობა და მაღალი პროფესიული დონე.

წიგნის ბოლოში, მოტანილია რამდენიმე გამოხმაურება, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ბატონი ანზორის პიროვნებაზე და მისი საქმიანობის მრავალმხრივობაზე, რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება, თუ ყურადღებით გაეცნობა მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების ორივე ჩამონათვალს, რომელთა უმრავლესობა შექმნილია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მისი მოღვაწეობის წლებში.

ყველა ამ პრობლემაზე პროფესიული მსჯელობა, თანაც საგაზეთო სტატიაში, ჩემ შესაძლებლობებს აღემატება და ამდენად, ძალიან მოკლედ საკუთარ პოზიციას გამოვთქვამ მხოლოდ წიგნის მეორე თავთან, „გადავარჩინოთ ენა - ქართული!“ დაკავშირებულ პრობლემებზე.

ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მშობლიურ ენას უდიერად ეპყრობიან. პირველ ყოვლისა ესაა სხვადასხვა საწარმოო-დაწესებულების, სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების წარწერები. თბილისში კიდევ არა უშავს, მაგრამ პერიფერიებში ქართული ენის უპირატესობა, ანუ ჯერ ქართული წარწერის პრიორიტეტი სულაც უგულებელყოფილია. ხოლო ქვემო ქართლის მთელ რიგ რაიონებში ამაზე საერთოდ არავინ ზრუნავს, რაც ქართული ენის შესახებ სახელმწიფო კანონის უხეში დარღვევაა!

არასახარბიელო მდგომარეობაა ზოგიერთ სასკოლო სახელმძღვანელოში, სადაც ქართული შრიფტით არაქართულად მეტყველებისა და აზროვნების აღმაშფოთებელი უამრავი ფაქტია.

აბა რას გახდება მარტო ბატონი ანზორი. ენას პატრონი უნდა ჰყავდეს.

მიგვავიწყდა დიდი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის შეგონება:

„ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!...

კიდევ ერთი, ქართული ტელევიზიების უმრავლესობამ, როგორც ფრიად საეჭვოდ მოქართულემ, ქართული ენის ნორმების დაცვა თავიანთი მოღვაწეობის ნომერ პირველ პრობლემად უნდა გაიხადონ.

ეს ჩვენი ყოველდღიურობაა.

ჰოდა, სხვა სატკივართან ერთად, ენის გადარჩენაზე მზრუნველ ბატონ ანზორს გვერდში უნდა დავუდგეთ!

გივი ჯაჩუა

ლიდა სტვილია

„თურმე... სცოდნია სიკვდილს
– დანდობაც! –
დანდობისთვის სიკვდილს
– მადლობა!

... მივხვდი!... ფანტახტი...
შენ ჩემი შვილი
ამოღებული გყავდა – მიზანში!...
–რისი „სასწრაფოს“ გამოძახება? –
...ამასობაში შენსას – იზამდი!
...ვასხურავ... ვასხავ,
ვით უკვდავების
წყალს, განგებამ რომ –
წყაროდ გადმოდგა, –
... რამდენ ფათერაკს წავართვი –
დღემდეც
ჩემი ვაჟკაცი! –
–ყველას მადლობა!
–სიკვდილო! ის დღე მაინც ჰგავს
ზღაპარს! –
...შვილს აგაცილე, ვით ტყვია –
მიზანს!...
...ო, სუნთქვა შეკრულს,
ვით მებრძოლს ფრონტის, –
მწერვალებიდან...
– ფხიზლადო... ფხიზლად! –
ნიავს გვაფრქვევდა
ბერმუხის ტოტიც!..
–არ მოკვდე ჯამაზე –
განწირულ ხმაზე
ჩავძახე! – ... ოდნავ....
ოდნავ წამოდგა...
... შენც ალბათ მაშინ გაქრი –
სიკვდილო! –
დანდობისათვის სიკვდილს –
მადლობა!
დანდობისათვის სიკვდილს –
მადლობა!
... თურმე, სცოდნია სიკვდილს –
დანდობაც!

მიდროვა... მაინც როგორ...
მიდროვა!?
როგორ მიხელთა შვილთან –
მიჯდომა!?
..ვჯი და მწამს, ჯამაზ!
იმ დღეს სიკვდილმა
დღეგრძელ სიცოცხლით –
დაგაჯილდოვა!

...ო, სულეთიდან გამოდევნილო
ახლა კარგად ხარ?
არწივ–დევივით? –
... შენ, ისეთ რამეს გადარჩი შვილო
ალბათ... რამ მადლიც გაქვს
ჩადენილი!

... გასხი და გასვი, ვით უკვდავების
წყარო, განგებამ ო,
რომ გადმოდგა! –
... რამდენ ფათერაკს წაგართვი
– დღემდეც
ჩემო ვაჟკაცო! –
ყველას მადლობა!
დანდობისათვის სიკვდილს
– მადლობა!
თურმე ცოდნია სიკვდილს
– დანდობაც!

... საქართველოო – ნათელი ფერის!

–გავყურებ ზღვისპირს...
–გიყურებთ... – მიკვირს! –
როგორ არ გკითხოთ,
ასეთ ქალბატონს
შთამომავალი თუ გყავთ?!
–ჯამაზ!
–მედეა!
–ლიდა!
–გიორგი!
–ვახტანგი!
–ლუკა! –
იხედებიან წინ და...
იხედებიან – უკან! –
ერთმანეთს უყოფენ – ლუკმას! –
... ბულბულებია!
... არწივებია! –
არ გვანან ბუ–ყვავს!
... შთამომავალი მყავს და –
ყოფა ქართველური უყვართ!
... შვილიშვილები –
თამარ–დედოფალს! –
შვილთაშვილები
–ბუსკას,
ბუღას,
ბედაურს ჰგვანან! –
ყველგან ყურმარჯვედ დგანან!
...ეს... ჩვენ კი... ასეთი, მაგრამ...
ცხოვრება ისე ხასიათ–ღჯუა, –
და მაინც შვილები ღჯუს დანახვაზე
ჭიანურს დაჰკრავენ – ძუას!...
... რა რჯულის არ უნდა შეხვდეთ –
ჩემსავით
ყველას ხვდებიან – ძმურად!
... მართალი გთიხრათ –
გვარნათელი ვარ!
პირნათელს არვინ... არვინ
მყავს – ბნელი!
... შთამომავალი ცვლის
შთამომავალს, –
... დიახ! ... ჩემითაც
ახლდება – ერი! –
და ხვალ, უკეთეს
კაცურკაცებს და...
უკეთეს ქართველ
ქალურქალთა – ველი!
... დიახ, ... ჩემითაც მრავლდება –
ერი! –
ნათელი მზისებრ!... და არა –
ბნელი! –
... მსოფლიოს უღელს შებმული –
ისევ...
ო, ისევ დღესაც
ბორკილებმმსხვრევი!
... საქართველოო –
ნათელი ფერის! –
... საქართველოო – ნათელი
ერის!

ჩემს ტურფა საქართველოს

... ჩემს ტურფა საქართველოს
ხელის გულისოდენას
უდგას – ბედისტრიალი!
მტერი მღერის – „ოდელას!“
... ჩემს ტურფა საქართველოს
ხელის გულისოდენას
შინაცა ჰყავს... არ უნდა
მტრებს შორიდან მოდენა!
...ჩემს ტურფა საქართველოს
ხიფათებში ჩავარდნილს
ტანჯვა–წამებ–წვალება
სანამ... სანამ... სანამდის?!
–მანამ... არ დაბურავენ
ზოგ მამაკაცს თავს მანდილს!
–უნდა ჩემს საქართველოს
დიდი გამამაცება!
–რუსთაველის კაცები!...
–სააკაძის კაცები!
–ჭყონდიდელის კაცები!
–აღმაშენებლისთანა!...
–ცოტნესთანა კაცები!
–აღმაშენებლისთანა!...
–ცოტნესთანა კაცები!
–აღმაშენებლისთანა!...
–ცოტნესთანა კაცები!
–ქუჯისთანა კაცები!
სულ–სულ–სულ თავკაცებად!
... და ჩემი საქართველო
მართლაც არ დამარცხდება!
მისი ჯაჭვის პერანგიც
არასოდე სგაცვდება!
...მისი ეროვნულობაც
არა! და არ ჩაცხრება!

...ვინ მოგწონის!... ვინ მოგბედავს!

**(ექსპრომტი 75 წლის
რევაზ მიშველაძეს)**

ქართლოსიანთ საქართველოს
იცავ კალმის ამარა,
მამაცურად შენ და შენი
ნოველების ამალა.

... ნოველების დიდოსტატო!...
ბასრობ დარბაისელი!
შენ და საქართველოს ორგულს
მოტეხოდეს – კისერი.

... რაც გიტარამ იტირა და...
... რაც იკვნესა ფანდურმა,
ცრემლმა დედა–დედოფლისამ
გმდუღრა, ... ნანა... რა გმდუღრა!?!

...მაგრამ... ისევ ურვილ მამულს
მწყემსავ დაბლობ–ქარაფით!... –
მთვარისა და რუსთაველის
შარავანდი დაგნათის!

... ვინ მოგწონის!... ვინ მოგბედავს?!
–
მეციხოვნობ ქუჯივით! –
დიდ–მარტვილშიც გამოზრდილო
ჭყონდიდელის ხურჯინით!

პარნასის მთის კანონების
მადლიან მზით სავსეთი
ურვილ მწერლებს დღეს
პატრონობს
შენი – „მწერლის გაზეთი!“

გესალმები ჩემს ლომგულ ძმას
როგორც ღვიძლი შენი – და!
ურუმ–ყურუმს ვუქნევ სახრეს
მუხრებიდან... თელიდან!...

... სიბერე არ დაეწიოს! –
გააჭენე მერანო!...
...ას წელს კიდევ აწერინე
მიშველაძეს – მელანო!

...მეფეთა ცხენების გელვებით!...

... ხმა მესმის ძველ საქართველოის
მეფეთა ცხენების გელვების! –
ერეკლეს, დავითის, თამარის
დროინდელ ციხეთა მნგრევლების –
ქაჯეთის ციხეთა მნგრევლების!
... ხმა მესმის: მცხეთის ჯვრის,
მარტვილის –
დღესაც საქართველოს მცველების!
ხმა მესმის: ცხინვალის, მესხეთის,
სოხუმის მშობლიურ ცრემლების!
... დღეის დღეს – მეც მცველი! –
შეგცქერი
სამშობლოვ, შენ შემოგევლები! –
ეს ლექსიც! – ძველ საქართველოის
მეფეთა ცხენების გელვებით!

ვაი, ნანა! – ... რასაც მწყალობ?„

–ეროვნებას მიდევნიან!...
...რა მოხდება ნეტავ ხვალო?!...
–რა ქვესკნელში ჩაგიგდიათ! –
ამოიღეთ ხალხო – ხმაო!
... თავს მადგახარ როგორც – ხანი! –
ხანში შესულს – „წასვლის ხანო!„
... ღმერთმა ნუ ქნას მომხიბლო და...
სამშობლოდან წამიყვანო!
მამაჩვენის სახელები
სანამ, რატომ უნდა მალოთ?!
...მშობელ მამის სახელს ვეძებ! –
–ვაი, შენი ბრალი – ბრალო! –
...ვერ განაგებ საქართველოს
კარგად ვხედავ... არა ვარ – ბრაო!
..ვიცი შენი ხასიათი!...
...კარგად... კარგად გაგიცანო!
ეს, ეს – ფაშიზაციაა! –
ანტიქართველური – ცაო!
დიდუ!...
ამომწყვეტელია!
ვაი, ნანა! რასაც „მწყალობ!?“ –
„ვიცი, არც ნამდვილად მეტრფი,
არც საკუთრად ჩემთვის გალობა“



ნოდარ ხუნდაძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნოდარ თეოფანეს ძე ხუნდაძე.

ათწლეულების განმავლობაში ნოდარ ხუნდაძე მართლაც რომ რაინდული შემართებით ემსახურებოდა კაცთმოყვარეობის წმიდათაწმიდა იდეალებს და თავისი არსებობით ამტკიცებდა, თუ რა ადვილია იყო საოცრად რბილი, ჰუმანური, სიკეთითა და სათნოებით სავსე პიროვნება და, ამავე დროს, შეუვალი, მტკიცე, ურყევი, ზამბარასავით შემართული, როცა საქმე საქვეყნო ინტერესებს ეხება...

ნოდარ ხუნდაძე დაიბადა 1929 წლის 22 მაისს გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდაში. 1947 წელს საშუალო განათლების მიღების შემდეგ მან სწავლა განაგრძო მაქსიმ გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1951 წელს დაამთავრა. მას შემდეგ ნოდარ ხუნდაძე საკმაოდ დიდხანს ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ გაგრის ეგნატე ნინოშვილის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში, შემდეგ კი ბზიფის საშუალო სკოლაში. 1967–1986 წლებში ნოდარ ხუნდაძე გაგრის საქალაქო გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორის მოადგილე იყო და თავისი ცხოვრებით, თავისი ყოველდღიური საქმიანობით ქართველთა და აფხაზთა საუკუნეობრივი ძმობისა და მეგობრობის უკეთილშობილესი იდეალების განმტკიცებას ემსახურებოდა, სიკეთესა და სათნოებას თესდა...

ნოდარ ხუნდაძის პირველი მოთხრობა „მოხუცი მებაღე“ 1959 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. მას შემდეგ მისი რომანები, მოთხრობები, ლექსები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ნოდარ ხუნდაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეტად მრავალფეროვანი, მეტად მრავალმხრივია. მისი პროზაული (რომანები „უკუქცევა“, „ბზრი“, „ჟამი მთვარის მოქცევისა“, „ფონი“, „ცისარტყელას დაბადება“, მოთხრობებისა და ნოველების კრებულები „მღვიმე“, „წუთისოფელი ასეა“, „წყნარი ზღვა“, „მირგოროდის ღამეები“, „უბადრაგო ტყვე„) და პოეტური („აფხაზეთია ჩვენი ტკივილი“, „ტკივილიანი სონეტები“, „ტკივილი, ისევ ტკივილი“, „ლირიკა„) კრებულები მოწონებით მიიღო ქართველმა მკითხველმა. მოწონებით კი იმიტომ მოიწონა, რომ მის წინაშე წარსდგა გულწრფელი შემოქმედი, მართლის მთქმელი მწერალი, რომლის გულზეც გადაიარა ყველა იმ გვემამ და ტკივილმა, არც თუ ისე შორეულ წარსულში აფხაზეთში რომ ვიწვნიეთ გონებადაბინდული და ზომბირებული ადამიანებისგან, რომლებსაც თანამოძმეებად მივიჩნევდით.

ნოდარ ხუნდაძის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ და რუსულ ენებზე და ცალკე წიგნებადაც გამოიცა.

თავადაც აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა და ქართულად თარგმნა მიგელ ასტურიასის, დანიელ გრანინის, იცხოკას მერასის, იან კროსის, გიორგი მარკოვის, სერგეი სარტაკოვის, მიხეილ ალექსეევის, შალვა ფილიას ნაწარმოებები.

სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტის გარჯა ღირსების ორდენით აღინიშნა. მინიჭებული ჰქონდა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია. არჩეულ იყო ფასზისის აკადემიის წევრად.

ქართველ მწერლებს ნოდარ ხუნდაძე უყვარდათ როგორც კოლეგა, როგორც ერისკაცი, როგორც ჭეშმარტი შვილი თავისი ერისა.

სწორედ ასეთად დაგვამახსოვრდება ნოდარ ხუნდაძე, ჭეშმარიტი რაინდი, რომელსაც მოურჩენელ იარად დარჩა მშობლიურ კუთხეში დაბრუნების დაუოკებელი სურვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ზაურ კილაძე

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი ზაურ ანტონის ძე კილაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მრავალმხრივი შემოქმედი, დახვეწილი ინტელიგენტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობლიური ქართული მწერლობის წინსვლასა და განვითარებას.

ზაურ კილაძე დაიბადა 1940 წლის 12 აპრილს თბილისში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 1965 წელს კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ზაურ კილაძე იყო გაზეთ „ერას“ რედაქტორი, გამომცემლობა „საქართველოს“ უფროსი რედაქტორი, ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ინგლისური ენის მიმართულების ხელმძღვანელი და ლექტორი, სადაც კი იმუშავა ამ სანთელივით სუფთა და სპეტაკმა პიროვნებამ, ყველგან ღრმა კვალი დაამჩნია, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, თავისი საქმის ჩინებულმა მცოდნემ...

ზაურ კილაძის ლიტერატურული დებიუტი 1979 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა უილიამ ფოლკნერისა და ალბერ კამიუს პიესა „სამონაზვნო რექვიემის“ მისეული თარგმანი.

მას შემდეგ ზაურ კილაძის ნაწარმოებები – მოთხრობები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ზაურ კილაძე მართლაც რომ მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედი გახლდათ, თუმცა ქართველი მკითხველი მას, უპირველეს ყოვლისა, იცნობდა როგორც ჩინებულ მთარგმნელს. ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთ აღიარებულ წარმომადგენელს, პიროვნებას, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ინგლისურენოვანი მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუშის ქართულად ამეტყველებას.

სწორედ ზაურ კილაძის ისეთი შესანიშნავი თარგმანებით გამდიდრდა ქართული მწერლობა, როგორიცაა უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“, „აბესალომ, აბესალომ“, „ნეშტის შემბილწველნი“, „დათვი“, „გამტაცებლები“, „მოგონებების გალა“, ედგარ ალან პოს „40 მოთხრობა“, ჯოზეფ კონრადის „ლორდი ჯიმი“, ბერნარდ შოუს „ეშმას მოწაფე“, იანუშ კორჩაკის „როგორ უნდა ბავშვის სიყვარული“, ნიკოლაი ბერდიაევის „საუფლო სულისა და საუფლო კეისრისა“, „დემოკრატია და პიროვნება“, „სიტყვა და რეალობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“...

ზაურ კილაძის, ჩინებული მთარგმნელის, დამსახურებაა ის გარემოება, რომ ამ თარგმანებში სრულად შენარჩუნდა ორიგინალის სურნელი, მათი ავტორების სტილის თავისებურებანი, ეპოქის მაჯისცემა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზაურ კილაძის მოთხრობების, ესსეებისა და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების კრებულები „შაირობა პირველადვე“ და „დიდი ნიღბოსნები“. ამ კრებულებში სრულყოფილად წარმოჩინდა მოაზროვნე მწერლის ერუდიცია თუ ფართო თვალსაწიერი, უაღრესად დახვეწილი გემოვნება. და რაც მთავარია, მისი ყოველი ნააზრევი თუ ნაფიქრი სამშობლო ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის სულის ნაჟურია, შემოქმედისა, რომელიც ცდილობს იმ მარადიული ღირებულებების დადგენას, რამაც დღევანდლამდე მოიყვანა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა.

დიდხანს იავადმყოფა ამ უაღრესად კაცთმოყვარე, სიკეთითა და სათნოებით სავსე მწერალმა. წარბი არ შეუხრია, ვაჟკაცურად ხვდებოდა ყველა განსაცდელს, ყველანაირ გვემასა და ვაებას...

ჩვენ, ზაურ კილაძის მეგობრებსა და კოლეგებს, დიდხანს გვემახსოვრება ეს ჩინებული შემოქმედი, სანთელივით რომ დაიწვა მშობელი ერის სამსახურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი „მერანი“

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ქ. თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით აცხადებს ახალგაზრდა მწერალთა კონკურსს „მერანი“.

კონკურსი ტარდება შემდეგ ნომინაციებში:

პროზა (არაუმეტეს 32 გვერდი), **პოეზია** (არაუმეტეს 10 ლექსი), **თარგმანები უცხო ენებიდან** (პროზა - 32 გვ., პოეზია -10 გვ.).

გაიცემა 4 მთავარი და 4 წამახალისებელი პრემია.

მთავარი პრემია თითოეულ ნომინაციაში - 1000 ლარი;

წამახალისებელი – 500 ლარი.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია 17-დან 35 წლამდე ასაკის ლიტერატორებს.

მასალების მიღების ბოლო ვადაა 21 თებერვალი.

საკონკურსო მასალები მიიღება ელექტრონულ მისამართზე: merani-merani@mail.ru

ნაწარმოებებთან ერთად უნდა გამოიგზავნოს ფოტოსურათი და მცირე ბიოგრაფია, საკონტაქტო ნომრები. თარგმნილ ნაწარმოებებს თან უნდა დაერთოს ორიგინალი.

საკონტაქტო ნომრები: 599 38 12 74, 598 71 79 91

განცხადება

უკანასკნელი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გივი სიხარულიძემ ტელევიზიის ეკრანიდან ქალბატონ დონარა კინწურაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა, მკითხველები ხშირად გვირეკავენ და გვეკითხებიან, ნუთუ გივი სიხარულიძე მწერალთა კავშირის წევრიაო?

საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ გივი სიხარულიძე მწერალთა კავშირის წევრი არ არის და არც არაფერი საერთო აქვს საქართველოს მწერალთა კავშირთან.

მწერალთა კავშირის პრესცენტრი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალ გივი ჯოხაძის შვილიშვილი

ლუკა მაისურაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობენ მწერალ მურად ჭოლოკავას დედის

ციცინო ჭოლოკავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობენ პოეტ თემურ ჩალაბაშვილს მამის

ბეჭან ჩალაბაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობენ მწერალ რევაზ ნაჭყებიას მეუღლის

მანანა ნაჭყებიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობენ მწერალ ელზა ახვლედიანს მეუღლის

გურამ ბახტაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობენ პოეტ ბელა ქებურიას დედის

ლოლა ნაროუშვილი-ქებურიას

გარდაცვალების გამო.

ალბომის ფურცელი
№2
ფასი 1 ლარი
1-29 თებერვალი
2016
მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.: 293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან
მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
E-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru
9 771987 698009